საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№35 (316)
30 სექტემბერი – 6 ოქტომბერი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

FOREIGN POLICY: დროა, საქართველომ დაივიწყოს ოცნება ნატოზე 3

# ხარი და იუპიტერი გაეროს ტრიბუნაზე



4

„ვლადიმერ პუტინმა თავის გამოსვლაში ამერიკის მიერ „ფერადი რევოლუციების“ მხარდაჭერაზე ილაპარაკა. ისიც გაიხსენა, თუ როგორ შემოუბრუნდა ამერიკას რუსეთის (იმჟამად საბჭოთა კავშირის) წინააღმდეგ დაფინანსებული და მხარდაჭერილი „ალ ქაიდა“. პარალელი დღევანდელ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ თვალში საცემია“.

«საბჭოთა საქართველო თუ კრემლიდან იმართებოდა, დღეს თითრი სახლიდან ვიმართებით, ეს კი დამოუკიდებლობა არ არის...» 8

«ყველაფერი, რაც სირიაში ხდება, ამერიკელებისა და ისრაელის კონტროლით მიმდინარეობს» 10

15 როდის გაძლებით, «თქვენო ღირსებავ»?

«ყარაღები სხედან ამ «საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურებში» და მათ მიერ მოცემული სესხი ზურგში ნასროლ ტყვიასავითაა!» 7

რას დაუშავებენ საქართველოს «ბნელი პრორუსული ძალები», ანუ რა სარგებლობა მოაქვს თინას? 16

# ახალი ამერიკული პროექტი




6

„ჩვენი ცესკო უყოყმანოდ დათვლის ხმებს ზუსტად ისე, როგორი „შპარგალკაც“ აშშ-ის საელჩოდან მიუვა, მაგრამ პრობლემა სხვა რამეა. ამერიკული ენ-დი-აის კვლევებითაც კი მოსახლეობის, სულ ცოტა, მესამედი, ასე ვთქვათ, პრორუსულად არის განწყობილი და, პარლამენტი მედასავლეთეებით რომ სრულად დაკომპლექტდეს, გაჩნდება შეკითხვა — კი, მაგრამ, სად არის მოსახლეობის მესამედის (ამერიკელებისავე დათვლილი) ხმები? ასეთი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად კი საჭიროა ფსევდოპრორუსული ძალა, რომელიც იქნება ერთგვარი „შირმა“.

# «რუსული ბანი საქართველოს პარლამენტში»

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამბები

## «ევროკავშირი ბანკომატი არ გეგონოთ!»



**„ევროკავშირი ეხმარება უკრაინას ეკონომიკის გასაძლიერებლად; ეხმარება, გაუმკლავდნენ ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალ პირებს, რათა გამოირიცხოს ევროპის მიმართულებით მათი გადაადგილება. მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ორგანიზაციას ამოუწურავი რესურსი არ აქვს. ბევრი ფიქრობს, რომ ევროკავშირი ბანკომატია, სწორ კოდს შეიყვან და მიიღებ, რასაც გინდა, მაგრამ ეს ასე არ არის. ევროკავშირში გაწევრების მსურველ ქვეყნებს არ ეგონოთ, რომ აქედან შეავსებენ საკუთარი ქვეყნის ბიუჯეტს“,** — განაცხადა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაწევრების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა გერმანულ გამოცემა Die Welt -თან ინტერვიუში. ევროკავშირისთვის, რომელსაც სირიელი და ერაყელი ლტოლვილები უტევენ, ყველაზე საშიში უკრაინიდან ლტოლვილების ახალი ნაკადის დაძვრა იქნება. 1,3 მილიონზე მეტ მოქალაქეს მოუწია უკრაინის აღმოსავლეთი ნაწილიდან (საომარი ზონიდან) ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გადასვლა.



## შს მინისტრი: დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს და, თუ საჭიროა, მთელი სიმკაცრითაც

**შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, პოლიციისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გაყოფამ ორივე მიმართულების შემდგომი განვითარებისთვის დამატებითი შესაძლებლობები შექმნა.**

„პოლიციისა და სახელმწიფო უსაფრთხოების ფუნქციების გაყოფამ ორივე მიმართულების შემდგომი განვითარებისთვის დამატებითი შესაძლებლობები შექმნა და ჩვენ ამ შესაძლებლობას აუცილებლად გამოვიყენებთ. ამჟამად ვმუშაობთ პროექტებზე, რომლებმაც შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდგომი რეფორმირება უნდა უზრუნველყოს.

კიდევ უფრო ეფექტიანს გავხდით საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესს, ბოლომდე მივიყვანთ საზღვრის მართვის რეფორმას, კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ საპატრულო პოლიციის ფუნქციონირებას და პოლიციის აკადემიის შესაძლებლობებს. ეს იმ მიმართულებების არასრული ჩამონათვალია, რომლებშიც ვაპირებთ, ჩვენი დრო და ენერგია ჩავდოთ. დამნაშავემ პასუხი კანონის წინაშე უნდა აგოს და, თუ საჭიროა, მთელი სიმკაცრითაც. ეს აუცილებელია მთელი საზოგადოების, ჩვენი მომავლის უსაფრთხოებისთვის. ამასთანავე, აუცილებელი პირობაა, რომ ეს არ მოხდეს ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე. იმ ტიპის „სიმკაცრე“, რომელიც ნულოვან ტოლერანტობას უკავშირდებოდა, ჩემთვის მიუღებელია, რადგან მას თან ახლდა ადამიანის უფლებების, მათ შორის, სიცოცხლის უფლების, ხელყოფა“, — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

## «დეპარტამენტი ბიზნესწილების ხელში ჩაგდების ფაქტებს იძიებს და დასკვნებს უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს»

**მთავარ პროკურატურაში სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი ნადარეიშვილი აცხადებს, რომ გამოძიება უკვე დასკვნით ეტაპზეა და, გარდა ავტომანქანებისა და ოქროულობისა, დაზარალებულებს, შესაძლოა, ბიზნესწილებიც დაუბრუნდეთ.**

„დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება რიგ საქმეებზე, რომლებიც ბიზნესწილების ხელში ჩაგდებას, მათ გამოძალვასა და მსგავს დანაშაულებრივ ეპიზოდებს შეეხება. ამ კუთხით გამოძიება აქტიურად მუშაობს. მინდა, საზოგადოებას ვამცნო, რომ უახლოეს მომავალში, ასევე, იგეგმება რამდენიმე ასეთი საქმის შედეგების წარდგენა. ეს საქმეები, ფაქტობრივად, დასკვნით ეტაპზეა“, — აღნიშნა ნადარეიშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში პირდაპირი ჩართვისას.

### ირაკლი ღარიბაშვილი:

## ჩვენ ვიქნებით ნატოს არაწევრი მეოთხე ქვეყანა სწრაფი რეაგირების ძალებში

**საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ ორგანიზებულ გაეროს სამშვიდობო ოპერაციების სამიტზე განაცხადა, რომ, ნატოს გადაწყვეტილებით, საქართველო შეუერთდა სწრაფი რეაგირების ძალებს ქართული ასეულით. ამრიგად, საქართველო იქნება ნატოს არაწევრი მეოთხე ქვეყანა სწრაფი რეაგირების ძალებში.**



„ჩვენ ვიქნებით ნატოს მეოთხე არაწევრი ქვეყანა სწრაფი რეაგირების ძალებში, რაც მიუთითებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან საქართველოს შეიარაღებული ძალების შეთანხმებული მოქმედების მაღალ დონეზე. დღეს სწრაფი რეაგირების ძალების რეზერვში 130 ქართველი მებრძოლია. გარდა ამისა, საქართველო ჩაერთო კრიზისის მართვის ოპერაციებში ევროკავშირის ხელმძღვანელობით. 2014 წელს ქართულმა სამხედრო კონტინგენტმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის ოპერაციებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. საფრანგეთის შემდეგ ჩვენ ვიყავით ყველაზე დიდი წვლილის შემტანი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მისიაში, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონული და საერთაშორისო ძალისხმევის მხარდაჭერას ქვეყანაში სტაბილურობის აღდგენისა და პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. წელსაც საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის მიმდინარე მისიებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, მალისა და უკრაინაში. ჩვენი ურყევი გადაწყვეტილებაა გლობალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში მონაწილეობა და რეგულარულად შეგვაქვს წვლილი საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სამშვიდობო ძალებში: ჩვენ ვიყავით საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერის ძალების ყველაზე დიდი წვლილის შემტანი ქვეყანა ნატოს არაწევრ სახელმწიფოთა შორის. ქართველი სამხედრო ძალები მსახურობდნენ ნატოს ჯარების გვერდით ავღანეთის ყველაზე ცხელ წერტილში, ჰელმანდის პროვინციაში. დღეს საქართველო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ის არის მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდამჭერი ძალა. კიდევ ერთხელ მადლობას მოვახსენებ პრეზიდენტ ობამას და სხვა ლიდერებს გლობალური მშვიდობისა და უსაფრთხოებისადმი ერთგულებისთვის. ჩვენ სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ დღევანდელ დღის წესრიგს და მომავალშიც გავაგრძელებთ ჩვენს მრავალწლიან ტრადიციას — წვლილს შევიტანთ სახელმწიფოთაშორის სამშვიდობო ძალებში. ჩვენ სიამაყით ვაგრძელებთ ვალდებულების შესრულებას. ქართველი მებრძოლები ყოველთვის იდგებიან მოკავშირეების გვერდით ყველგან, სადაც ჩვენი ყოფნა საჭიროა“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



## ქართველი ემიგრანტებისთვის ორმაგი მოქალაქეობის მიღება შესაძლებელი იქნება

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა აშშ-ში ქართულ დიასპორასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ქართული ემიგრაციისთვის ორმაგი მოქალაქეობა პრობლემა აღარ იქნება. ამჟამად, აშშ-ის მოქალაქეობის აღების შემთხვევაში, ქართველი ემიგრანტები ავტომატურად კარგავენ საქართველოს მოქალაქეობას და ამიტომ პრეზიდენტს კანონში ცვლილებების გატარება სთხოვეს.**

„როდესაც იღებ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, ავტომატურად კარგავ საქართველოს მოქალაქეობას, მაგრამ ავტომატურად ღიაა კარი ორმაგი მოქალაქეობისთვის. ეს არის კანონი, რომლის ფარგლებშიც ჩვენ ვმუშაობთ და, რომლის ფარგლებშიც ქართული ემიგრაციისთვის კარი ორმაგ მოქალაქეობაზე გახსნილია. შესაძლებელია, თქვენ მიგაჩნიათ, რომ კანონი სხვანაირად უნდა იყოს, კი, ბატონო, შესაძლებელია, ამაზეც ვიფიქროთ, როგორ შეიძლება სხვანაირად იყოს ფორმულირებული კანონი“, — განაცხადა პრეზიდენტმა. გიორგი მარგველაშვილის თქმით, ვისაც უნდა ორმაგი მოქალაქეობა, პროცედურების გავლის შემდეგ მიიღებს.





## ლუკაშენკო: სირია, ლიბია, ტუნისი, ერაყი... იქნებ, გეყოთ ხალხის ხოცვა?

**გაეროს გენერალური ასამბლეის გლობალური განვითარების სამიტზე გამოსვლისას, ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მას ბოლომდე ვერ აუხსნია, რა დაუშავა სირიის კანონიერმა პრეზიდენტმა ასადმა ევროპას.**

**„მოდი, გავიხენოთ ფაქტები: ბირთვული იარაღის ძიების საბაბით ერაყის დემოკრატიზაცია განიზრახეთ, დაამხეთ პრეზიდენტი ჰუსეინი და სად ნახეთ ბირთული იარაღი? სად არის დემოკრატია ერაყში? იმის ნაცვლად, რომ შეჩერებულიყავით და ბოდიში მოგეხადათ, უფრო შორს წახვედით. იმავე სცენარით დაიწყეთ ტუნისით და დაამთავრეთ ლიბიით.**

**ბატონებო, იქნებ გეყოთ? მაგრამ არა! შეიჭერით და ააოხრეთ სირია! რატომ კლავთ უდანაშაულო ხალხს, მათ შორის ბავშვებს? რატომ ცდილობთ, დაამხოთ კანონიერი პრეზიდენტი ასადი, რა დაგიშავათ?“** — განაცხადა ალექსანდრე ლუკაშენკომ.



ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## რომის პაპი: რუსეთის გარეშე მსოფლიოს პრობლემების მოგვარება შეუძლებელია...

**უცხოური სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რომის პაპმა ფრანცისკმა კუბაში ვიზიტისას რუსული საინფორმაციო სააგენტო TACC-ის კორესპოდენტთან საუბარში განაცხადა, რომ „რუსეთის გარეშე ამჟამად შეუძლებელია თანამედროვე მსოფლიოს არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება“.** პაპმა მაღალი შეფასება მისცა ვატიკანში რუსეთის საელჩოს მუშაობასა და მის როლს პრობლემების მოგვარების საკითხებში. პაპი ფრანცისკი კუბის შემდეგ აშშ-ს ეწვევა... დაგეგმილია მისი სიტყვით გამოსვლა ნიუ ორკში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, სადაც ის ახლო აღმოსავლეთისა და სირიის პრობლემის შესახებ ისაუბრებს.

# Foreign Policy: დროა, საქართველომ დაივიწყოს ოცნება ნატოზე

**„ნატოს ხელისუფლება უარს ამბობს მკაფიო ორიენტირების დაწესებაზე იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ალიანსში გაერთიანებისკენ მიისწრაფვიან, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს მოქალაქეებში იმატებს ანტიდასავლური განწყობა“, — წერს ამერიკული გამოცემა Forleign Policy.**




„საქართველო 1990-იანი წლების ბოლოდან ჯიუტად ცდილობს ალიანსში შესვლას. ნატოს ყოყმანი ძალიან მწარე აბია თბილისისთვის, მაგრამ დროა, ქართველებმა ეს აბი გადაყლაპონ და გაიგონ, რომ მათ, დაპირებების მიუხედავად, არასოდეს მიიღებენ ნატოს რიგებში“, — წერს სტატიის ავტორი.

საქართველოს დედაქალაქში აგვისტოს ბოლოს გაიხსნა ერთობლივი მომზადებისა და შეფასების ახალი ცენტრი — JTEC. ეს ობიექტი გამოირჩევა იმით, რომ განლაგებულია ნატოს არაწევრი ქვეყნის ტერიტორიაზე და, სპეციალისტთა აზრით, ეს სამხედრო ბაზა ქართველებისთვის მეტი არაფერია, თუ არა დამამშვიდებელი პრიზი.

ჯერ კიდევ 2008 წელს გაცემული დაპირების მიუხედავად, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მიიღებდნენ, ნატოს ლიდერებმა საკმაოდ მკაფიოდ და გასაგებად მიუთითეს, რომ ეს მალე არ მოხდება.

თბილისის განაცხადი ალიანსში შესვლის თაობაზე ჰაერშია გამოკიდებული. **ნატოში საქართველოს გაწევრების მოწინააღმდეგენი თავიანთ შიშსა და ავისმომასწავებელ წინათგრძნობას ტექნიკური დეტალებით ნიღბავენ, სკეპტიკოსები კი ამტკიცებენ, რომ საქართველოს, სამხედრო თვალსაზრისით, არ შეუძლია თავის დაცვა, თუ რუსეთი მასზე თავდასხმას გადაწყვეტს.**

თბილისმა უკვე შეცვალა ტონი და ამბობს, რომ ნატომ უნდა შეასრულოს თავისი დაპირებები, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ევროატლანტიკური პოლიტიკური კონსესუსი გაიფანტება“, — წერს ამერიკული გამოცემა.

**«საქართველო 1990-იანი წლების ბოლოდან ჯიუტად ცდილობს ალიანსში შესვლას. ნატოს ყოყმანი ძალიან მწარე აბია თბილისისთვის, მაგრამ დროა, ქართველებმა ეს აბი გადაყლაპონ და გაიგონ, რომ მათ, დაპირებების მიუხედავად, არასოდეს მიიღებენ ნატოს რიგებში»**



## პუტინი: მინდა, ვკითხო ამ სიტუაციის შემქმნელებს: ხვდებით მაინც, რა ჩაიდინეთ?

**ნიუ იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ამერიკისა და დასავლეთის მიერ ახლო აღმოსავლეთსა თუ აფრიკის ქვეყნებში განხორციელებული ე.წ. სადამსჯელო ოპერაციებისა და „ისლამური სახელმწიფოს“ შესახებ ისაუბრა:**

„აგრესიულმა გარე ჩარევამ გამოიწვია ის, რომ, რეფორმების ნაცვლად, სახელმწიფო ინსტიტუტები, უბრალოდ, ცხოვრების წესი, უცერემონიოდ დაინგრა, დემოკრატიისა და პროგრესის ზეიმის ნაცვლად, ძალადობა, სიღარიბე, სოციალური კატასტროფა გამეფდა. მინდა, ვკითხო ამ სიტუაციის შემქმნელებს: ხვდებით მაინც, რა ჩაიდინეთ? ვშიშობ, ეს კითხვა უპასუხოდ დარჩება, რადგან პოლიტიკოსები, რომლებიც დარწმუნებულნი არიან თავიანთ განუმეორებლობაში, დაუსჯელობაში, ამას არაფრად დაგიდევენ.

უკვე ნათელია, რომ ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკის რიგ სახელმწიფოებში წარმოქმნილმა სახელისუფლო ვაკუუმმა ანარქიამდე და უბედურების ახალი ზონების შექმნამდე მიგვიყვანა. ე.წ. ისლამური სახელმწიფო ათიათასობით მებრძოლს ითვლის, მათ შორის არიან ყოფილი ერაყელი თუ ლიბიელი სამხედრო მოსამსახურეები, მოქალაქეები იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც თქვენ დაანგრიეთ. პირფერობაა გლობალურ ტერორიზმზე ილაპარაკო და პარალელურად თვალი დახუჭო ასეთი ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებზე, მაგრამ თქვენ ჯერ იყენებთ მათ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, არასასურველი პოლიტიკური კონკურენტების თავიდან მოსაშორებლად, შემდეგ კი ანადგურებთ. ჯერ კიდევ საკითხავია, — ვინ ვის იყენებს. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სირიის, ასადის სახელმწიფო არმიისა და ქურთთა გაერთიანებების გარდა, რეალურად არავინ იბრძვის“.

**P.S. ნიუ იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში, აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა გაიმართა. 2013 წლის შემდეგ პირველად ბარაკ ობამამ და ვლადიმერ პუტინმა პირისპირ ისაუბრეს. მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მხარეებმა სირიაში არსებული ვითარება, რუსეთის როლი კონფლიქტის დარეგულირებაში, ასევე, უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტი განიხილეს. რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნულ შეხვედრას კონსტრუქციული უწოდა. პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვი მზად არის, ვაშინგტონთან ურთიერთობა მოაწესრიგოს. თეთრი სახლის ინფორმაციით, შეხვედრაზე ბარაკ ობამამ ადგილობრივი არჩევნების ჩატარებაზე დონეცკისა და ლუგანსკის თვითაღიარებული რესპუბლიკების გადაწყვეტილების გამო შეშფოთება გამოთქვა.**





## უკრაინელმა სამართალდამცველმა იულია ტიმოშენკოს იანუკოვიჩის «დაკარგული» ავტომობილი უპოვეს

**უკრაინული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 25 სექტემბერს კიევის საპატრულო სამსახურის თანამშრომლებმა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დააკავეს ავტომობილი, რომელშიც საპარლამენტო ფრაქცია „ბატკივშჩინას“ ლიდერი იულია ტიმოშენკო მცველებთან ერთად იმყოფებოდა.**

დოკუმენტების შემოწმებისა და ძარის ნომრის დადგენის შემდეგ გაირკვა, რომ ავტომობილზე, რომელიც ადრე უკრაინის ყოფილ პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს ეკუთვნოდა, ძებნაა გამოცხადებული.

# შეიძლება, ევროკავშირი ხუხულასავით დაიშალოს

**დიდი ხანია, საბერძეთში ვერ გარკვეულან, — რა სჯობს მათთვის: იყვნენ ევროკავშირში თუ გავიდნენ ამ გაერთიანებიდან.**



იტალიაში „ჩრდილოეთის ლიგა“ ავტონომიას მოითხოვს, საფრანგეთში „ნაციონალური ფრონტი“ ევროკავშირიდან საფრანგეთის გასვლის მოთხოვნით გამოდის, ბელგიაში დამოუკიდებლობა სურს ფლანდრიას, ესპანეთში — კატალონიას.

პროექტი „ევროკავშირი“ იმედისმომცემი და პერსპექტიული იყო, როცა ევროპულ ოჯახს პატარა ქვეყნებიც შეუერთდნენ. მათ სჯეროდათ, რომ ევროკავშირის ლიდერები მათ განვითარებას უზრუნველყოფდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა და ახლა, ამის გათვითცნობიერების შემდეგ, ევროკავშირმა რღვევა დაიწყო.

ბრიუსელის ცალმხრივმა პოლიტიკამ ევროპაში უკვე ბევრისთვის ნათელი გახადა, რომ ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ გარკვეული პიროვნებებისა და ქვეყნების სასიკეთოდ. ამას კი, შეუძლებელია, მძაფრი ნეგატიური რეაქცია არ გამოეწვია.

ევროპის ქვეყნებში დამოუკიდებლობას მოითხოვნით გააქტიურდა ნაციონალისტური მოძრაობები. საბერძნეთის, იტალიის, საფრანგეთის, ბელგიისა და ესპანეთის მოქალაქეებს დამოუკიდებლობა სწყურიათ.

დიდი ხანია, **საბერძეთში** ვერ გარკვეულან, — რა სჯობს მათთვის: იყვნენ ევროკავშირში თუ გავიდნენ ამ გაერთიანებიდან.

**იტალიაში** „ჩრდილოეთის ლიგა“ ავტონომიას მოითხოვს, **საფრანგეთში** „ნაციონალური ფრონტი“ ევროკავშირიდან საფრანგეთის გასვლის მოთხოვნით გამოდის, **ბელგიაში** დამოუკიდებლობა სურს **ფლანდრიას**, **ესპანეთში — კატალონიას.**

**ევროკავშირის ლიდერებს კი ხელს არ აძლევთ გაერთიანებიდან რამდენიმე რეგიონის გასვლა, რადგან ამან, შესაძლოა, ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს და ამბოხებულმა რეგიონებმა ერთიმეორის მიყოლებით დატოვონ ევროკავშირი. თუ პროცესები ასეთი სცენარით წარიმართება, ევროკავშირის აღსასრული დადგება.**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამმილიონ-ნახევრიანი საქართველო ასეულობით სამხედროს გზავნის ცხელ წერტილებში, ხოლო მილიარდნახევრიანი ჩინეთი — სამხედროებს მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისთვის სთავაზობს გაეროს. ქართველები არც აქ ჩამოვრჩით ჩინეთს — ახლა უკვე გაეროს სამშვიდობო მისიაშიც ვაპირებთ მონაწილეობას. ამგვარი „ჩართულობა“ რომ არანაირად არ წყვეტს საქართველოს პრობლემებს, არაერთხელ დავრწმუნებულვართ.**

# ხარი და იუპიტერი გაეროს ტრიბუნაზე

**გაეროს, ტრადიციულად, ან გადაჭარბებულ მოლოდინს უკავშირებენ, ან, პირიქით — ყავლგასულ ორგანიზაციად მიიჩნევენ და მის აუცილებელ გარდაქმნაზე მიუთითებენ. შორს რომ არ წავიდეთ, აფხაზეთის საკითხზე მიღებული არაერთი რეზოლუციაც იმარებს, რომლებიც პრობლემის გადაწყვეტის ილუზიას ქმნიდა, თუმცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დეკლარირებულ მხარდაჭერას წარმოადგენდა, რეალურად კი ვითარება უცვლელი რჩებოდა 2008 წლამდე, როცა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე ორი კვაზისახელმწიფო აღიარა.**

თავი დავანებოთ უსაგნო კამათს იმის თაობაზე, ვინ დაიწყო ომი. მთავარია შედეგი. დღეს საქართველოს ძალიან გაუჭირდება თავისი სახელმწიფო პრობლემები წამოსწიოს, რადგან სირიისა და უკრაინის კრიზისებმა სრულიად შეცვალა ვითარება. **„ისლამური სახელმწიფოს“ საფრთხე სულ უფრო რეალური ხდება და, შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, იგი ჩვენთან ძალიან ახლოს არის. ავღანეთში დაღუპული ვასილ ყულჯანაშვილი გუშინ დაკრძალეს, გუშინწინ კი პრემიერ მინისტრმა ღარიბაშვილმა დაადასტურა, რომ, ნატოს გადაწყვეტილებით(?!), საქართველო შეუერთდა სწრაფი რეაგირების ძალებს ქართული ასეულით.**

„ჩვენ ვიქნებით ნატოს მეოთხე არაწევრი ქვეყანა სწრაფი რეაგირების ძალებში, რაც მიუთითებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ქართული შეიარაღებული ძალების შეთანხმებული მოქმედების მაღალ დონეზე. დღეს სწრაფი რეაგირების ძალების რეზერვში 130 ქართველი მებრძოლია. გარდა ამისა, საქართველო ჩაერთო კრიზისის მართვის ოპერაციებში ევროკავშირის ხელმძღვანელობით. 2014 წელს ქართულმა სამხედრო კონტინგენტმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის ოპერაციებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. საფრანგეთის შემდეგ ჩვენ ვიყავით ყველაზე დიდი წვლილის შემტანი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მისიაში, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონული და საერთაშორისო ძალისხმევის მხარდაჭერას ქვეყანაში სტაბილურობის აღდგენისა და პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. წელსაც საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის მიმდინარე მისიებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, მალისა და უკრაინაში.“ — განაცხადა ღარიბაშვილმა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ ორგანიზებულ გაეროს სამშვიდობო ოპერაციების სამიტზე.

**შეიძლება, დიდხანს ვიკამათო იმაზე, რას ემსახურება მთლიანობადარღვეული საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობა სხვადასხვა სამხედრო მისიებში, მაგრამ ლოგიკას მარტივ დასკვნამდე მივყავართ: ვიდრე საქართველო „მოხალისის“ სტატუსით ნატოს წევრ ქვეყნებზე მეტ კონტრიბუციას გაიღებს, ნატოში მიღების მოტივაცია საკმაოდ დაბალი იქნება. მართლაც, რატომ უნდა მიგიღონ, როცა არაწევრი ქვეყანა იმაზე მეტს აკეთებ, ვიდრე ზოგიერთი წევრი?!**

თუმცა ვარშავის სამიტამდე კიდევ ათი თვეა, ხოლო გაეროს საიუბილეო, 70-ე გენერალური ასამბლეა ამ დღეებში გაიმართა, რომელზეც უკვე ერთობ საყურადღებო მოსაზრებები არსებობს. გასაგები მიზეზების გამო ჩვენი ყურადღება აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების გამოსვლებზე იყო მიპყრობილი, თუმცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის — **სი ძინპინის** გამოსვლაში მნიშვნელოვანმა მოტივმა გაიჟღერა: **„მსოფლიოს ყველა ქვეყანამ უნდა ითანამშრომლოს ახალი, უფრო სამართლიანი მომავლის ასაშენებლად და უარი თქვას ჯუნგლის კანონებზე“.** ამ ფრაზის განმარტებაც საყურადღებო იყო; **სი ძინპინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ არც ერთ ცივილიზაციას არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია უპირატესობაზე და არავინ უნდა ახვევდეს თავს სხვა ქვეყნებს საკუთარ სისტემას. თუ ვინ იგულისხმებოდა ამ „ზოგიერთ“ ცივილიზაციაში, რთული მისახვედრი არ არის. აკი ობამამ იმავე სესიაზე განაცხადა: „რაც სწორია ამერიკისთვის, სწორია ყველა დემოკრატიისთვის“!**

იმავე გამოსვლაში ესეც თქვა: „ჩვენს ქვეყანას ძლევამოსილი შეიარაღებული ძალები ჰყავს და არ დავაყოვნებთ ჩვენი მოკავშირეების, მეგობრების დაცვას ცალმხრივ რეჟიმში ძალის გამოყენების გზით, როდესაც ამის საჭიროება დადგება“. თუმცა, **„ცალმხრივ“ რეჟიმში აშშ-ს ძალა არც კოდორში გამოუყენებია და არც ახალგორში, დანარჩენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე რომ არაფერი ვთქვათ. ცალმხრივად ძალის გამოყენება მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ერაყსა თუ ლიბიაში სწორედ ყოფილ „მოკავშირეებსა და მეგობრებს“ ამხობ. შემდეგ კი ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა. და ასეც არის.**

ძირითადი საკითხი, რომელზეც აშშ და რუსეთი ვერ თანხმდება, ის არის, ვის აქვს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება — მხოლოდ აშშ-ს თუ, მაგალითად, რუსეთსაც? **პუტინმა თავის გამოსვლაში ამერიკის მიერ „ფერადი რევოლუციების“ მხარდაჭერაზე ილაპარაკა. ისიც გაიხსენა, თუ როგორ შემოუბრუნდა ამერიკას რუსეთის (იმჟამად საბჭოთა კავშირის) წინააღმდეგ დაფინანსებული და მხარდაჭერილი „ალ ქაიდა“.**



**პარალელი დღევანდელ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ თვალში საცემია.** პუტინი: „პატივცემულო ბატონებო, თქვენ საქმე გაქვთ სასტიკ ადამიანებთან, მაგრამ ისინი სულელები ან პრიმიტივები არ არიან და კიდევ არავინ იცის, ვინ ვის გამოიყენებს“.

ობამასთვის ცენტრალურ საკითხად კვლავ ბაშარ ასადის გადაყენება რჩება. პუტინი იმაზე მიუთითებს, რომ დღეს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მხოლოდ ასადის არმია და ამბოხებული ქურთები იბრძვიან. „ისლამური სახელმწიფო“ აპოკალიფსური კულტია“, — აცხადებს ობამა. მოჭრილი თავები, დანგრეული ტაძრები და წაბილწული სასაფლაოები კი ამ „კულტის“ გამოხატულებაა, თუმცა ეს ამერიკიდან შორს ხდება.

რუსეთის პრეზიდენტი ფართო ანტიტერორისტული კოალიციის შექმნას სთავაზობს და ხაზს უსვამს, რომ ამ კოალიციაში საკვანძო როლი სწორედ მუსლიმანურმა ქვეყნებმა უნდა შეასრულონ. ფართო კოალიციის შექმნამდე უკვე გაიხსნა ერთობლივი საკოორდინაციო ცენტრი – ერაყის, ირანისა და რუსეთის მონაწილეობით. ორიოდე კვირის წინათ გავრცელდა ინფორმაცია სირიის პორტ ტარტუსში ჩინური ავიამზიდის შესვლის თაობაზე, თუმცა **ჩინეთი აცხადებს, რომ იგი კონფლიქტის არც ერთ მხარეს არ გაუწევს სამხედრო დახმარებას, რადგან მისი მიზანია, სირიელმა ხალხმა თავად გადაწყვიტოს საკუთარი მომავალი. პარადოქსია, მაგრამ ეს ავიამზიდი „ლიაონინი“ ჩინეთმა 1998 წელს 25 მილიონ დოლარად უკრაინისგან იყიდა.**

**გაყიდული ქართული ფლოტი ხომ არ გაგახსენდა, მკითხველო?**

ობამა-პუტინის შეხვედრისგან სწორედ სირიის საკითხზე შეთანხმებას (ან შეუთანხმებლობას) ელოდნენ. შეხვედრა თითქმის ორ საათს გაგრძელდა და რუსეთის იზოლაციის საკითხზე ბევრი ქილიკი გამოიწვია. შეხვედრის შემდეგ ობამამ ჟურნალისტებს ჩაუარა და ერთადერთი ფრაზა წარმოთქვა: How are you, people? — პასუხი არ მოუსმენია.

პუტინმა პრესკონფერენცია გამართა და აღნიშნა: „ჩვენ ბევრი საერთო წერტილი გამოვნახეთ, თუმცა იყო აზრთა სხვაობაც“. **რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნულ შეხვედრას კონსტრუქციული უწოდა და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ რუსეთის არმია სირიის კონფლიქტში სახმელეთო ოპერაციაში არ ჩაერთვება, თუმცა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საჰაერო ოპერაციის ჩატარება არ გამორიცხა.**

თეთრი სახლის წარმომადგენლის ინფორმაციით, შეხვედრაზე ბარაკ ობამამ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ დონეცკისა და ლუგანსკის თვითაღიარებული რესპუბლიკები ე.წ. ადგილობრივი არჩევნების ჩატარებას გეგმავენ.

ჩვენთვის სწორედ ეს უნდა იყოს საყურადღებო: **უკრაინის საკითხზე ტრადიციული „შეშფოთება“, სირიის საკითხზე – მტკიცე და შეუთანხმებელი პოზიციები. ექსპერტთა და პოლიტიკოსთა ის ნაწილი, რომელიც რუსეთის იზოლაციაზე აკეთებდა აქცენტს და ასაბუთებდა, რომ რუსეთთან დიალოგს აზრი არ აქვს, ამ შეხვედრის შემდეგ თავს იმით დაიმშვიდებს, რომ „გარღვევა არ მოხდა“. თუმცა ამ სწრაფად ცვალებად სამყაროში პასუხებს არა შეხვედრებზე მონაყოლით, არამედ რეალური მოვლენებით მივიღებთ.**

თუ ფართო კოალიცია არ შედგება, რუსეთი პარტნიორებთან ერთად მაინც ეცდება ვითარების შეცვლას ახლო აღმოსავლეთში და, რაკი სამხედრო (თუნდაც მხოლოდ საჰაერო დარტყმების) მონაწილეობის უფლება დაიბევა, სრულიად რეალურია, რომ ამ დაპირისპირებაში „ისლამური სახელმწიფოს“ შევიწროებას შეძლებს. ამ შემთხვევაში აშშ იძულებული შეიქნება, თავადაც ითანამშრომლოს, რათა „დაფნის გვირგვინი“ რუსეთს არ დაუტოვოს. **ეს დაახლოებით ისევეა, როგორც უსასრულოდ გაჭიანურებული „მეორე ფრონტის“ გახსნა იყო მეორე მსოფლიო ომში.**

ზემოთ ჩინეთზე ვწერდი და საყურადღებოა, რომ **ჩინეთი მილიარდ დოლარს გამოუყოფს გაეროს მშვიდობისა და განვითარებისთვის, ასევე, 8 ათას სამხედროს მიავლენს სამშვიდობო მისიებში. სამმილიონ-ნახევრიანი საქართველო ასეულობით სამხედროს გზავნის ცხელ წერტილებში, ხოლო მილიარდნახევრიანი ჩინეთი — სამხედროებს მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისთვის სთავაზობს გაეროს. ქართველები არც აქ ჩამოვრჩით ჩინეთს — ახლა უკვე გაეროს სამშვიდობო მისიაშიც ვაპირებთ მონაწილეობას. ამგვარი „ჩართულობა“ რომ არანაირად არ წყვეტს საქართველოს პრობლემებს, არაერთხელ დავრწმუნებულვართ.**

როგორც ჩანს, შექმნილ ვითარებაში ყველაზე ადეკვატური დასკვნები საქართველოს პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა** გამოიტანა. აშშ-ში ქართულ დიასპორასთან შეხვედრაზე მან განაცხადა: **„რუსეთთან საუბარი არჩევანის თემა კი არ არის, მოგწონს თუ არ მოგწონს, არამედ აბსოლუტური აუცილებლობაა.** ამ საუბრისთვის უნდა მომწიფდეს დრო და თვითონ რუსული პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რაღაცაზე უნდა იყოს ორიენტირებული, სადაც საერთოს დავინახავთ... რუსული ინტერესი საქართველოს ოკუპაციაში ძნელი დასანახია. ძლიერი, ეკონომიკურად წელში გამართული, კეთილმეზობლური საქართველო უფრო საინტერესოა რუსეთისთვის, ვიდრე ქვეყანა, რომლის ტერიტორიებსაც დაიპყრობ, სადაც იქნება არაკონტროლირებადი ტერიტორიები, ირევა სიტუაცია მის საზღვრებთან და ა.შ. ანუ, არანაირი ლოგიკური ინტერესი არ არის საქართველოსთან დაპირისპირების. დროა საჭირო, ამ ჭეშმარიტებამდე რომ მივიდნენ. თუ ჩვენ შევძლებთ და რუსეთთან დიალოგს გადავიტანთ რაციონალურ ჭრილში, მჯერა, რომ მივალთ საერთო ნიშნულებამდე, არა მარტო საქართველოს ინტერესებიდან, არა მარტო ისტორიული სამართლიანობიდან გამომდინარე, არამედ რუსული ინტერესებიდან გამომდინარეც“.

აქ არც საქართველოს ინტერესების ხარჯზე რაიმეს დათმობა ჩანს, არც ურაპატრიოტული რიტორიკა. **პრეზიდენტი ცდილობს, რაციონალური მარცვალი მოძებნოს და ჩიხიდან გამოსვლა დაიწყოს, თუმცა, რამდენად მისცემენ მას ამის საშუალებას, რთული სათქმელია.** ცხადია, აქ მხოლოდ შიგა ოპოზიციას არ ვგულისხმობ. აშშ-ის პოზიცია ხშირად არის ორმაგი სტანდარტით ნაკარნახევი. **რაც შეიძლება ობამასთვის, შესაძლოა, არ შეიძლებოდეს (ბოდიში ტავტოლოგიისთვის) მარგველაშვილისა და ღარიბაშვილისთვის.**

გაიმარჯვებს ის, ვისი პოზიციაც მტკიცე და თანმიმდევრული იქნება. ასეთ პოზიციას მტერიც პატივს სცემს და მოყვარეც.

**„ნაციონალური მოძრაობა“ არ არის ქართული, ეროვნული ძალა და ბუნებრივია, მასზე აქცენტს უცხო ძალები აკეთებენ. „ნაციონალები“ ხომ სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებლები არიან და მათ დესტრუქტიული ფუნქცია აკისრიათ“.**

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# თამარ კიკნაძე: ძალიან სამწუხარო იქნება, თუ პაატა ბურჭულაძე «შირმად» გამოაყენებინებს თავს

## პოლიტიკაში მოსვლით ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას დაკარგავს

საქართველოს პრემიერისა და პრეზიდენტის დელეგაციები ამერიკაში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე იმყოფებიან და შეხვედრებს მართავენ. „ნატოს გადაწყვეტილებით, საქართველო შეუერთდა სწრაფი რეაგირების ძალებს და მასში ქართული ასეული მიიღებს მონაწილეობას, — განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ ორგანიზებულ გაეროს სამშვიდობო ოპერაციების სამიტზე... კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენა მაინც მსოფლიოში ცნობილი ბანის, პაატა ბურჭულაძის, პოლიტიკაში გადანაცვლების შესახებ აგორებული ჭორი აღმოჩნდა. საზოგადოებისთვის ეს ამბავი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელისუფლების ვიზიტი გაეროში, რადგან ყველას აინტერესებს, ვის სჭირდება პაატა ბურჭულაძის ფარად გამოყენება და ვის თამაშს ითამაშებს ის. მოსახლეობას კარგად ახსოვს პაატა ბურჭულაძის ბოლოდროინდელი აქტიურობა „რუსთავი 2“-ის საკითხზე, ახსოვს, ოდესის გუბერნატორად სააკაშვილის დანიშვნის აღსანიშნავ ღონისძიებაზე უკრაინის ამ ქალაქში მისი კონსპირაციული ჩასვლა და საზეიმო საღამოზე გამოსვლაც. შეეწირება თუ არა პაატა ბურჭულაძის ავტორიტეტი მსოფლიოში მიმდინარე ახალ ტენდენციებს და რა ტექნოლოგიებით იმუშავებენ მასზე? მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე საინტერესო პროცესებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.

**— ამერიკის ახალმა ელჩმა იან კელიმ უკვე მოასწრო, ღიად გამოეხატა „ნაცმოძრაობისადმი“ კეთილგანწყობა და „რუსთავი 2“-ის აღორძინებაზეც ისაუბრა. რა რეალობის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ საპარლამენტო არჩევნების წინ?**

— **„ნაციონალური მოძრაობა“ არ არის ქართული, ეროვნული ძალა და ბუნებრივია, მასზე აქცენტს უცხო ძალები აკეთებენ. „ნაციონალები“ ხომ სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებლები არიან და მათ დესტრუქტიული ფუნქცია აკისრიათ.** წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს კარგი ფინანსური მხარდაჭერაც აქვთ და კარგი ლობიც ჰყავთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ხელისუფლებაში მოსვლის შანსი აქვთ, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადადგა, უგერგილო საქციელის დრო აღარ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის დაკვეთა არ შესრულდება, რაც არჩევნების წინ „ოცნების“ სასარგებლოდ არ იმუშავებს.

**— გასაგებია, რომ ხალხის დაკვეთა ეს არ არის, რაც ხელისუფლებამაც კარგად იცის, მაგრამ, რადგან ამერიკის ახალი ელჩიც ისეთივე პლატფორმაზე დგას, როგორზეც მისი წინამორბედი, წინააღმდეგობას ვინ გაუწევს?**

— ხელისუფლებაში არის ერთი შტო, რომელიც უფრო ზომიერია და მათი პოლიტიკური განცხადებები უფრო ფრთხილია, აგრეთვე, **არის მკვეთრად გამოხატული პროდასავლური ძალა რესპუბლიკელების სახით, რომელთა ხედვები საგარეო პოლიტიკური ვექტორისა და ქმედებების შესახებ „ნაციონალების“ ხედვისგან, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება.** ამაზე მეტყველებს თინათინ ხიდაშელის განცხადებები. **საზოგადოების აქტიურობაა საჭირო, ჩვენ დაუფარავად და მკვეთრად უნდა გამოვხატოთ ჩვენი განწყობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლების ინერტულობის გამო, დღეს საზოგადოებაში ნიჰილისტური განწყობაა.** ადამიანები ინდივიდუალური გადარჩენის რეჟიმში ცხოვრობენ და ხსნას საზღვარგარეთ წასვლაში ხედავენ.

**— თინა ხიდაშელის მიერ „ბი-ბი-სი“-სთვის მიცემულმა ინტერვიუმ დიდი ხმაური გამოიწვია. ძალიან საინტერესო იყო მისი ფრაზა, რომლითაც მან საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართა, — თუ ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის სასიკეთო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, ქვეყანაში პრორუსული ძალები მომრავლდებიანო. რატომ ეშინიათ პრორუსული ძალების?**

— როგორც ზემოთ აღვნიშნე, **თინა ხიდაშელი მკვეთრად პროდასავლური განწყობით გამოირჩევა და დასავლური ძალების პოლიტიკის გამტარებელია, რაც ხშირად საქართველოს ინტერესებში არ ჯდება. მისი მკვეთრი ანტირუსული განცხადებები, რომლებიც „ბი-ბი-სი“-სთან გაკეთა, მისი აზრი ლენინგრადის ბლოკადაზე „გასაოცარი“ იყო...**

**რუსეთთან ურთიერთობა მოსაგვარებელია. ჩვენი ეკონომიკური სივრცე არის პოსტსაბჭოთა სივრცე. ვექტორი კი, რომელიც ავირჩიეთ, ქვეყნის გეოპოლიტიკური კოდის საწინააღმდეგოა.** ადამიანები, რომლებიც მხოლოდ თავისი კერძო სიმპათია-ანტიპათიის ან გამორჩენის მიზნით მოქმედებენ და ქვეყნის რეალურ ინტერესებზე არ ფიქრობენ, სოციალურად უპასუხისმგებლონი არიან.

რაც შეეხება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ჩვენს ინტეგრაციას, თხოვნები და მოთხოვნები ნამდვილად არ გაქრის, თუ ეს მათ ინტერესებში არ შედის.

**— ბევრს საუბრობენ მსოფლიოში ცნობილი ბანის, პაატა ბურჭულაძის, პოლიტიკაში ჩართვაზე. როგორ ფიქრობთ, გამოიყენებენ მას იმისთვის, რომ ენ-დი-აის კვლევებში ასახული პრორუსული ძალების ხმები გადაფარონ? ქართველი ამომრჩევლის 31% რუსეთთან დალაპარაკების მომხრეა. ეს ხმები არჩევნებში ვერ დაიკარგება, სანდო კაცი აუცილებელია. ჩვენ ვიცით, რომ ბურჭულაძე წლების განმავლობაში არ აპროტესტებდა „ნაციონალების“ ქმედებებს და ახლა ის პირველი გამოვიდა „რუსთავი 2“-ის დასაცავად. გარდა ამისა, პაატა ბურჭულაძემ ოდესის გუბერნატორად სააკაშვილის დანიშვნის აღსანიშნავ ღონისძიებაშიც მიიღო მონაწილეობა. ამასთანავე, ცნობილია, რომ მსოფლიო ბანმა ფეხი სწორედ რუსეთის სცენაზე აიდგა და იქ კარგი ურთიერთობებიც აქვს საკმაოდ ცნობილ ადამიანებთან...**

— გამორიცხული არაფერია. **ბოლო პერიოდში ძალიან ხშირია საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების პოლიტიკაში გამოყენების ფაქტები. ეს იმიტომ ხდება, რომ დღეს პოლიტიკა ფასადურია. ეს ცნობილი ტექნოლოგიაა, მათ უკან კი სულ სხვა ადამიანები დგანან — რეალური პოლიტიკის არქიტექტორები. პაატა ბურჭულაძე კარგი მომღერალია, ქველმოქმედი. ის საქართველოში უყვართ, ძალიან სამწუხარო იქნება, თუ პაატა ბურჭულაძე ვინმეს „შირმად“ გამოაყენებინებს თავს, პოლიტიკაში მოსვლის გამო ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას დაკარგავს.**

გავიხსენოთ **ბუბა კიკაბიძე**, რომლის გამოყენებაც ძალიან კარგად შეიძლებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოგვარების საქმეში. ის ორივე ქვეყანაში მეტნაკლებად პატივცემული ადამიანი იყო. მის იმიჯს გაფრთხილება სჭირდებოდა. ნორმალურ ქვეყანაში ასეთ ადამიანებს სახელმწიფო უფრთხილდება და კრიტიკულ მომენტებში იყენებს ხოლმე, მაგრამ **„ნაციონალებმა“ ბევრი ადამიანი მოაქციეს დაპირისპირების ეპიცენტრში და იმიჯიც შეულახეს. ესეც ტექნოლოგია იყო. დღეს ჩვენ მანიპულაციებისა და ტექნოლოგიების მსხვერპლნი ვართ. კიდევ ერთხელ ვიტყვი: ძალიან ცუდი იქნება, თუ პაატა ბურჭულაძე ამ თამაშში ჩაებმება.**



> **«ბოლო პერიოდში ხშირია საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების პოლიტიკაში გამოყენების ფაქტები. ეს იმიტომ ხდება, რომ დღეს პოლიტიკა ფასადურია. ეს ცნობილი ტექნოლოგიაა, მათ უკან კი სულ სხვა ადამიანები დგანან — რეალური პოლიტიკის არქიტექტორები»**

**— ყარაბაღში ვითარება ძალიან დაძაბულია, შესაძლოა, ომიც დაიწყოს. ვის აძლევს ხელს ომი ამ ტერიტორიაზე? აზერბაიჯანსა და სომხეთსაც რუსეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ...**

— თუ თვალს მივადევნებთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, ვნახავთ, რომ ყველაფერი დესტაბილიზაციისკენ არის მიმართული. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები, დევნილების ნაკადი — ეს ყველაფერი მართვადი ქაოსის რეჟიმია და ვიღაცას აძლევს ხელს.

**აზერბაიჯანში არჩევნები მოახლოებულია. ილჰამ ალიევმა საკმაოდ მკვეთრი განცხადებები გააკეთა ევროსტრუქტურების მისამართით. ესეც გასათვალისწინებელია. რაც შეეხება რუსეთს, ყველაზე მეტად სწორედ მას არ სურს არეულობა თავის საზღვართან.**

**— დავუბრუნდეთ თინა ხიდაშელის განცხადებას, — სანამ პირში სული მიდგას, საქართველოში რუსის ჯარი ვერ შემოვაო... რა იგულისხმა თავდაცვის მინისტრმა?**

— არ ვიცი, რა იგულისხმა. არც ის ვიცი, შეუძლია თუ არა მას საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედება. **თინა ხიდაშელი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი რომ არ იყოს, რაც უნდა, ის ილაპარაკოს, მაგრამ დღეს ის ხელისუფლების წარმომადგენელია და მისი განცხადებები ქვეყნის უსაფრთხოებას უკავშირდება.**

საერთოდ, მსოფლიოში დღეს ძალიან რთული ვითარებაა, ამიტომ ჩვენს ქვეყანას უნდა გავუფრთხილდეთ და ისე არ უნდა მოვიქცეთ, როგორც საბჭოთა კავშირის ნგრევის დროს...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ს სურს, ბატონი პაატა ქართველ ამომრჩეველს წარუდგინოს, როგორც „რუსეთის კაცი“. რატომ მაინცდამაინც, ბურჭულაძე და არა, მაგალითად, რომელიმე პოლიტიკური მოღვაწე? გათვლა მარტივია — საქართველოში აბსოლუტურად ყველა პოლიტიკოსი მეტ-ნაკლებად გასვრილია არა მხოლოდ ფინანსურ ან საწარმოო მაქინაციებში, არამედ მხილებულია ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების (რომლებიც ყოველთვის ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს) დაცვაში, რის გამოც, მოსახლეობის „დიდი სიყვარული“ დაიმსახურა.**

# ახალი ამერიკული პროექტი — «რუსული ბანი საქართველოს პარლამენტში»

**რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოჯამაგირემ და შეთავსებით საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა (რომელიც სამხედრო საქმეში ზუსტად ისევეა ჩახედული, როგორც მე ჩინური ენის ფონეტიკა-მორფოლოგიაში) ტელეარხ „ბი-ბი-სის“ შესჩივლა: თუ 2016 წლის ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, იკვეთება საშიშროება, ქართულ პარლამენტში პრორუსული ძალები მოვიდნენო.**




„პრორუსულ ძალებში“ ვინ იგულისხმა ქალბატონმა მინისტრმა, ჩემთვის არ არის ცნობილი. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდო — ან ბიზნესმენი **ლევან ვასაძე**, ან მსოფლიოს ბანი, „მეორე შალიაპინი“ (როგორც მას უწოდა მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა დირიჟორმა ჰერბერტ ფონ კარაიანმა), ოპერის მომღერლის უმაღლესი წოდების — „კამერზინგერის“ მქონე **პაატა ბურჭულაძე.**

კარგი, ვასაძეზე ყველაფერი ნათელია, მილიონები რუსეთში იშოვაო, — მეტყვის მკითხველი, მაგრამ, ბურჭულაძე?! მკითხველს ვერ დავეთანხმები ვასაძის მიმართაც და, აი, რატომ: **მილიონების, გნებავთ, მილიარდების შოვნა რუსეთში საერთოდ არ მეტყველებს იმაზე, რომ მშოვნელი რუსეთისადმი კეთილგანწყობილია. ბერეზოვსკიმ, გუსინსკიმ, ხოდორკოვსკიმ და სხვებმა ასტრონომიული თანხები ჩაიჯიბეს რუსეთის ძარცვა-გლეჯით, მისი მოსახლეობის დაქცევით, ეკონომიკის მოშლით, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მიწასთან გასწორებით. ასე რომ, ბატონ ვასაძეს, ძალიან დიდი ალბათობით, პრორუსულ ძალად ვერ ჩავთვლი.** „რუსეთუმეობაში“ ვერც ბატონ ბურჭულაძეს „დავადანაშაულებ“, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში გასტროლებზე ყოფნისას ბატონი პაატა დაქოქილი მექანიზმივით იმეორებს ერთსა და იმავეს — **ფაქტობრივად, საბჭოთა ადამიანი ვარო!** სამწუხაროდ, ჩვენი დიდი მომღერალი ამერიკელების მორიგი პოლიტიკური პროექტია. გემახსოვრებათ პროექტები „სააკაშვილი“ და „ივანიშვილი“. მაგრამ ბურჭულაძის შემთხვევაში **აშშ-ს სურს, ბატონი პაატა ქართველ ამომრჩეველს წარუდგინოს, როგორც „რუსეთის კაცი“. რატომ მაინცდამაინც ბურჭულაძე და არა, მაგალითად, რომელიმე პოლიტიკური მოღვაწე? გათვლა მარტივია — საქართველოში აბსოლუტურად ყველა პოლიტიკოსი მეტ-ნაკლებად გასვრილია არა მხოლოდ ფინანსურ ან საწარმოო მაქინაციებში, არამედ მხილებულია ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების (რომელიც ყოველთვის ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს) დაცვაში, რის გამოც მოსახლეობის „დიდი სიყვარული“ დაიმსახურა.**

ამერიკელებისთვის რთული არ იქნება, მომავალ პარლამენტში რესპუბლიკელების, „ნაცებისა“ და ალსანიას პარტიის კოალიცია უმრავლესობაში მოიყვანონ, ხოლო უმცირესობაში სხვა სატელიტები დასვან — **ჩვენი ცესკო ხომ უყოყმანოდ დათვლის ხმებს ზუსტად ისე, როგორი „შპარგალკაც“ აშშ-ის საელჩოდან მიუვა,** მაგრამ პრობლემა სხვა რამეა. ამერიკული ენ-დი-აის კვლევებითაც კი მოსახლეობის, სულ ცოტა, მესამედი, ასე ვთქვათ, პრორუსულად არის განწყობილი და, პარლამენტი მედასავლეთეებით რომ სრულად დაკომპლექტდეს, **გაჩნდება შეკითხვა — კი, მაგრამ, სად არის მოსახლეობის მესამედის (ამერიკელებისავე დათვლილი) ხმები?** ასეთი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად კი საჭიროა ფსევდოპრორუსული ძალა, რომელიც იქნება ერთგვარი „შირმა“ — ა, ბატონო, არნახულად დემოკრატიული არჩევნების შედეგად საქართველოს პარლამენტში პრორუსული პოლიტიკური ძალაც არის წარმოდგენილი, თანაც, ასეთი პატივცემული ადამიანის თაოსნობითო!

რომელი პატივცემული ადამიანის?

**სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს სცენაზე მსოფლიოს ბანი. პაატა ბურჭულაძე, ერთი შეხედვით, სუფთა კაცია; დამატებით — გაეროს კეთილი ნების ელჩი, ქველმოქმედი, ხელმძღვანელობს საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“, ეხმარება გაჭირვებულ ოჯახებს, პატრონობს ობოლ ბავშვებს და, შესაბამისად, საზოგადოებისთვის გაცილებით უფრო პატივსაცემია, ვიდრე ყველა პოლიტიკოსი და მათი პარტიები ერთად აღებული.**

ჰოდა, — გადაწყვიტეს პოტომაკის ნაპირებზე, — ფსევსოპრორუსული ძალის შესაქმნელად ბურჭულაძეზე უკეთეს კანდიდატურას სანთლითაც ვერ მოვძებნითო. აქაც შემედავება მკითხველი: მერე, ამერიკელები არ შეეკითხებიან ბურჭულაძეს, — თანახმა თუ ხართო? პაატა ხელწამოსაკრავი ადამიანი არ არის, ვერ გაუბედავენ, ვერ შესთავაზებენ სამშობლოს ღალატს, „კამერზინგერს“ რას დააკლებენო?!

სდექ! აი, ზუსტად რომ „პირველი ბანობით“, „კამერზინგერობით“, „გაეროს კეთილი ელჩობითა“ და სხვა წოდებებით ამერიკელებს ხელ-ფეხით ჰყავთ განასკვული ბატონი ბურჭულაძე. სამწუხაროდ, საოპერო ხელოვნებაც ე.წ. შოუბიზნესის საკუთრებაა; ხოლო ვინც იცის ამ „ხორცსაკეპის“ კანონები, დამეთანხმება — მას შეუძლია, ერთ წუთში გაგხადოს მსოფლიო დონის ვარსკვლავი, მეორეში კი — ლაფში ამოგსვაროს. ბატონმა ბურჭულაძემ შოუბიზნესის ზემოხსენებული „ხასიათის მკვეთრი ცვალებადობა“ მშვენივრად იცის და, ნამდვილად არ უნდა სურდეს მწვერვალიდან ჩამოვარდნა. მსოფლიო ბანს, აგრეთვე, არ ენდომება, რომ დასავლეთის წამყვან გაზეთებში მასზე დაიწეროს გამანადგურებელი რეცენზიები, დაახლოებით, ამ სათაურით: **„სენსაცია! ბურჭულაძემ სიბერისგან ხმა დაკარგა!“ ან „ვირის ყროყინი „მეტროპოლიტენ ოპერაში!“,** ან, თუ გნებავთ, აი, ასეთი: „**დღეს ბურჭულაძემ მეორედ დააყარა მიწა ჯუზეპე ვერდის“** და ა. შ. ეს იქნება ურჩი მომღერლისთვის პირველი გაფრთხილება. ხოლო, ბატონი პაატა გონს თუ არ მოეგო, მსოფლიოს პირველ ბანს მომთხოვნი, ემოციური, ტემპერამენტიანი, ბოლოს და ბოლოს, ფიცხი იტალიელი მსმენელი დაუშენს ლაყე კვერცხებს ან დამპალ პომიდვრებს! მაშასადამე, ნუ იმედოვნებთ, რომ ბატონი ბურჭულაძე უარს იტყვის ამერიკელებთან თანამშრომლობაზე.

ჩემი აზრით, **„კომედი-შოუ“ დაიწყო მაშინ, როდესაც „ნაცებმა“ 2012 წლის არჩევნების წინ შესთავაზეს ბატონ პაატას საარჩევნო სიის სათავეში ყოფნა. მათ თანხმობაც ჰქონდათ, მაგრამ ერთ საკითხში გაიჭედნენ — ასეთ საქმეზე მსოფლიოში სახელგანთქმულ ბანს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე კურთხევას არ მისცემდა.**

სწორედ ეს იყო ხელის შემშლელი ფაქტორი, თორემ სატელიტი და ლეღვის ფოთოლი პარტიების შექმნა-აფარების გამოცდილება „ნაცებს“ რომ ჰქონდათ, ისეთი უნდა. გავიხსენოთ თუნდაც გაიძვერა **გიორგი თარგამაძის** აბსურდული დასახელების **„ქრისტიან-დემოკრატიული“** პარტია ან დავძაბოთ მეხსიერება და „კეთილად“ მოვიგონოთ **ბაჩუკი ქარდავას ედპ,** რომელსაც ხალხი დაუფარავად უწოდებდა სააკაშვილის ასკარიდას!...

მაგრამ მთავარს დავუბრუნდეთ — ნაპრეზიდენტალმა, ახლა კი ოდესის ოლქის გუბერნატორმა, „განთქმულმა“ წუწურაქმა სააკაშვილმა, თავისი პატრონების (ამერიკელების) ფული, მათივე ზეწოლით, არ დაიშურა და ამა წლის ივნისში ოდესაში ჩაატარა პირველი მუსიკალური ფესტივალი სახელწოდებით **„ოდესა კლასიკი“** და ეს თვალსაჩინო ღონისძიება სწორედ პაატა ბურჭულაძემ გახსნა ოდესის ფილარმონიის სცენაზე გამოსვლით. **ოდესაში ჩატარებული ფესტივალი კონსპირაციის ნაწილი იყო, ამით უნდა გაემართლებინათ ბურჭულაძის ოდესაში ყოფნა და მისი „შემთხვევით“ შეხვედრა სააკაშვილთან. როგორც პრესაში გაჟონა, მომღერალი შეხვდა სააკაშვილს და სწორედ ამ შეხვედრაზე დაისახა საორგანიზაციო საკითხების თანმიმდევრული მოგვარების გეგმა და მთავარი ამოცანები.**

სწორედ აქ არ დაიმალა ცეცხლი თივაში და ბურჭულაძეს წამოსცდა, რატომ არ გახდა ის „ნაცების“ სიის პირველი ნომერი 2012 წლის არჩევნებზე და რა არის მისი მიზანი 2016 წლის არჩევნებისათვის. როგორც „ნაცმოძრაობასთან“ პერანგის ამხანაგივით დაახლოებული მედია წერს, „ნაცების“ წინადადებაზე ბურჭულაძემ უპასუხა, — **არც ერთ გადაწყვეტილებას, რომლებიც საქვეყნო საქმეს შეეხება, პატრიარქთან მოთათბირების გარეშე არ ვიღებ. შევხვდები პატრიარქს და ერთად გადავწყვეტთ ამ საქმესო.**

როგორც უკვე გითხარით, **2012 წელს „ნაცების“ სიის პირველ ნომრად ბურჭულაძე სწორედ იმიტომ ვერ ვიხილეთ, რომ მისი უწმინდესობა ნამდვილად არ მისცემდა პაატა ბურჭულაძეს ლოცვა-კურთხევას, მომღერალი „ნაცების“ საარჩევნო სიას სათავეში ჩასდგომოდა. ამ გაკვეთილიდან „ნაცებმა“ შესაბამისი დასკვნები გამოიტანეს და ბურჭულაძეს პოლიტიკური სცენისთვის ისეთი გარნირით ამზადებენ, რომ მას არ ჰქონდეს პატრიარქისგან კურთხევის მიღების თვალშისაცემი დაბრკოლება. გათვლა მარტივია — სულაც არ არის გამორიცხული, რომ პატრიარქმა მოიწონოს ბატონი ბურჭულაძის (რასაკვირველია, ამერიკელების მიერ ნაკარნახევი) სურვილი, შექმნას ახალი, „ჭეშმარიტად პროქართული“ პარტია ან პოლიტიკური გაერთიანება და ამაზე ერის სულიერი მამის ლოცვა-კურთხევაც მიიღოს.**

რას მოიმოქმედებს შემდეგ ბატონი პაატა? ლოგიკის მიხედვით, ამერიკელების, კერძოდ, საქართველოში ახალდანიშნული „ღენერალ-ღუბერნატორის“, შეთავსებით საქართველოში აშშ-ის ელჩის, ჩათვალეთ, ყველა ანტიქართული ძალების „ბელადის“ — **იან კელის** მითითებით ის გააკეთებს ასეთ განცხადებას: **„რუსეთთან უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები, რადგან რუსეთია ერთადერთი გარანტი საქართველოს გაერთიანების!“**

და **თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუსეთთან ნორმალური კავშირის აღდგენაზე უკვე თანახმაა საქართველოს მოსახლეობის გადამწყვეტი უმრავლესობა, ბატონი ბურჭულაძის ავტორიტეტი გასამმაგდება და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მსოფლიოს პირველი ბანი და მის მიერ სახელდახელოდ შექმნილი გაერთიანება ან პარტია ყველა დანარჩენ პარტიას წარუდგება, როგორც „განსხვავებული პოლიტიკური ვექტორის“ მქონე ძალა.**

და, მართლაც, **არ არის გამორიცხული, რომ მომავალ პარლამენტში „პრორუსები“ ბურჭულაძის მეთაურობით საპარლამენტო უმცირესობას წარმოადგენდნენ, თუმცა ეს ე.წ. პრორუსული ძალა ჭეშმარიტად ამერიკულ საქმეს გააკეთებს, ანუ უკვე პრორუსულობის სახელით განაგრძობს ქვეყნის საბოლოო განადგურებას.**

მომავალ „მესიის“ გამოცხადებაში რომ არ შევცდეთ, გავიხსენოთ პაატა ბურჭულაძის ზოგიერთი საქმენი, რომლის მიტევება არ შეიძლება: **დიდი მომღერალი დუმდა, როდესაც სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმი სჩადიოდა დანაშაულს საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ! უფრო მეტიც, ბოროტმოქმედ სააკაშვილს საჯაროდ გადაეხვეოდა, კოცნიდა და მისი სისხლში გასვრილი ხელიდან ჯილდოებს იღებდა! და მთავარზე მთავარი — ბატონი ბურჭულაძე დღემდე მეგობრობს ნაპრეზიდენტალთან. მას ერთხელაც არ დაუგმია თუნდაც ციხეებში სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოწყობილი ცოდვის კალო, რომელსაც ამერიკელებიც კი ვეღარ უძებნიან გამართლებას.**

თუ ეს გაგვახსენდება და სიმტკიცეს გამოვიჩენთ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, დარწმუნებული ვარ, ბატონი ბურჭულაძე და სხვა მოგიორგითარგამაძო ფსევდოოპოზიციონერები ქვეყნის სათავეში ვერ მოკალათდებიან და მორიგი ამერიკული პროექტი „პაატა ბურჭულაძე“ საპნის ბუშტივით გასკდება.

**გიორგი კორძაძე**

**„წინა ხელისუფლებამ მოსპო ანტიმონოპოლიური სამსახური. მონოპოლია „თელასს“ აქვს ჩაგდებული! აბა, სხვა წყარო მითხარით, რომელთანაც შევძლებ ხელშეკრულების გაფორმებას ელექტროენერგიის მისაღებად? ასეთი წყარო არ არსებობს. იგივე შეიძლება ითქვას წყალზე დაწესებულ მონოპოლიაზე. საწვავშიც იგივე არ არის? ძალიან კარგია დიდი მოგება: სახელმწიფოსაც ხელს აძლევს — მოგების 15 პროცენტი მასთან მიდის. უხარია. მაგრამ სხვაგან რომ საქმე ფუჭდება და ათი იმდენი ეკარგება, ამას რა ვუყოთ?“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ზარბეგ ბერიაშვილი:

# ყაჩაღები სხედან ამ «საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურებში» და მათ მიერ მოცემული სესხი ზურგში ნასროლ ტყვიასავითაა!

**სახელგანთქმულმა ქართველმა ფალავანმა და სამეურნეო საქმიანობის სამაგალითო ორგანიზატორმა ზარბეგ ბერიაშვილმა „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარი მადლობის თქმით დაიწყო:**

— მადლობა მინდა ვუთხრა თქვენი გაზეთის მთავარ რედაქტორს, ბატონ ირაკლი თოდუას. მისი ხელმძღვანელობით თქვენი გაზეთი ისეთ იშვიათ გამოცემად იქცა, რომელიც ხალხს სიმართლეს ეუბნება, ამიტომ მიხარია თქვენს რედაქციაში მოსვლა.

**— ბატონო ზარბეგ, ტელეფონით საუბარში შეგატყვეთ, რომ სათქმელი დაგიგროვდათ.**

— მხოლოდ მე კი არა, საქართველოს, ჩვენს მოქალაქეებს დაუგროვდა ბევრი სათქმელი, სურვილებიც, რა თქმა უნდა, შეკითხვებიც. 25 წელიწადია, საბჭოთა კავშირი დაიშალა, ყველას ეშველა, ისეთ რესპუბლიკებსაც კი, რომლებიც სახელმწიფო დოტაციაზე იმყოფებოდა, სომხეთს, მაგალითად. თუ არ მეშლება, საკავშირო დოტაცია ჩვენი ამ მეზობლის ეკონომიკაში 40 პროცენტი იყო. **დღეს სომხეთში, რომელიც, ფაქტობრივად, ბლოკადაში იმყოფება, გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ერთ დროს წარმატებულ საქართველოში. გადით ჩვენს ბაზრებში და ნახავთ, რომ იქ სომხური პროდუქტი ქართულზე მეტია.** საქართველოსთვის ყველა მიმართულებით გზა გახსნილია, ბევრ ქვეყანასთან გვაქვს საქმიანი ურთიერთობა და მაინც ვერ გვიშველია საკუთარი თავისთვის. ვერ გამიგია, რა ხდება. ძალით ხომ არ გვაგდებენ ამ მდგომარეობაში?! ვიღაც სპეციალურად ხომ არ აკეთებს ამას?! აქედან — ხელშეშლა, იქიდან — ხელშეშლა, და ხალხი გაჭირვებაშია.

ეკონომიკა ფეხზე ვერა და ვერ დადგა. მე ის მიკვირს, 160-ლარიან პენსიას კიდევ როგორ აძლევენ ხანდაზმულ, დამსახურებულ ადამიანებს.

თუ რამ იქმნება საქართველოში, უცხოური ფირმებისაა, და იქიდან მიღებული მოგება ისევ უცხოეთში მიდის.

**— ამ ყველაფერს ემატება ეროვნული ვალუტის პრობლემა, რომელიც კატასტროფულად გაუფასურდა.**

— საქართველოში ბევრია განათლებული, გამოცდილი და ამ საკითხში ჩახედული ადამიანი, რომლებიც ამ თემაზე პროფესიულად ისაუბრებენ... მაგრამ მაინც ვიტყვი: დოლარი გამყარდა, ლარი გაუფასურდა. ნავთობი გაიაფდა, სხვა ყველაფერი გაძვირდა. საწვავის გაძვირება ფართო მოხმარების საქონლის გაძვირებას რომ იწვევდა, ვიცოდით, მაგრამ ერთის გაიაფება მეორის გაიაფებას რატომ არ იწვევს?

და, გაიაფება საერთოდ რომ არ ხდება საქართველოში, ეს ხომ ფაქტია!

**— რატომ? იდეები ხომ უფასურდება, სინდის-ნამუსიც, ბატონო ზარბეგ?**

— ეგ ასეა... **საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნული ვალუტების გაიაფებას, ჩემი აზრით, ქართულ ლარზე ნაკლებად უნდა ემოქმედა. მოხდა კი პირიქით. ვერ გავიგე, რა ხდება.**

**— ეკონომიკის ექსპერტები, რომლებიც ბოლო დროს არნახულად მოგვიმრავლდნენ, ლარის დევალვაციის პროცესს ხან ხადურს აბრალებენ — ფინანსთა მინისტრს, ხან ქადაგიძეს — ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.**

— ჩვენთან ხომ ყველაფერი პერსონიფიცირებულია... მაპატიეთ კადნიერება, მაგრამ ისევ ჩემს აზრს მოგახსენებთ. ეროვნულმა ბანკმა რამდენიმე წლის წინათ რა დამართა ბიძინა ივანიშვილის „ბანკ ქართუს“ ხომ ცნობილია?! მაშინ, როგორც პროფესიონალები ამბობდნენ, კატასტროფის წინაშე დადგა მთელი ჩვენი საბანკო სისტემა. ვინმეს მოეკითხა ამის გამო? — არა. პრესის მეშვეობით შევიტყვე, რომ **ეროვნული ბანკი ისე იქცევა, თითქოს ის ფული, რომელიც მის სეიფებში დევს, მისი საკუთრება იყოს: მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდს წინასწარ გადაუხადა ის ვალი, რომელიც 2017 წელს უნდა გაესტუმრებინა.** რა თქმა უნდა, დოლარებში. რატომ იჩქარა ეროვნულმა ბანკმა ამ ვალუტის გადინება ქვეყნიდან? ეს არ არის დანაშაული? **ქადაგიძე ამით სსფ-ს ხელმძღვანელებთან „საქმეს თუ იკეთებს“, არ ვიცი, მაგრამ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ დანაშაულს რომ სჩადის, აშკარაა. ვალის წინასწარ გადახდის საშუალება ძალიან მდიდარ ქვეყნებსაც არ აქვთ. რა დავარქვათ ამას, კუდაბზიკობა, თუ ქვეყნის საფინანსო სისტემის შერყევა?**

**ასეთი დანაშაულისთვის (დაჭერისგან ღმერთმა დაიფაროს), პასუხისგებაში უნდა მიეცეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, დიდი ჯარიმა უნდა დაეკისროს პირადად მას და მოიკვეთოს საქართველოდან.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ გამძარცველი და გამყვლეფია ყველა იმ ქვეყნისა, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონია და აქვს. **ყაჩაღები სხედან ამ „საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურებში“, როგორც მათ უწოდებენ. მათ მიერ მოცემული სესხი ზურგში ნასროლ ტყვიასავითააო, — ხშირად უთქვამთ პროფესიონალ ფინანსისტებს.**

## «საქართველო და მსოფლიოს» ენა რომ შეგაჩვიეს, ხომ პირდაპირ და უშეცდომოდ მიგვანიშნებს, რომ ასეთი სიცრუის გამავრცელებელი ე.წ. ენჯეოები თვითონ არიან უხვად დაფინანსებული, თანაც იმ ძალების მიერ, რომლებსაც ეს საქმე სრულიად მსოფლიოში აქვთ სანიმუშოდ აწყობილი. პროვოკატორობა ჰქვია ამას»

ესეც პრესაში მაქვს წაკითხული.

ეროვნულ ბანკს კი მეთვალყურეც არ ჰყავდა. ახლა, როცა ცალკე გამოყვეს მისი მაკონტროლებელი სპეციალური სტრუქტურა, „ნაციონალებმა“ ისეთი წივილ-კივილი ატეხეს, გეგონებოდათ, ცა ჩამოექცათ თავზეო.

**— ამით ერთხელ კიდევ გაალრმავეს ეჭვი თავიანთ „არანორმატიულ“ კავშირზე აღნიშნულ საფინანსო სტრუქტურებთან.**

— შეიძლება, ასეც იყოს. აქედან დასკვნა: დამნაშავეა ის, ვინც ამ გარიგებიდან მოგებას ნახულობს.

ერთიც — ვინც ფულს შოულობს, დოლარებში ინახავს. შემდეგ ეს დოლარები გააქვთ საზღვარგარეთ, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენთან დარჩეს. ასეც ჩნდება ვალუტის დეფიციტი.

**— ბოლო ხანს გამოქვეყნებული წერილებით ექსპერტები ამტკიცებენ, რომ „ნაციონალების“ მიერ ინსპირირებული „ყურძნის რევოლუცია“ ჩაფლავდა.**

— ჩაფლავება იმთავითვე ეწერა, რადგან ხალხი არ არის ისეთი მიამიტი, როგორიც ადრე იყო. რთველთან ერთად „ნაცების“ პროვოკაციაც მთავრდება.

არ გეწყინოთ, ერთ რამეს გეტყვით: მთელი ის აჟიოტაჟი, რომელიც ყურძნის შესასყიდი ფასების გამო ატყდა, თქვენი, ჟურნალისტების ბრალია. ერთ მაგალითსაც დაგისახელებთ. 23 სექტემბრის „ალია“ წერდა: „22 სექტემბერს... როცა ამ არხზე („რუსთავი 2“-ზე) გავიდა სიუჟეტი, სადაც ვნახეთ, როგორ ჩეხს „საკუთარ“ ვენახს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში მცხოვრები გელა გრიშჩენკო“. გაზეთმა ამხილა სიყალბეში ეს ვიღაც გრიშჩენკო და „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი.

ამ ვენახის პატრონი მარუსა დოლეჯაშვილი თქვენს კოლეგას ეუბნება: „...ეგა გვქონდა ადრეულა ვენახი, აგვისტოში მორჩა მაგისი კრეფა. დაძველდა, დაბერდა ვაზი და ჩვენ თვითონ ვაპირებდით გაჩეხვასა. ვაზი სუ აქეთ-იქით იყო წაქცეული... ვიღაცები მიუყვანია, ერთი ამბავი ყოფილა, გადაუღიათ, ტელევიზორშიც ყოფილა. ეგ ჩვენი ვენახია, გრიშჩენკო ჩვენი მომიჯნეა... მაგან ახალი გააშენა, იმას როგორ გეეკარებოდა?.. ეგ მაინც გადასაჭრელი იყო“...

ასეთი სიყალბით შეეცადა „რუსთავი 2“ ხალხის გაბითურებას. ასეთი მიკერძოებული მაგალითი უამრავია. ნასყიდი ჟურნალისტები მოგვიმრავლდნენ, სამწუხაროდ...

ტაშს რომ ვუკრავდით,— საბაზრო ეკონომიკა გვინდაო, გამყიდველს ეგონა, რასაც ბაზარში ფასს დაადებდა, იმდენად გაყიდდა, მყიდველი დარწმუნებული იყო, რასაც მისცემდა, იმას იკმარებდა გამყიდველი.

სოფელში გაზრდილი კაცი ვარ და ნურავინ მასწავლის გლეხის შრომის დაფასებას. **კილოგრამი ყურძენი ლარი კი არა, ხუთიც უნდა ღირდეს. მაგრამ მყიდველიც კერძო პირია და გამყიდველიც. მთავრობა რა შუაშია?! ასე ჩაწერეთ! მაგრამ გლეხს კომპენსაციას რომ აძლევს, ვისი ფულია?**

**— ჩვენი, ბიუჯეტის.**

— ამიტომაც გვაქვს პენსია 160 ლარი. ამაზე კი უნდა დაფიქრდეს მთავრობა...

**წინა ხელისუფლებამ მოსპო ანტიმონოპოლიური სამსახური. მონოპოლია „თელასს“ აქვს ჩაგდებული! აბა, სხვა წყარო მითხარით, რომელთანაც შევძლებ ხელშეკრულების გაფორმებას ელექტროენერგიის მისაღებად? ასეთი წყარო არ არსებობს. იგივე შეიძლება ითქვას წყალზე დაწესებულ მონოპოლიაზე. საწვავშიც იგივე არ არის? ძალიან კარგია დიდი მოგება: სახელმწიფოსაც ხელს აძლევს — მოგების 15 პროცენტი მასთან მიდის. უხარია. მაგრამ სხვაგან რომ საქმე ფუჭდება და ათი იმდენი ეკარგება, ამას რა ვუყოთ?**

ისედაც გაჭირვებული ხალხის კისერზე ტყდება ყველაფერი. მთავრობა რომ ხარ, გააკეთე ისე, ხალხი არ აზარალო, დიდი შემოსავლის მიღების საშუალება მიეცი, დაუკავე საშემოსავლო, იქნებ, მონოპოლისტების გადასახადებზე მეტი შემოგივიდეს. არ აჯობებს ასე? ხალხიც კმაყოფილი დაგრჩება...

კომუნისტებს ყველაფერი დასაძრახი არ ჰქონდათ... ეგეც ჩაწერეთ. რაიკომის მდივანი კაი დედ-მამის შვილი იყო და გაბედავდა, ხალხის მიღების საათები ყოველკვირეულად არ ჰქონოდა.

ჩვენი დღევანდელი გამგებლები კი ისე გაურბიან ხალხთან ლაპარაკს, როგორც შავ ჭირს. ელექტროფოსტით გამოგვიგზავნეთო თქვენი საჩივარი. ტელეფონის ზარს არ უპასუხებენ, — „მესიჯით“ შემატყობინეთო. ჩვენი მოქალაქეების რამდენ პროცენტს შეუძლია ამ ახალი ტექნიკური შესაძლებლობებით სარგებლობა? დიდი-დიდი 20 პროცენტს. დანარჩენს რა, კისერიც უტეხიათ?! საყოველთაო კომპიუტერიზაციიდან ჯერ ძალიან შორს ვდგავართ.

**— ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, 23 სექტემბერს კახეთში ბოლო 25 წლის განმავლობაში რეკორდული რაოდენობის ყურძენი დაიწურა — 6722 ტონა. ერთ დღეზეა ლაპარაკი. 28 სექტემბრის დილის მონაცემებით კი სულ 72 ათას ტონამდეა გადამუშავებული. „ნაცები“ კი ამტკიცებდნენ, რომ გლეხს ურჩევნია, გაუფუჭდეს მოსავალი, ვიდრე კილოგრამი 60 თეთრად ჩააბაროს.**

— დიდი ჭკუა და გამჭრიახობა არაა საჭირო იმისთვის, გავარკვიოთ, არეულობა კახეთში „ნაციონალების“ მიერ რომ იყო ორგანიზებული და, რაც მთავარია, გაყიდული პრესისა და ტელევიზიების მიერ მხარდაჭერილი. ვინმემ შეჰკადრა საყვედური მაინც? — არა. სიტყვის თავისუფლების პრინციპების დაცვა ამის უფლებას არ გვაძლევსო. არეულობისკენ მოწოდება, თუ სიტყვის თავისუფლებას ნიშნავდა, აქამდე არ ვიცოდი.

ან **„საქართველო და მსოფლიოს“ ენა რომ შეგაჩვიეს, ხომ პირდაპირ და უშეცდომოდ მიგვანიშნებს, რომ ასეთი სიცრუის გამავრცელებელი ე.წ. ენჯეოები თვითონ არიან უხვად დაფინანსებული, თანაც იმ ძალების მიერ, რომლებსაც ეს საქმე სრულიად მსოფლიოში აქვთ სანიმუშოდ აწყობილი. პროვოკატორობა ჰქვია ამას.**

მადლობა ღმერთს, ჩვენს ხალხს ამ იაფფასიანი საკენკით ვერ შეაცდენ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S.-ის ნაცვლად:**

**— სასაცილოა, როცა პრემიერმინისტრსა და პრეზიდენტს შორის ისეთი ურთიერთობაა, ისეთი კურიოზული დამოკიდებულება, რომ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებით. ასეთი თავკერძობა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ავტორიტეტის დაცემას უწყობს ხელს. მეეჭვება, რომ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც ამ დღეებში ტარდება, რომელიმე სხვა ქვეყანა პრემიერმინისტრითა და პრეზიდენტით ერთდროულად არის წარმოდგენილი, ცალ-ცალკე დელეგაციებითა და სხვადასხვა თვითმფრინავით ჩასული, — გულდაწყვეტით ასკვნის ბატონი ზარბეგ ბერიაშვილი, — თქვენს მკითხველებს არ ესწავლება, რომ „წესების გარეშე ბრძოლასაც“ აქვს თავისი წესები და, რა ძნელი დასაცავი უნდა იყოს ორი უმაღლესი პირის მიერ ურთიერთობისა და სახელმწიფოს მართვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ისე აღსრულება, ქართულ სახელმწიფოს რომ არ ავნონ?!**

წითელი ბარათი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალური მოძრაობის“ ყველა წევრს, რიგითობის მიხედვით, წითელ ბარათს ვუჩვენებდი. წითელ ბარათს ვუჩვენებდი „ქართულ ოცნებასაც“. მოქმედ ხელისუფლებას მივცემდი წითელ ბარათს, რადგან „ნაციონალებს“ საშუალება მისცეს, დღესაც ასე გველივით ისისინონ. დღეს „ნაციონალები“ ხმის ამოღებას ვერ უნდა ბედავდნენ, ქუჩაში ვერ უნდა გამოდიოდნენ, მაგრამ ვხედავთ, რომ თითს გვიქნევენ, გვემუქრებიან და უკვე სამოქალაქო ომზეც კი ალაპარაკდნენ“.**

## ლალი აფციაური:

# წითელ ბარათს ვუჩვენებდი ირაკლი ალასანიას, აგრეთვე, «ქართულ ოცნებას»

**თამაშის წესების დარღვევისთვის მსაჯს უფლება აქვს, ფეხბურთელს წითელი ბარათი უჩვენოს და მინდვრიდან გააძევოს. ამ ბარათების რაოდენობა ზოგჯერ საკმაოდ დიდია. მაგალითად, 1970-იანი წლების ბოლოს მექსიკური გუნდების — „ატლეტიკოსა“ და „ესპანიოლის“ მოთამაშეები მსაჯმა გონსალესმა 26 წითელი ბარათით დასაჯა. ფეხბურთის ისტორიაში ამ მხრივ ყველა რეკორდი მოხსნა არგენტინელმა მსაჯმა დამიან რუბიომ. მან ბუენოს-აირესში გამართული მატჩის დროს საფეხბურთო კლუბების — „კლეიპოლესა“ და „აურელიანო არენასის“ მოთამაშეებსა და მწვრთნელებს 36 წითელი ბარათი უჩვენა. თამაშის წესებს ხშირად არღვევენ პოლიტიკოსებიც, თუმცა მათი უმრავლესობა, როგორც წესი, დაუსჯელი რჩება; მეტიც, ვინაიდან ჩვენში პოლიტიკა კვლავ სარფიან საქმედ მიიჩნევა, ბევრი — მრავალი წლის განმავლობაში, ზოგიერთი კი სამუდამოდ კვლავ აქტიურ პოლიტიკოსად რჩება. საზოგადოების წარმომადგენელთა აზრით, რომელი პოლიტიკოსი იმსახურებს პოლიტიკურ წითელ ბარათს, ჩვენი რუბრიკიდან შეიტყობთ. რუბრიკის სტუმარია უფლებადამცველი ლალი აფციაური.**



**— ქალბატონო ლალი, ქართველი პოლიტიკოსებიდან ვინ აღარ იმსახურებს პოლიტიკაში ყოფნას, ვის უჩვენებდით წითელ ბარათს და გააძევებდით?**

— „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა წევრს, რიგითობის მიხედვით. წითელ ბარათს, **აგრეთვე, ვუჩვენებდი „ქართულ ოცნებას“.** მოქმედ ხელისუფლებას მივცემდი წითელ ბარათს, რადგან მათ „ნაციონალებს“ საშუალება მისცეს, დღესაც ასე გველივით ისისინონ. დღეს „ნაციონალები“ ხმის ამოღებას ვერ უნდა ბედავდნენ, ქუჩაში ვერ უნდა გამოდიოდნენ, მაგრამ ვხედავთ, რომ თითს გვიქნევენ, გვემუქრებიან და უკვე სამოქალაქო ომზეც კი ალაპარაკდნენ, ამიტომ წითელი ბარათი „ქართულ ოცნებასაც“ ეკუთვნის.

ამას გარდა, უმრავლესობაში ძალიან ბევრი მოხვდა მაქინაციების წყალობით და შემდეგ პარლამენტარის სავარძელიც მოირგო, მაგალითად, ირაკლი ალასანია. **წითელ ბარათს, პირველ რიგში, სწორედ ირაკლი ალასანიას ვუჩვენებდი, რადგან მისი საქციელი, პოლიტიკურ შეფასებებს თავი რომ დავანებოთ, ადამიანური თვალსაზრისით, არაკაცურია.** ირაკლი ალასანია „ქართული ოცნების“ დაუხმარებლად ხელისუფლებაში ვერასდროს მოხვდებოდა, ამიტომ ასეთი ბინძური მეთოდებით ბრძოლა მიუღებელია. თუ ასეთი ცუდი იყო ეს ხელისუფლება, რატომ მაშინ არ იღებდა ხმას, როცა თვითონ იყო ხელისუფლებაში? არადა, ირაკლი ალასანიას დიდ პატივს ვცემდი, მაგრამ ახლა წითელ ბარათს ვუჩვენებდი.

**— ირაკლი ალასანიას რომელი ქმედება ან განცხადება არ მოგეწონათ ყველაზე მეტად?**

— ყველაზე მეტად მისი განცხადებები არ მომწონს. **ირაკლი ალასანია ახლა რომ გაიძახის, ეს ხელისუფლება სახელმწიფოს ღუპავსო, ამ ერთ და ორ თვეში დაიწყო ამ ხელისუფლებამ სახელმწიფოს დაღუპვა? თვითონ ხომ იყო ხელისუფლებაში და „შიგა სამზარეულოც“ ჩვენზე უკეთ იცოდა და, თუ ქვეყანა სამი წლის განმავლობაში ინგრეოდა, რატომ იყო ჩუმად? რატომ ამოიღო ხმა მხოლოდ მეოთხე წელს და თავიდანვე არ დაიწყო ამ ყველაფერზე ლაპარაკი?**

ხელისუფლებაზე ცუდის ლაპარაკი მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღარ ხარ იმ ხელისუფლებაში (და რატომ აღარ არის, ეს კიდევ ცალკე თემაა) კარგი საქციელი ნამდვილად არ არის.

**— რატომ აირჩია ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანია თანამებრძოლად?**

— ვერ გეტყვით, ალასანიას გარდა, იმთავით- ▶



## თემურ შაშიაშვილი:

# საბჭოთა საქართველო თუ კრემლიდან იმართებოდა, დღეს თეთრი სახლიდან ვიმართებით, ეს კი დამოუკიდებლობა არ არის...

**მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერით საქართველომ 24 წლის წინათ ნანატრი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თუმცა წლების შემდეგ მაინც აქტუალურია კითხვა — არის კი დღეს ქვეყანა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი გარე ძალების ჩარევისგან? რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდა საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და როგორ განვლო თავისუფლების 24 წელი 1990-იანი წლებიდან დღემდე? — ამ საკითხებსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ჩვენს რუბრიკაში ისაუბრებენ. რუბრიკის სტუმარია პოლიტიკური პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი.**

**— საქართველომ დამოუკიდებლობა 24 წლის წინათ მოიპოვა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველო მართლაც სუვერენული სახელმწიფოა?**

— დამოუკიდებლობა ქვეყნისთვის სანუკვარი, სანატრელი ოცნებაა და მისთვის ბრძოლას თაობები შეეწირნენ, მაგრამ ჯერ უნდა გავარკვიოთ, რას ნიშნავს ჩვენთვის დამოუკიდებლობა. **თუ ჩვენთვის დამოუკიდებლობა მხოლოდ მოსკოვისგან დამოუკიდებლობასა და ამერიკის ქვეშევრდომობას ნიშნავდა, მაშინ გამოდის, რომ ეს ორივე მიზანი მიღწეულია, მაგრამ რეალურად ეს ხომ არ არის დამოუკიდებლობა?** დამოუკიდებლობა ნიშნავს, როდესაც სხვის მიერ არ იმართები. თუმცა ისიც მესმის, რომ აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს (როგორც ფილოსოფოსები ამბობდნენ), მაგრამ შენს ხალხთან ერთად იმას მაინც უნდა წყვეტდე, სახელმწიფო რა დათმობებზე შეიძლება წავიდეს დიდი მიზნებისთვის. ჩვენ კი ისიც არ ვიცით, რა დავთმეთ და რას ვთმობთ... უბრალოდ, ვხედავთ, რომ **საბჭოთა საქართველო თუ ადრე კრემლიდან იმართებოდა, დღეს თეთრი სახლიდან ვიმართებით. ეს კი დამოუკიდებლობა არ არის...**

**გული მწყდება და ძალიან განვიცდი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტი იკარგება საქართველოში, რადგან ამერიკამ ისეთებთან შეკრა კავშირი, როგორიც არის „ნაციონალური მოძრაობა“, რაღაც ალიანსები და არასამთავრობოები. ამერიკამ ისეთი მოთხოვნები და ამოცანები დაუყენა საქართველოს, რომ მისი ავტორიტეტი ქვეყანაში დღითიდღე ნადგურდება.** არადა, იყო პერიოდი, როცა მოსახლეობის 100% დარწმუნებული იყო, რომ ამერიკა გვიშველიდა. **დღეს კი მხოლოდ 15-20%-ს შემორჩა ეს განწყობა და ისიც ისეთებს, რომლებიც ქვეყნის გარედან ფინანსდებიან და მატერიალურ სარგებელს იღებენ.** რაც რუსეთმა 70 წლის განმავლობაში ვერ შეძლო, ამერიკამ მცირე პერიოდში მოახერხა და ასე დაკარგა ავტორიტეტი ხალხის თვალში. ეს არ არის კარგი არც ჩვენთვის და არც მათთვის, მაგრამ ეს რეალობაა. შთაბეჭდილება მრჩება, რომ **ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეების წარმომადგენლებს ქართველი ხალხის აზრი ამერიკაზე არ აინტერესებთ. მათ მხოლოდ ის უნდათ, თავიანთი მონა-მორჩილი ხელისუფალი იყოს კარგად. და, თუ რომელიმე ხელისუფალი მათი მონა-მორჩილი არ იქნება, შეეცდებიან, შეცვალონ.**

ჯერ კიდევ როდის ვამბობდი, რომ ქვეყნის გარეთ დაიწერა პროგრამა, როგორ დაამშიონ და დააუძლურონ ხალხი, რათა შემდეგ ადვილად მართონ. ასეც მოხდა. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში ჯერ დაამშიეს ხალხი, ხოლო შემდეგ სააკაშვილს ამართვინეს. ეს მთელი სისტემა იყო.

**— რამ განაპირობა ასეთი საგანგაშო რეალობა, მზად არ აღმოვჩნდით დამოუკიდებლობისთვის?**

— ტახტისთვის ბრძოლა საქართველოს ისტორიულად ახასიათებდა. ეს ყველა ქვეყნისთვის მეტ-ნაკლებად არის დამახასიათებელი, მაგრამ ქართველებისთვის, როგორც პატარა ერისთვის, ეს მომაკვდინებელია. ჩემი აზრით, **ჩვენი ქვეყნის უბედურების მიზეზი არის ის, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ქუჩიდან მოსული პოლიტიკოსები მართავენ.** საქართველოში მხოლოდ ქუჩა აძლევს პოლიტიკოსს ხელისუფლებაში მოსვლის შანსს. ძლიერი და ეროვნული იდეებით დატვირთული იყო **ზვიად გამსახურდია**, მაგრამ ქუჩამ გაამარჯვებინა და ქუჩამვე დაამარცხა. **შევარდნაძეც** ქუჩის დახმარებით მოვიდა ხელისუფლებაში და ასევე ქუჩამ დაამარცხა. ქუჩიდან მოვიდა **სააკაშვილი** ავანტიურით და ასევე წავიდა. ქუჩის მეშვეობით მოვიდა ხელისუფლებაში **ბიძინა ივანიშვილიც**, მაგრამ აქ უნდა დავსვათ წერტილი, რადგან ქუჩის მეშვეობით ხელისუფლების შეცვლა უნდა დასრულდეს. საქართველოში ქუჩის პოლიტიკოსების ერა უნდა დასრულდეს. ქვეყანას ეშველება, როგორც კი გონება ემოციაზე გაიმარჯვებს. ქალი თუ კაცი სატელევიზიო ეთერში იგინება და ეს ხალხს მოსწონს.

**— ბატონო თემურ, გამოდის, რომ პრობლემა ჩვენში, ჩვენს ეროვნულ ხასიათშია?**

— ასეც ვერ ვიტყოდი, სხვა ქვეყნებმაც გაიარეს ასეთი პერიოდები. ქართუ- ▶

**«ყველა უბედურება, რომლებიც დღეს საქართველოში ხდება, სწორედ ჩვენ, პოლიტიკოსებმა, მოვუტანეთ ქვეყანას და ეს უნდა მოვინანიოთ!»**

**„ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეების წარმომადგენლებს ქართველი ხალხის აზრი ამერიკაზე არ აინტერესებთ. მათ მხოლოდ ის უნდათ, თავიანთი მონა-მორჩილი ხელისუფალი იყოს კარგად. და, თუ რომელიმე ხელისუფალი მათი მონა-მორჩილი არ იქნება, შეეცდებიან, შეცვალონ“.**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვე არაერთი ადამიანის მიმართ არსებობდა კითხვის ნიშნები, რატომ შეარჩია მაინცდამაინც ისინი, მაგრამ ეს ბიძინა ივანიშვილის გადასაწყვეტი და მისი უფლება იყო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ ივანიშვილის გადაწყვეტილება არ იქნებოდა, ის გუნდთან ერთად მუშაობდა და იღებდა გადაწყვეტილებებს.

**— რა შეცვალეს ზემოთ ჩამოთვლილმა პოლიტიკოსებმა და პარტიებმა ქართულ პოლიტიკაში?**

— რომ გითხრათ, ყველაფერი ძალიან კარგად არის-მეთქი, საკუთარ თავთან მართალი არ ვიქნები. რაღაცები სახელმწიფოში ძალიან ცუდადაა. სამართლიანობის აღდგენის პროცესი დღესაც არ დაწყებულა, რაც ძალიან ცუდია. თუმცა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, კარგია, რომ ხალხი ჩურჩულით აღარ ლაპარაკობს. ახლა რომ გამოდიან ლოზუნგებით თამამად და აქციებს აწყობენ, ეს ადამიანები სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ქვეყანაში შიშის ფაქტორი აღარ არსებობს, საპყრობილეებში აღარ აწამებენ პატიმრებს, მაგრამ ქვეყანაში კარგად არ არის საქმე.

**ესაუბრა შორენა ციქარაშვილი**

ლი ხასიათი ერთ-ერთ ძლიერ ხასიათად მიმაჩნია. ჩვენ ხომ დავით აღმაშენებლის ქვეყანა ვართ.

**— მაშინ რისი ბრალია, რომ, როგორც ბრძანეთ, მუდამ ქუჩიდან მოსული პოლიტიკოსები იმარჯვებენ?**

— ეს იმის ბრალია, რომ საქართველოს ქართული ტელევიზია არ აქვს. ჩვენმა ტელევიზიებმა იმაზე დიდი უბედურება მოუტანეს ჩვენს ქვეყანასა და ქართულ ცნობიერებას, ვიდრე ნებისმიერმა პოლიტიკურმა პარტიამ და პოლიტიკოსმა. ბევრ პოლიტიკოსს ამხელა სატელევიზიო მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდა, ვინ იქნებოდა? — არც არავინ! **ტელევიზია რომ არ ყოფილიყო, ვერც სააკაშვილი გახდებოდა პრეზიდენტი.**

ტელევიზიები რას ლაპარაკობენ, ყურება აღარ მინდა. ქალი გამოდის და კაცს ეუბნება, — სადაც შეგხვდები, იქ გცემო. ტელეწამყვანი ან პოლიტიკოსი ასე უნდა ლაპარაკობდეს? ეს თამარ მეფის ქვეყანაა თუ შეშლილთა ქვეყანა?!

ამას წინათ ვთქვი, ახლა საქართველოში, პოლიტიკოსებისა და პარტიების დრო კი არა, მოაზროვნე ადამიანების ერთობის დროა-მეთქი.

**თუ ხელისუფლებაში ისევ ქუჩიდან მოსული პოლიტიკოსი მოვიდა, საქართველო აღარ იარსებებს.** ამას ქვეყანა ველარ გაუძლებს. ნათქვამია, ვინც კარგ დროს ელოდება, ცუდს ახანგრძლივებსო. **ვინც რაღაც მოგვცა, იმას მივეცით ხმა. არადა, ვინც ხმებს ყიდულობს, ის ქვეყანასაც გაყიდის და, ვინც ხმას ყიდის, ისიც ქვეყანას ყიდის,** ამიტომაც გვექცევა საქართველო თავზე. ახლა მთავარია, ღირსება დავიბრუნოთ და ხელისუფლებაში ღირსეული ხალხი მოვიყვანოთ.

**ესაუბრა შორენა ციქარაშვილი**



# ერთი-ორი «ელგებეტე» არ უნდა გვყავდეს მთავრობა-პარლამენტში?

**ემანსიპაცია ლათინური სიტყვაა და, საზოგადოდ, უფლებრივად გათანასწორობას ნიშნავს. პირველად ეს სიტყვა ქალთა უფლებების, უფრო ზუსტად, ქალთა უუფლებობის კონტექსტში გახდა აქტუალური XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპაში, სადაც ისეთი კლასიკური დემოკრატიის ქვეყანაშიც კი, როგორიც ბრიტანეთია, ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც არ ჰქონდათ და, ხომ წარმოგიდგენიათ, სუსტი სქესის წარმომადგენლები რა დღეში იქნებოდნენ ევროპის სხვა, ნაკლებად დემოკრატიული ტრადიციების ქვეყნებში?**

აღარაფერს ვიტყვი აშშ-ზე, რომელმაც თავის დროზე გენოციდი მოუწყო აბორიგენ ინდიელებს, და გენოციდს გადარჩენილთა შთამომავლებს ახლა ისე თუ იხილავთ საკუთარ სამშობლოში, როგორც სამუზეუმო ექსპონატებს;

**ამერიკელებზე**, რომლებმაც ისე გაანადგურეს ასიათასობით იაპონელი ჰიროსიმასა და ნაგასაკიში, როგორც საცდელი ვირთხები;

**ამერიკაზე**, სადაც, ემანსიპაცია იქით იყოს და, აგერ, ახლახან, გასული საუკუნის 70-იან წლებამდე, ჯიშიან ძაღლებს მეტი უფლებები ჰქონდათ, ვიდრე ზანგებს, რომლებსაც კუ-კლუქს-კლანელი რასისტები ხოცავდნენ და ცოცხლად წვავდნენ...

**ბედის ირონია და ცინიზმია, როდესაც დღეს სწორედ აშშ იჩემებს მსოფლიო დემოკრატიის ბაირახტრობას და, აქედან გამომდინარე, ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვის ექსკლუზიურ უფლებას მსოფლიოში; აშშ, რომელმაც, ვნახეთ, „დემოკრატიული დაბომბვებით“ როგორი დემოკრატია დაამყარა და როგორ დაიცვა ადამიანის უფლებები ბალკანეთში (დაშლილ-დაქუცმაცებულ ყოფილ იუგოსლავიაში), ერაყში, სირიაში, ლიბიაში, ეგვიპტესა თუ ტუნისში — ამ ახლო წარსულში ელიტური ტურიზმის ქვეყნებში, რბილად რომ ვთქვათ, დესტაბილიზაცია სუფევს ქაოსისა და ტერაქტების თანხლებით, რომელთა გამოც მხოლოდ გიჟი თუ გარისკავს ამ ერთ დროს ტურისტულ მექაში დასასვენებლად წასვლას, რადგან, დიდი ალბათობით, დასვენება შეიძლება გასვენებად იქცეს...**

არავინ დავობს იმაზე, რომ ნატოს (წაიკითხე — აშშ) მიერ დაბომბილი ე.წ. არაბული გაზაფხულის ქვეყნების მმართველები ავტორიტარები, გნებავთ, დიქტატორები იყვნენ, მაგრამ რა მიიღო მსოფლიომ ამ რეჟიმების გარედან ძალისმიერი მეთოდით დამხობით?

რა და — ავტორიტარული რეჟიმების ნანგრევებზე აღმოცენდა შუასაუკუნეობრივი სისასტიკის ტერორისტული დაჯგუფება, ე.წ. ისლამური სახელმწიფო, რომელიც ცივილიზებულ სამყაროს წალეკვით ემუქრება, და ასიათასობით დევნილი (მათი რაოდენობა მალე მიაღწევს მილიონებს), რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიებიდან თავქუდმოგლეჯილი გარბიან და უკვე „დავარცხნილ“, მაძღარ ევროპას ისლამიზაციით წალეკვას უქადიან.

**ამერიკის მარიონეტი ევროკავშირი მიხვდა თავის შეცდომას, რომ ყველაფერი ამერიკისთვის დაუფიქრებლად თავის კანტურის ბრალია, მაგრამ რაღა დროს — რა დამცავი კედლებიც უნდა ააგონ უნგრეთის მსგავსად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაუგონარი მაშტაბების მიგრაციას ვერაფერი შეაჩერებს.**

თუმცა რაღა შორს მივდივართ, საქართველოში იგივე არ ხდება?

მართალია, ჯერჯერობით ნატოს ავიაციას არ დაუბომბვივართ, მაგრამ იდეოლოგიურად რომ დაგვბობეს და მარიონეტული ხელისუფლების თავის კანტურით, „დემოკრატიის შუქურა“ სააკაშვილის ხელით რომ დაშალეს და დააქუცმაცეს საქართველო, ტყუილია?

ანალოგიური რამ ხდება და უარესიც ჩვენს მოძმე უკრაინაში.

**ისტორიულ-კულტურულად ერთი ერი — უკრაინელები და რუსები — სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდეს ერთმანეთს ვიქტორია ნულანდის „პონჩიკებით“ და, საქართველოსი არ იყოს, უკრაინაც მარტივ მამრავლებად დაშალეს.**

ამ ყველაფერში მთავარ დამნაშავე ამერიკას და მის უპირველეს მოკავშირე ბრიტანეთს რა ენაღვლებათ! ერთი — ატლანტიკის ოკეანით, მეორე კი ლა-მანშის სრუტით არის დაცული მათ ტერიტორიებზე დევნილთა მასობრივი შეჭრისგან. ამერიკა კი ცინიკურად აცხადებს, რომ 10 000 დევნილს მიიღებს, რაც ზღვაში წვეთია.

თავის მხრივ, ევროპის უძლიერესი ეკონომიკების მქონე საფრანგეთ-გერმანიამაც უარი თქვეს თავდაპირველ „ჰუმანიზმზე“ და „უპრაგონოდ“ აღარ აპირებენ დევნილთა მიღებას, ხოლო იმ ქვეყნებს, რომლებიც არაბ ლტოლვილებს დაწესებული კვოტების მიხედვით მიიღებენ, სანაცვლოდ ფინანსურ დახმარებას ჰპირდებიან. **ასეთ ქვეყნებში დასავლეთის „შნირი“ საქართველოც იგულისხმება და, თუ ვერცხლისმოყვარე ჩვენს მთავრობას ხელი წაუცდა, „ავშენდებით“ — მერე რა, რომ ჩვენი ლტოლვილებისთვის ვერ მოგვივლია, მთავარი ხომ ევროპული სოლიდარობაა?!**

ვფიქრობ, საკმარისად ვისაუბრე ამერიკული დემო(ტ)რაკიის პოლიტიკურ-სამხედრო ექსპანსიის არსზე და ახლა დროა, იმ თემას მივხედო, რომელმაც დამსვა წერად წერილისა...

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან სსრკ-ის დანგრევამდე ჩემი თაობის წარმომადგენლებს დასავლეთის რადიოსადგურებისგან ყურები გვქონდა გამოჭედილი საბჭოეთში ადამიანის უფლებების დარღვევებზე, რაც, უპირველესად, სიტყვის, პრესის, შეკრება-მიტინგების შეუძლებლობას გულისხმობდა ძია სემის მიერ „ბოროტების იმპერიად“ შერაცხილ საბჭოეთში.

**ჰოდა, ჩვენც ვექგერეთ და დავანგრიეთ „ბოროტების იმპერია“, მაგრამ, როგორც შემდეგ იმპერიის ნანგრევებში მოყოლილებმა აღმოვაჩინეთ, საბჭოთა კავშირი სოციალურად ყველაზე სამართლიანი „ბოროტება“ ყოფილა კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.**

ახლა, აგრესიული ნეოლიბერალიზმის, გნებავთ, ნეოტროცკისტთა შემოტევის ჟამს, ადამიანის უფლებებში ზემოჩამოთვლილი საბჭოური შეზღუდვები რადგან აღარ არსებობს (რაც გინდა, იყვირე, თქვი...), ამ ე.წ. და ყბადაღებულ უფლებებში აპრიორი იგულისხმება სექსუალურ უმცირესობათა თუ სატანისტური სექტების უფლებების დაცვა.

სხვათა შორის, ერთ-ერთი ასეთი აგრესიული სექტის, იეღოვას, მოწმეთა მთავარი ოფისი აშშ-ში მდებარეობს და იქიდან ფინანსდება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში არსებული ფილიალები.

**მას შემდეგ, რაც ა.წ. 26 ივნისს ამერიკის ტერიტორიაზე ზარ-ზეიმით დააკანონეს ერთნაირსქესიანთა თუ ტრანსგენდერთა, მოკლედ, ლგბტთა ქორწინება, აშშ, სატანისტურთან ერთად, პედერასტების მექადაც მოგვევლინა?!**

ახლა, ვითომ რაო? — სვამენ კითხვას ჩვენი ნეოლიბერალი პოლიტიკოსები თუ ე.წ. ასოები (არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც, ასევე, ოკეანის გაღმიდან ფინანსდებიან) და იქვე თვითონვე უპასუხებენ: მიუხედავად აშშ-ის სახელმწიფო მდივან **ჯონ ქერის** მუქარა-დაპირებისა, ლგბტ „სიკეთეებს“ სრულიად მსოფლიოში და, პირველ რიგში, აშშ-ის მოკავშირე ქვეყნებში დავნერგავთო, — საქართველოს ლგბტ-ზაცია არ მოხდებაო.

თუმცა პოლიტიკოსი-ასოები ჯერჯერობით ერიდებიან თქმას ერთი სიტყვისა — „ჯერჯერობით“ და საქართველოს მიმართ ამ „ჯერჯერობით“-ს ქვემოთ „გავშლი“...

**ამერიკის ხელისუფლებას ჯერჯერობით საკუთარ სამწყსოში აქვს ლგბტ-ზაცია შეუქცევადად დასანერგავი. ამის მაგალითად გამოდგება აშშ-ში ერთი ამერიკელი მოხელე ქალბატონის „გასროკვა“ ჩვენში ავადსახსენებელი ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის ძალით, ქალბატონისა, რომელმაც რელიგიური მრწამსის გამო გაბედა და უარი უთხრა ერთნაირსქესიან წყვილებს ქორწინების რეგისტრაციაზე!..**

შემდეგ პრესაში გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ თეთრ სახლში რომელიღაც თანამდებობაზე **პირველი ტრანსგენდერი (კაცად გადაკეთებული ქალი თუ პირიქით) დაუნიშნავთ.**

აბა, იმაზე ხომ აღარავინ ნერვიულობს ამერიკაში, რომ, ბარაკ ობამას მეცადინეობით, აშშ-ის ჯარში (ნატოშიც) პედერასტების მსახურება ჩვეულებრივი ამბავია. ჰოდა, **არც გაცხადებული პედერასტის, ვინმე ერიკ ფენინგის აშშ-ის სახმელეთო ჯარების მინისტრად დანიშვნა შეუცხადებია ვინმეს.**

ისე, კაცმა რომ თქვას, თავშიც ქვა უხლიათ და, თუ უნდათ, ცალკე სენატ-კონგრესიც შეუქმნიათ ლგბტ-თათვის, მაგრამ საარხეინოდ რომ არ გვაქვს საქმე ქართველებს?!

**ზემოხსენებული მაგალითები იმის დემონსტრირებაა, რომ 26 ივნისს ამერიკა ისე, სიტყვაზე კი არ გაპედერასტებულა, არამედ ზემოთ აღნიშნული დანიშვნებით ხაზი გაუსვეს, რომ არა მხოლოდ ქალთა ემანსიპაციისთვის უნდა იბრძოლონ, არამედ ლგბტ-თა ემანსიპაციისთვისაც.**

სხვათა შორის, „ევროვიზიის“კონკურსში **კონჩიტა მარტინესის** „გამარჯვებაც“, როგორც იტყვიან, ამ ოპერიდანაა...

სიტყვამ მოიტანა და, დასავლეთიდან კიდევ ერთი კეთილი კანონის გადმოტანას აპირებენ — მომავალში საარჩევნო სიებში დადგენილი კვოტით, ყოველი მეორე თუ მესამე, ანუ პარლამენტის დეპუტატთა ნახევარი ან მესამედი ქალები უნდა იყვნენ.

ქალების საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს საქართველოში, სადაც, ეეე, ჯერ კიდევ როდის თქვა სულმნათმა შოთამ — „ლეკვი ლომისა სწორია!“, მაგრამ ყოველგვარი კვოტა ვიღაცის ან რაღაცის დისკრიმინაციაა და ამ შემთხვევაში — მამაკაცების.

თუმცა ეგეც იქეთ იყოს — მანდილოსანთა პატივისცემით, მაგ კვოტასაც დავთანხმდებით, მაგრამ მე იმის მეშინია, რომ, **როდესაც ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე საკუთარ ქვეყანაში დაალაგებს პედერასტულ ემანსიპაცია-კვოტებს, მერე ჩვენც გვიკარნახებს, რამდენი პედერასტი უნდა გვყავდეს პარლამენტსა და მთავრობაში.**

მართლაც, თემიკო ჩირგაძის გმირის არ იყოს, ერთიორი კარგი მარკშეიდერი (წაიკითხე — პედერასტი) არ უნდა გვყავდეს მთავრობა-პარლამენტში?

**დავით მხეიძე**

**«ამერიკის მარიონეტი ევროკავშირი მიხვდა თავის შეცდომას, რომ ყველაფერი ამერიკისთვის დაუფიქრებლად თავის კანტურის ბრალია, მაგრამ რაღა დროს — რა დამცავი კედლებიც უნდა ააგონ უნგრეთის მსგავსად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაუგონარი მაშტაბების მიგრაციას ვერაფერი შეაჩერებს»**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჯულიან ასანჟის „ვიკილიკსის“ მიერ გასაჯაროებული პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტების მიხედვით, აშშ-ს მსოფლიოს 120 ქვეყანაში 1400-ზე მეტი სამხედრო ბაზა აქვს, რუსეთს კი — მხოლოდ 12“



ანზორ მაისურაძე:

# ყველაფერი, რაც სირიაში ხდება, ამერიკელებისა და ისრაელის კონტროლით მიმდინარეობს

**„საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია სახელმწიფო უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე. ეს ინტერვიუ გასული კვირის პარასკევს ჩამოვართვით.**

**— ბატონო ანზორ, რით შეიძლება ავხსნათ დღევანდელი საერთაშორისო ვითარების წინააღმდეგობრივი ხასიათი?**

— უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, იმით, რომ დაპირისპირებას, რომელიც არსებობდა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის სიმძაფრე არ მოჰკლებია. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ამერიკამ და დასავლეთის ქვეყნებმა გადაწყვიტეს რუსეთის დაშლაც, და ნაკლები წინააღმდეგობის გადალახვით მსოფლიოში სრული ჰეგემონობის მოპოვება.

მაგრამ პრაქტიკულად არ გამოუვიდათ, რადგან რუსეთი კიდევ უფრო შეიკრა პოლიტიკურად, გაძლიერდა ეკონომიკურად და სოციალურად.

თქვენს მკითხველებს უთუოდ ახსოვთ, რომ **ის ქვეყნები, რომლებშიც დაიწყო „არაბულ გაზაფხულად“ მონათლული რევოლუციები (სინამდვილეში — სახელმწიფო გადატრიალებები), საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ასე იყო ლიბიაში, ეგვიპტეში, სირიაში, ერაყში და ა.შ. საბჭოთა სამხედრო ინსტრუქტორებისა და სამოქალაქო კონსულტანტების გავლენა დიდი და მნიშვნელოვანი იყო.**

**— სპეცსამსახურების?**

— ცხადია, თავისთავად! სახელმწიფო უშიშროების და ე.წ. გრუ-ს თანამშრომლების სიტყვა ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ისინი საელჩოს ამოფარებულნი მუშაობდნენ და დირექტივებს უშუალოდ მოსკოვიდან იღებდნენ.

**— ელჩები? ხომ არ დაგავიწყდათ, რომ საელჩოებს ისინი ედგნენ სათავეში?**

— ***(ეღიმება)*** ელჩები ვიტრინაზე გამოდებული თოჯინებივით იყვნენ. ვის რა ეკითხებოდა?!..

**— „არაბულ გაზაფხულზე“ ლაპარაკობდით.**

— დიახ. და აშშ-ის მიერ ინსპირირებულმა „გაზაფხულმა“ ეს ქვეყნები არარაობად აქცია. ცნობილია, რა დაემართა ერაყს, ეგვიპტეს, ლიბიას: პრაქტიკულად დაკარგეს სახელმწიფოებრიობა, რომელიც ფორმალობად იქცა.

ეს ქვეყნები რუსეთმა მედვედევის პრეზიდენტობის დროს გაწირა.

**— ჩემი ქოხი განზე დგას?**

— დიახ. და ეს განზე დგომა რუსეთს პრობლემად შემოუბრუნდა.

სირიის შემთხვევაში კი პუტინმა საპირისპირო პოლიტიკა განახორციელა. ასეც უნდა მოქცეულიყო, რადგან **რუსეთს სირიაში, კერძოდ, — ტარტუსსა და ლატაკიაში ორი მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზა აქვს. ეს ბაზები ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების სამხედრო და ნებისმიერი სხვა სახის პოტენციალის გაკონტროლების შესაძლებლობას იძლევა. დღეს ეს ბაზები, როგორც ვიცი, კიდევ უფრო გააძლიერეს უახლესი აღჭურვილობით, საბრძოლო ტექნიკით, ავიაგამანადგურებლებით, ვერტმფრენებით, 2000-მდე სამხედრო მოსამსახურით, გემებითა და წყალქვეშა ნავებით.**

**— ორი ბაზის გამო ღირს ისეთი დაპირისპირება, რომელიც შეიძლება საომარ მოქმედებებში გადაიზარდოს?**

— ჯერ ერთი, ამ ორ ბაზას, როგორც ვთქვი, უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. მეორეც, **ჯულიან ასანჟის** „ვიკილიკსის“ მიერ გასაჯაროებული პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტების მიხედვით, **აშშ-ს მსოფლიოს 120 ქვეყანაში 1400-ზე მეტი სამხედრო ბაზა აქვს, რუსეთს კი — მხოლოდ 12.** ასეთ ვითარებაში თითოეულ რუსულ ბაზას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და არც ერთს იოლად არავინ შეელევა. მით უფრო, რომ აშშ ახლახან ცდილობდა, ყირიმის ბაზის რუსეთისთვის ხელიდან გამოცლას. მოსკოვი ამ გამოცდილებას ითვალისწინებს.

**— მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ბაზების რაოდენობა უცხოეთში უდრის ნულს?**



ქურთების მუშათა პარტიის მიტინგი

**«ქურთების ლიდერი მუსტაფა ბარზანი თავის დროზე საბჭოთა კავშირმა შეიფარა, ოღონდ საიდუმლოდ. ბარზანი თბილისში «კურტნის მუშად» იყო. ზემელზე, სადაც ახლა «კინოს სახლია», პატარა შენობის სარდაფში იყო ქურთების მუშათა პარტიის არალეგალური ოფისი»**

— დიახ, ასეა. მაგრამ, ამ თემას თუ მივყვებით, სპეციფიკური საკითხების წრეში ჩავიკეტებით... სირიის პრობლემა განზე დაგვრჩება.

**იმ უმწვავეს პროცესში, რომელიც ახლა სირიაში და მის გარშემოა განვითარებული, იკვეთება ერთი პატარა ქვეყნის, კერძოდ, ისრაელის დიდი ინტერესი...**

ისრაელის სახელმწიფო ყოველთვის ცდილობდა, რომ არაბული სამყარო, რომლის რკალშიცაა მოქცეული (ასეთი ქვეყანა თვრამეტია), არასოდეს გაერთიანებულიყო მის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, იქნებოდა ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ, მით უფრო, შეიარაღებული ძალებით შემოტევა. საამისოდ გამოყენებული ჰქონდა ყველა შესაძლებლობა, რომელთა შორის სპეცსამსახურების სპეციფიკური მეთოდები სულაც არ იყო მეორეხარისხოვანი.

პრესაში გავრცელებული (მათ შორის, "საქართველო და მსოფლიოში") ინფორმაციით, **„ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი ალ-ბაღდადი ყოფილა „მოსადის“ (ისრაელის სპეცსამსახურის) მიერ გაწვრთნილი კაცი, დედ-მამით ებრაელი ელიოტ შიმონი.**

**ეს კი ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც სირიაში ხდება, ამერიკელებისა და ისრაელის კონტროლით მიმდინარეობს.**

ვინც გინდა შემეკამათოს, მე ჩემს აზრზე დავრჩები, რადგან ბევრ რაღაცაში ვარ ჩახედული, კერძოდ კი, ასეთი არეულობის მოწყობის პოლიტიკურ თუ საორგანიზაციო სამზარეულოში.

**უამრავი ლტოლვილი (რომლებიც ევროპას მიაწყდნენ) საკუთარი სურვილით კი არ აიყარა სირიიდან და აფრიკიდან, არამედ ამ მღვრიე ნაკადის წყალუხვობა მიგვანიშნებს, რომ ისინი გარკვეული ძალების გამიზნული და კარგად გათვლილი პროპაგანდისტული (რელიგიური) და ორგანიზატორული მუშაობის გავლენით დაიძრნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, იმ ქვეყნებისკენ, რომელთა შესახებ მხოლოდ ის იციან, რომ იქ ცხოვრების მაღალი დონეა.**

გარკვეულ ძალებში მხოლოდ დასავლეთი არ იგულისხმება. დარწმუნებული ვარ, რომ აქ ის დაინტერესებული მხარეც მონაწილეობს, რომელსაც ხელს აძლევს საკუთარი პრობლემების გამწვავების მეთოდით ევროპა მიახვედროს, როგორი უარყოფითი შედეგების მომტანია შეერთებული შტატების, ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ ახლო აღმოსავლეთში განხორციელებული პოლიტიკა.

დამადასტურებელი დოკუმენტები იმისა, რასაც ვამბობ, არ მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მაინცდამაინც ასეა. აქეთ მივყავართ მოვლენების განვითარების ლოგიკას.

არავინ იცის, კიდევ რამდენი მილიონი ლტოლვილი მოინდომებს დასავლეთ ევროპაში დასახლებას, ვერავინ გვეტყვის, როდის შეწყდება „ხალხების ეს დიდი გადასახლება“. მით უფრო იმ ვითარებაში, როცა ეს პროცესი ყოველი მხრიდან არის ორგანიზებული, მათ შორის, ზოგიერთი არაბული სახელმწიფოს მიერაც. ხოლო **ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც დემოკრატიის დროშას აფრიალებენ და ადამიანის უფლებების დაცვაზე ლაპარაკით ერთობიან, ასე საჯაროდ და მსოფლიოს დასანახად ვერ წავლენ ამ ხალხის წინააღმდეგ — ვერ დააპატიმრებენ, ციხეებში ვერ ჩასვამენ. პირიქით, ხელი უნდა შეუწყონ — ასვან, აჭამონ და დააბინავონ, თანაც დაასაქმონ.** ეს კი დიდი პრობლემა იქნება ევროპისთვის. ევროპის პრობლემა კი აშშ-ის პრობლემაც არის.

ამიტომ ხომ არ არის დაგეგმილი პუტინისა და ობამას შეხვედრა გაეროს პლენარული სხდომის ჩარჩოებში?

**— გინდათ, მიანიშნოთ, რომ ამ ორი სახელმწიფოს გარეშე არც ეს და არც რომელიმე სხვა, საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემა ვერ მოგვარდება?**

— მივანიშნებ კი არა, პირდაპირ გეუბნებით, რადგან ამ მართლაც გლობალური პრობლემის წარმოქმნაში ორივე ამ სახელმწიფოს ინტერესებია ჩართული.

მოდი, ერთად განვსაჯოთ. ▶

მოკლედ



## «დსთ-ს ქვეყნებში ტერორისტულმა საფრთხემ მოიმატა»

**„დსთ-ს ქვეყნებში ტერორისტული ხასიათის დანაშაულმა მნიშვნელოვნად მოიმატა“, — განაცხადა დსთ-ს ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელმა, პოლიციის გენერალ-პოლკოვნიკმა ანდრეი ნოვიკოვმა.** შარშან დსთ-ს სახელმწიფოებში ტერორისტული ხასიათის 1 515 დანაშაული აღირიცხა, რაც 2013 წელთან შედარებით ორჯერ მეტია. „დსთ-ს სახელმწიფოების წინააღმდეგ ღია საინფორმაციო ომი მიმდინარეობს“, — განაცხადა ნოვიკოვმა და დასძინა, რომ მოქალაქეების რადიკალიზება გარე ძალების ქმედების შედეგია.



# „ირკვევა, რომ, მაგალითად, სირიაში აშშ-ის მიერ ინსპირირებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის პოლიტიკას ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას ჩაეყარა საფუძველი — 2006 წელს მას უკვე განზრახული ჰქონდა ასადის მთავრობის დამხობა“.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ლტოლვილების ნაკადის შემადგენლობისა და ინტენსივობის ანალიტიკური გაანალიზებით ექსპერტები მიდიან დასკვნამდე, რომ გაიხსნება ნარკოტრაფიკის ახალი მარშრუტები, გაადვილდება „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების შეღწევა ევროპის ქვეყნებში. მაგრამ მაინც მგონია, რომ სპეცსამსახურები ისეთი ქვეყნებისა, როგორებიცაა გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა, იმ დონისაა, რომ ასეთი გართულებები მათი კონტროლის გარეშე არ დარჩება. ძალიან ბევრი საქმე გაუჩნდათ უკვე. ხოლო უნგრეთმა ლტოლვილთა შემოტევის კალაპოტში ჩასაყენებლად არმიაც კი გამოიყენა.**

ამ პრობლემების მოგვარება დიდძალი ფული ჯდება, რაც თავისთავად დიდი პრობლემაა.

ევროპა ამერიკასთან გადის კონსულტაციებს, ამ პროცესის რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტიანად შეჩერების მიზნით, მაგრამ პროცესი ვერ შეჩერდება რუსეთის ჩართვის გარეშე. ამიტომ შეარბილეს რუსეთთან ურთიერთობის მკაცრი პოზიცია, შეარბილეს ტონი და აშშ-ის აქტიურობით, რუსეთის იზოლაციისა და მის მიმართ წარმოებული მკაცრი სანქციების ფონზე დაიგეგმა კიდეც პუტინისა და ობამას შეხვედრა.

**— რისი გავლენით?**

— ასეთი პრაგმატული გადაწყვეტილების მიღება, უწინარეს ყოვლისა, რეალური სიტუაციის სწორად აღქმის შედეგია.

**პირდაპირ გეტყვით, თუ ამ შეხვედრის შედეგად მხარეები ერთმანეთს გაუგებენ, მსოფლიოში გლობალური პოლიტიკა შეიცვლება.**

**— და მაინც — დიპლომატიის დამსახურება იქნება ის, თუ სპეცსამსახურების მუშაობის შედეგი?**

— ერთს გეტყვით: **ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან ხალხის ამ მასის ევროპაში გადაადგილება კარგად მოფიქრებული და განხორციელებული ოპერაციაა, რომელსაც ჩვენს ენაზე „აქტიური ღონისძიება“ ეწოდება.**

**— ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ არსებობა მაინც რა მიზანს ემსახურება? ვის აძლევს ხელს კაცობრიობის, ადამიანების წინააღმდეგ ჩადენილი ის დანაშაულები, რომელთა მოწმე მსოფლიოა?**

— ის, რაც ვნახეთ — ქრისტიანების მასობრივი დახოცვა (და არა მხოლოდ ქრისტიანების), ყელის გამოჭრა ტელეკამერების წინ, საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე კულტურული ძეგლების განადგურება, მხოლოდ პირველი ეტაპია. ახლახან **გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტერორისტები ყველანაირ მეთოდს იყენებენ ბირთვული იარაღის ხელში ჩასაგდებად, რათა „ჯიჰადის წმინდა ცეცხლით ამოხუგონ ურწმუნოთა მთელი მოდგმა“.**

ჯინს რომ ბოთლიდან ამოუშვებ, მისი უკან დაბრუნება შეუძლებელი ხდება.

ამერიკელებს სირიაღა რჩებათ გასანადგურებელი. სირიას ირანი და რუსეთი იცავს. სირიის „ციხე შიგნიდან უნდათ გახეტქონ“. ამიტომ გააჩაღეს ბრძოლა „დიქტატორ“ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ, თითქოს იგი არალეგიტიმური პრეზიდენტია, ალავიტების წარმომადგენელი, რომლებიც (ალავიტები) სირიაში უმცირესობაა, მაგრამ ამდენი წელიწადია, მართავენ ამ ქვეყნის უმრავლესობას.

შიგნიდან წყლის ამღვრევა ვის შეუძლია? — იმ ქვეყნებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან და საამისო გამოცდილება აქვთ. რომელი ქვეყნები იგულისხმება? — ამერიკის შეერთებული შტატები და, რა თქმა უნდა, ისრაელი. ხომ უკვე ვთქვით, რომ **ისრაელმა თავისი სპეცსამსახურის პროფესიონალი, „მოსადში“ გაზრდილი ელიოტ შიმონი ათასნაირი ხერხითა და ხრიკით (ჯერ ვითომ ციხეში ჩასვეს, შემდეგ ვითომ იქიდან გაათავისუფლეს) „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერად გაამწესა.**

### ფაქტი თემაში

ასეთი პრაქტიკა უცხო არ იყო საბჭოთა კავშირისთვისაც, ამიტომ გასაკვირი და მოულოდნელი ამაში არაფერია. **ქურთების ლიდერი მუსტაფა ბარზანი თავის დროზე საბჭოთა კავშირმა შეიფარა, ოღონდ საიდუმლოდ. ბარზანი თბილისში „კურტნის მუშად“ იყო. ზემელზე, სადაც ახლა „კინოს სახლია“, პატარა შენობის სარდაფში იყო ქურთების მუშათა პარტიის არალეგალური ოფისი. ბუნდოვნად მახსოვს, იქ მუშის დასაქირავებლად რომ ჩამიყვანა მამაჩემმა... ეს მემუარისტულ ჩართვად ჩამითვალეთ, ბატონო ანზორ!**

— საქმე ის არის, რომ ისრაელს ადრე ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქურთების მუშათა პარტიასთან და აქტიურად იყენებდა ამ ძალას მეზობელ არაბულ სახელმწიფოებთან მოსალოდნელი სამხედრო კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. ამაზე „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს ერთხელ უკვე ვესაუბრე. ბარზანის გარდაცვალების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. დღეს ამ რეგიონში გაძლიერებულია თურქეთის გავლენა, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ქურთების ავტონომიზაციას. **„ისლამური სახელმწიფო“ განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობა ქურთებს, რომლებიც თავგანწირვით ებრძვიან ისლამისტ ტერორისტებს, რადგან მისი („ისლამური სახელმწიფოს“) გამარჯვების შემთხვევაში საბოლოოდ მოესპობათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობა.** არაბულ სამყაროში, შეიძლება ითქვას, ისეთი ვითარებაა, რომ ყველა ყველას ებრძვის, რაც, საბოლოო ჯამში, საკუთარი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლად ტრანსფორმირდება.



# «ხომ გაირკვა, რომ «ისლამური სახელმწიფოს» ხელმძღვანელი ალ-ბაღდადი ყოფილა «მოსადის» (ისრაელის სპეცსამსახურის) მიერ გაწვრთნილი კაცი, დედითა და მამით ებრაელი ელიოტ შიმონი. ეს კი ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც სირიაში ხდება, ამერიკელებისა და ისრაელის კონტროლით მიმდინარეობს»



ალ-ბაღდადი

**— არაბული სახელმწიფო ერთიანი კონგლომერატი რომ არ არის, აქედანაც ჩანს...**

— მრავალფეროვანი და განსხვავებულია, რა თქმა უნდა. წლების განმავლობაში ამ სივრცეში მუშაობის გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ასეა. ისტორიულად ასეა. ხალიფატის დაშლის შემდეგ ყალიბდება 18 ახალი სახელმწიფო — მაროკო, ალჟირი, ლიბია, სუდანი, ეგვიპტე, საუდის არაბეთი და ასე მიყოლებული. მათ შორის ყოველთვის არის გარკვეული დაპირისპირება, რომელსაც, როგორც გითხარით, კარგად იყენებს ისრაელი მათი (ამ ქვეყნების) პოზიციების დასასუსტებლად, მათი ერთიანი ფრონტის შექმნის დაუშვებლობის მიზნით. ამჟამად კი ისეთი ვითარებაა, რომ სირიას, ეგვიპტეს, ერაყს თავიანთი გაჭირვება აქვთ, ლიბიაზე აღარაფერს ვლაპარაკობ, ხოლო იქით — სუდანსა და სხვა ქვეყნებში რა ხდება, პირდაპირ საოცარია.

გულახდილად გეტყვით, მივესალმები ისრაელიანთა პოლიტიკას, რომლებიც ასე გონივრულად და საკუთარი შესაძლებლობების — როგორც ქვეყნის ძალებით, ასევე საერთაშორისო თანადგომის — მაქსიმალური გამოყენებით, ეფექტიანად იცავენ თავიანთ სახელმწიფოს.

**— გასულ კვირაში ისრაელის პრემიერმინისტრი ჩავიდა მოსკოვში და დახურულ კარს მიღმა შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს, ოფიციალური ცნობით, სირიის კრიზისის დაძლევაში შეთანხმებული მოქმედების საკითხის გადასაწყვეტად.**

— გასაკვირი არაფერია. ამ რეგიონში რუსეთისა და ისრაელის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ რა კუთხით, ეს არის საკითხავი. რეალურად რაზე ილაპარაკეს, არ ვიცით და, ეტყობა, ვერც გავიგებთ. ჩემი ეჭვების შესახებ კი უკვე მოგახსენეთ.

**— ყოველ შემთხვევაში, არაბულ ქვეყნებში დემოკრატიული მმართველობის დამყარებაზე არ ისაუბრებდნენ...**

— რა დემოკრატია, რის დემოკრატია!.. ერაყში სადამ ჰუსეინის დიქტატურის დასამხობად და იქ დემოკრატიული წყობილების დასამყარებლად ამერიკელები რომ შევიდნენ, თქვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ვთქვი: **როგორ შეიძლება დემოკრატიაზე ლაპარაკი ისეთ ქვეყნებში, სადაც შეიხებს 50-50 ცოლი ჰყავთ-მეთქი**, „ჭაობის შეიხებს“, რომლებიც ტიგროსისა და ევფრატის შეერთების უზარმაზარ ტერიტორიაზე წარმოქმნილ დაჭაობებულ მხარეში ცხოვრობენ სახელმწიფოც ისინი არიან და იმ ხალხის მამა-მარჩენლებიც. ჩემი თვალით ვნახე: საუკუნეები უნდა გავიდეს, ჩვენს დროს რომ მოუახლოვდნენ.

„დემოკრატია“ შირმა იყო, ბლეფი. მთავარი და ერთადერთი მიზანი ნახშირწყალბადის საბადოების ხელში ჩაგდება იყო, რაც მოახერხეს კიდეც.

დემოკრატია კი არა, **ჯულიან ასანჟის „ვიკილიკსის“ საშუალებით გავრცელებული საიდუმლო დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ, მაგალითად, სირიაში აშშ-ის მიერ ინსპირირებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის პოლიტიკას ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას ჩაეყარა საფუძველი — 2006 წელს მას უკვე განზრახული ჰქონდა ასადის მთავრობის დამხობა.**

**— და კვლავ საქართველო, ბატონო ანზორ. ვთქვათ, მიგვიღეს ევროკავშირში (ან მის გარეშე) და დაგვიდგინეს ლტოლვილების მიღების კვოტა ისე, როგორც გასულ კვირაში გაუნაწილეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, მაშინ რა გვეშველება?**

— *(ეცინება)* ჩვენ, თვითონ, სხვაგან გავრბივართ, აქეთ ვინ მოვა?! ვინ მოიხიბლება ჩვენი ცხოვრების დონით?! ლტოლვილები აქ არ მოვლენ. საბერძნეთში არ დარჩნენ, იტალიაში არ გაჩერდნენ, არც გაჩერდებიან. **იმ ქვეყანაში მოისურვებენ ცხოვრებას, სადაც პენსია 160 ლარია?!**

ასე რომ, ლტოლვილების მასობრივი შემოსევა ჩვენს ქვეყანას არ ემუქრება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## 11 წლის ბავშვებმა თვითმფრინავი გაიტაცეს

**ესპანეთის კუნძულ გრან კანარიიდან გატაცებული თვითმფრინავი DA 42 Twin Star -ი საფრანგეთის ქალაქ ლონ-ემერეინვილში დაჯდა. ამ ამბავში ყველაზე საინტერესო არის ის, რომ თვითმფრინავს სამი 11 წლის ბიჭი მართავდა. მათ დამოუკიდებლად 2800 კილომეტრი იფრინეს — ფრენის სიმაღლე ცალკეულ ადგილებში 12 000 მეტრი იყო.**

თვითმფრინავის მფლობელი ერთ-ერთი ბიჭის მამა აღმოჩნდა. იმის გარკვევა, თუ როგორ მოახერხებს ბავშვებმა დისპეტჩერებისა და აეროპორტის პერსონალისგან შეუმჩნევლად აფრენა ესპანეთის ორი აეროპორტიდან, EASA- ის ინსპექტორებს მოუწევთ. სპეციალისტების თქმით, 11 წლის ბავშვების საქციელის დაჯერება ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. ისინი მოფრინავდნენ, როგორც პროფესიონალები და მთელი ფრენის განმავლობაში შეცდომა არ დაუშვიათ, რის გამოც არავის გასჩენია ეჭვი, რომ თვითმფრინავს ბავშვები მართავდნენ. როგორც ირკვევა, ბავშვი დისპეტჩერებს ეუბნებოდა, რომ მამამისი ცუდად მეტყველებს ინგლისურად და ამიტომ იგი ამყარებს კონტაქტს მათთან. ფრენის „კაპიტანი“ იყო თვითმფრინავის მფლობელის შვილი ალეხანდრო. მისი მეგობრები ხოსე და მიგელი კი — „მგზავრები“. 11 წლის ბავშვებზე ფრენის გამო სისხლის სამართლის საქმე ვერ აღიძრება, ტერორიზმზე კი საუბარი საერთოდ ზედმეტია.



კაპიტალიზმის ფარული ხიბლი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც ინფექციური დაავადებების ამერიკული საზოგადოების ექსპერტებმა გამოთვალეს, ახალი ფასით, ამ წამლის მიღება ერთი წლის განმავლობაში 634 ათასი დოლარი დაჯდება, ამასთანავე, აშშ-ში ამ წამლით მკურნალობას არ ფარავს სამედიცინო დაზღვევა, ნაწილობრივ მაინც რომ ფარავდეს, პაციენტს ერთი აბი დარაპრიმი 150 დოლარი დაუჯდება.**

# ამერიკული ფარმაცევტული კომპანიის ხელმძღვანელის სიხარბემ საზოგადოებრიობა გააოგნა

TURING

**აშშ-ში ფარმაცევტული სკანდალი აგორდა — ნაციონალური მასშტაბის. ნიუიორკული ფარმაცევტული კომპანია Turing Pharmaceuticals-ის ხელმძღვანელის სიხარბემ მსოფლიოს საზოგადოებრიობა გააოგნა.**



2015 წლის აგვისტოში ახალგაზრდა ბიზნესმენმა 50 მლნ დოლარად შეიძინა აივ-ინფიცირებულთა და შიდსით დაავადებულთა სამკურნალო წამლის წარმოების პატენტი, სექტემბერში კი ერთი აბის ღირებულება **18-დან 750 დოლარამდე** ასწია, ანუ პრეპარატი 4166 პროცენტით გააძვირა. ბიზნესმენის ამ საქციელმა სოციალურ ქსელებში ქარიშხალი გამოიწვია და თეთრ სახლსაც მისწვდა, მაგრამ ეს ამბავი, ფირმის ხელმძღვანელობას, როგორც ჩანს, სულაც არ ანაღვლებს.

სკანდალის მთავარი გმირია Turing Pharmaceuticals-ის დამფუძნებელი, ალბანური წარმოშობის ამერიკელი ბიზნესმენი **მარტინ შკრელი.** ფირმა თავის თავს „ფარმაცევტულ სტარტაპს" (ტერმინი, რომლითაც აღინიშნება მოკლე ისტორიის მქონე კომპანია, რომელიც დაკავებულია ფინანსური ოპერაციებით) უწოდებს, 32 წლის შკრელი კი სპეციალობით ჰეჯ-ფონდების (საინვესტიციო ფონდები) მენეჯერია და შესაბამისი მიდგომა აქვს ფარმაცევტული ბაზრის მიმართ: შკრელის კომპანიები ეძებენ შესაძლებლობას, მაქსიმალურად მომგებიან საქმეში ჩადონ სახსრები. და როგორც ბოლო კვირებში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, ჯანმრთელობის დაცვის ბაზარზე მუშაობის სხვა ასპექტები, მათ შორის, ეთიკური, შკრელის სრულიად არ აინტერესებს.

ფარმაცევტულ ბაზარზე ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა: **ელოდებიან ამა თუ იმ პრეპარატის ქიმიური პატენტის ვადის ამოწურვას, ყიდულობენ მისი წარმოების ექსკლუზიურ უფლებას და შემდგომ მაღლა სწევენ ფასს, რათა დაფარონ ლიცენზიის ღირებულება და მოგებაც ნახონ. TURING PHARMACEUTICALS-შიც გადაწყვიტეს, რომ ზოგიერთი პრეპარატის გაძვირება 40-50-ჯერ შეიძლება.**

მარტინ შკრელის ფირმის მიერ შესყიდულ წამლებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ საბაზო მედიკამენტების სიაში შეიტანა. მათგან ერთ-ერთია **დარაპრიმი**, რომელიც 1950-იანი წლებიდან **ტოქსოპლაზმოზის** სამკურნალო საშუალებად გამოიყენება. ზოგიერთი მონაცემით, ტოქსოპლაზმოზით (ადამიანისა და ცხოველის ტოქსოპლაზმით გამოწვეული პარაზიტული დაავადება, რომელიც ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს) დაავადებულია დედამიწის მოსახლეობის 50 პროცენტი, მაგრამ ის განსაკუთრებით სახიფათოა იმუნური სისტემის დაავადებების მქონე ადამიანებისთვის. დარაპრიმი კი აშშ-ში ითვლება ერთ-ერთ სტანდარტულ პრეპარატად, რომელსაც აივ-ინფიცირებულებს უნიშნავენ.

ანუ ტოქსოპლაზმოზით ყველაზე ხშირად ავადდებიან აივ-ინფიცირებულები და შიდსიანები. პაციენტების ამ ჯგუფს, როგორც წესი, დარაპრიმით მკურნალობის ხანგრძლივი კურსი სჭირდება. **როგორც ინფექციური დაავადებების ამერიკული საზოგადოების ექსპერტებმა გამოთვალეს, ახალი ფასით, ამ წამლის მიღება ერთი წლის განმავლობაში 634 ათასი დოლარი დაჯდება, ამასთანავე აშშ-ში ამ წამლით მკურნალობას არ ფარავს სამედიცინო დაზღვევა, ნაწილობრივ მაინც რომ ფარავდეს, პაციენტს ერთი აბი დარაპრიმი 150 დოლარი დაუჯდება.**

შკრელის კომპანიისთვის გაგზავნილ წერილში სპეციალისტებმა პრეპარატზე ახალი ფასების დაწესებას „გაუმართლებელი" უწოდეს. შკრელიმ კი დარაპრინის გაძვირება ახსნა იმით, რომ 1953 წელს დამზადებულ წამალს გაუმჯობესება სჭირდებოდა, ანუ — ძვირად ღირებული კვლევა, ამასთანავე, აღნიშნა, რომ პრეპარატი გაუმართლებლად იაფი ღირდა, წამალი კი გაძვირდება არა 5000 პროცენტით, როგორც ამას ზოგიერთი მედიასაშუალება იუწყებოდა, არამედ — 4000%-ით.

**შკრელის კომპანიისთვის გაგზავნილ წერილში სპეციალისტებმა პრეპარატზე ახალი ფასების დაწესებას «გაუმართლებელი» უწოდეს. შკრელიმ კი დარაპრინის გაძვირება ახსნა იმით, რომ 1953 წელს დამზადებულ წამალს გაუმჯობესება სჭირდებოდა, ანუ — ძვირად ღირებული კვლევა, ამასთანავე, აღნიშნა, რომ პრეპარატი გაუმართლებლად იაფი ღირდა, წამალი კი გაძვირდება არა 5000 პროცენტით, როგორც ამას ზოგიერთი მედიასაშუალება იუწყებოდა, არამედ — 4000%-ით**




პრეპარატის 4000%-ით გაძვირებამ უკიდურესად შეაშფოთა ამერიკელი საზოგადოების დიდი ნაწილი. მათ თავიანთი გულისწყრომა სოციალურ ქსელებში გამოხატეს და ყველას მოუწოდეს Turing Pharmaceuticals-ის პროდუქციის ბოიკოტირებისკენ, თუმცა შემდგომ ბევრი დარწმუნდა ასეთი მიდგომის უეფექტობაში: **ძნელია ბოიკოტირება იმ წამლისა, რომლის გარეშეც ვერ იცოცხლებ!**

შკრელიმ ინტერვიუ მისცა ამერიკელ ტელეარხ CNBC-ის. მან განაცხადა, რომ პრეპარატი დარაპრინი მოძველდა და აქვს უკუჩვენებები (ბიზნესმენი ამტკიცებდა, რომ აბების მიღება ქალებში დროებით უშვილობას იწვევს), ხარვეზების გამოსწორებას კი მისი ფირმის ფარმაცევტები ძვირად ღირებული გამოკვლევის შემდეგ შეეცდებიან.

ბიზნესმენმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ შეეცდება, სადაზღვევო კომპანიები დაიყოლიოს სადაზღვევო პაკეტში პრეპარატის ჩასმაზე, რითაც პაციენტებს დანახარჯებს შეუმცირებს.

ფარმაცევტულ სკანდალში ჩაერთნენ პოლიტიკოსებიც, მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი **ჰილარი კლინტონი**, მაგრამ შესაბამისი კანონების არარსებობის გამო ისინი ვერაფერს გააწყობენ — ამერიკის შეერთებულ შტატებში სტანდარტულ წამლებზე ფასს გამყიდველები აწესებენ და ბაზარი არ რეგულირდება.

ზემომოყვანილი ამბავი იმით არის საინტერესო, რომ წამლებზე ფასებმა საქართველოშიც მოიმატა — მიმდინარე წლის თებერვლის მონაცემებით — 8-9%-ით. ბოლო ხანს ლარის კურსის მკვეთრად დაცემამ კი პრეპარატები კატასტროფულად გააძვირა:

**„საქსტატის" მონაცემებით, საქართველოში გაძვირდა გულ-სისხლძარღვთა სამკურნალო მედიკამენტები, ანტიბიოტიკები, ვიტამინები, საკვების მომნელებელი სისტემის სამკურნალო და ანთებითი პროცესების საწინააღმდეგო პრეპარატები, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევს — არც ხელისუფლება, რომელიც ხალხს წამლების გაიაფებას ჰპირდებოდა, და არც ფარმაცევტული და სადაზღვევო კომპანიები.**

ალსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, მკურნალობის ხარჯის 40% მედიკამენტებზე მოდის. ამ მხრივ საქართველო მსოფლიოში წამყვან პოზიციაზეა, შემდგომ მოდის უნგრეთი და ესპანეთი, ამ ქვეყნებში წამლის ხარჯი მკურნალობაში, შესაბამისად, 29 და 23 პროცენტია.

**P.S. როგორც ჩანს, აშშ-ში დარაპრიმი გაიაფდება. მარტინ შკრელიმ, რომელიც ამერიკაში ყველაზე საძულველ ადამიანად რამდენიმე დღეში იქცა, გადაწყვიტა, დაეთმო საზოგადოებრივი და პოლიტიკური წნეხისთვის და პირობა დადო, რომ დარაპრიმის ფასს შეამცირებს, მაგრამ რამდენად — ჯერჯერობით უცნობია.**

**«საქსტატის» მონაცემებით, საქართველოში გაძვირდა გულ-სისხლძარღვთა სამკურნალო მედიკამენტები, ანტიბიოტიკები, ვიტამინები, საკვების მომნელებელი სისტემის სამკურნალო და ანთებითი პროცესების საწინააღმდეგო პრეპარატები, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევს — არც ხელისუფლება, რომელიც ხალხს წამლების გაიაფებას ჰპირდებოდა, და არც ფარმაცევტული და სადაზღვევო კომპანიები**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

მოკლედ



## ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილმა მებრძოლებმა აღჭურვილობის ნაწილი ისლამისტებს გადასცეს

**აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალური სარდლობის წარმომადგენელმა პატრიკ რაიდერმა განაცხადა, რომ აშშ-ის მიერ გაწვრთნილმა სირიელმა მებრძოლებმა ამერიკული იარაღი „ალ ქაიდას" მოკავშირე ისლამისტებს გადასცეს.** ამერიკული სარდლობის ცნობით, სირიის ოპოზიციის წევრებმა 21 სექტემბერს 6 სატვირთო ავტომობილი და საბრძოლო მასალების ნაწილი სირიაში მოქმედ ისლამისტურ დაჯგუფება „ჯაბჰატ ალ-ნუსრას" გადასცეს. სანაცვლოდ კი მათ „ნუსრას" კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიის გადაკვეთის უფლება მიეცათ.



**დილით გერმანელებმა ცხარე ბრძოლა გაუმართეს მეზღვაურებს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს.პორტში გამაგრებული მედესანტეები გააფთრებით იბრძოდნენ. ორი დღის განმავლობაში მათ მოიგერიეს მტრის 18 შემოტევა, მაგრამ უმრავლესობა დაიხოცა. გადარჩა მხოლოდ 11 მეზღვაური ზემდეგი კირილე ბოჩკოვიჩის მეთაურობით, რომელიც პოზიციებს 28 მარტის დილამდე იცავდა, შემდეგ კი პორტში შემოიჭრნენ საბჭოთა მეომრები ვაშას ძახილით.**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 10 სტალინური დარტყმა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32-33 (314-315)

# სტალინი — დიდი მხედართმთავარი



გიორგი ჟუკოვი



ბრძოლა ოდესისთვის

### დარტყმა № 3

ჟუკოვის არათანმიმდევრული მხედრული მოქმედების გამო, ფელდმარშალმა **მანშტეინმა** მცირე საჯარისო ქვედანაყოფით შეძლო, გამომძვრალიყო კამენეც-კადოვსკის რკალიდან და ჰიტლერს ფერხოვის საზაფხულო რეზიდენციაში ხლებოდა დახმარების სათხოვნელად.

ჰიტლერმა მოუსმინა ფელდმარშალს და უთხრა:

— არ მაქვს საშუალება, მოგცეთ დამატებითი ძალები თქვენი მიზნების განსახორციელებლად, თქვენ ყოველთვის მზად ხართ მანევრირებისთვის. შემოდგომაზე მეუბნებოდით, რომ შეინარჩუნებდით დნეპრს, მას შემდეგ, რაც დნეპრი დაკარგეთ, მარწმუნებდით, რომ გამაგრდებოდით დნეპრის მეორე ნაპირზე, იქიდანაც გაგაძევეს. თქვენ ჩააბარეთ კიევი, შემდეგ კი — დნეპრის მარჯვენა მხარის უკრაინა.

ამით თითქოს დასრულდა საუბარი ფელდმარშალ მანშტეინთან, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ფიურერმა ის კვლავ თავის კაბინეტში დაიბარა **ევალდ ფონ კლეისტთან** ერთად (ეს ხდება 1944 წლის 30 მარტს — გრ. ონიანი). ჰიტლერი ფელდმარშლებს გულითადად შეხვდა, შემდეგ კი განუცხადა, თადარიგში ღირსეულად წასულიყვნენ და ფელდმარშლები სამხედრო დამსახურებისთვის სამახსოვრო ხმლებითა და რკინის ჯვრებით დაჯილდოვა.

ჰიტლერის ეს ღირსეული ჟესტი შეუმჩნეველი არ დარჩენილა სტალინისთვის. თუ ჰიტლერი ბრძოლიდან გაქცეულ დამარცხებულ ფელდმარშლებს აჯილდოებს უმაღლესი ჯილდოთი, მას უფრო დიდი საფუძველი ჰქონდა, თავისი შერცხვენილი და ნაკლებად დამარცხებული „გამარჯვების მთავარსარდალი“ დაეჯილდოვებინა, მაგრამ სტალინმა ეს, რა თქმა უნდა, ჰიტლერის სცენარის მიხედვით არ გააკეთა.

1944 წლის 10 აპრილს, როდესაც მთელი მოსკოვი გრგვინავდა მორიგი გამარჯვების სალუტისგან, დიქტორი **იური ლევიტანი** მსოფლიოს გასაგონად კითხულობდა ბრძანებას, რომ ბრძოლებში გამარჯვებისა და გამოჩენილი მამაცობისთვის შეიქმნა უმაღლესი ორდენი (გამარჯვების ორდენი), რომლითაც პირველი დაჯილდოვდებიან საბჭოთა კავშირის მარშლები — ვასილევსკი და ჟუკოვი.

„გამარჯვების ორდენით“ ჟუკოვის დაჯილდოების ბრძანებაში არაფერი იყო ნათქვამი უახლოესი პერიოდის ბრძოლებზე, რომლებშიც ჟუკოვმა უამრავი შეცდომა დაუშვა, ბრძანება მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლებოდა — ჟუკოვი შეფასებული იყო, როგორც უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებების საუკეთესო შემსრულებელი და სხვ.

ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ **ჟუკოვისთვის „გამარჯვების პირველი ორდენის მინიჭება“ მისი ბრძოლის, სიმამაცისა და შემოქმედების შედეგი კი არ იყო, არამედ ფელდმარშალ მანშტეინის დაჯილდოებისა და იმ კაცურკაცობის გამოხატვის წყალობით მოხდა, რომელიც ჰიტლერმა თავისი დამარცხებული ფელდმარშლების მიმართ გამოიჩინა.**

მაგრამ ეს არ დაინახა რუსმა მარშალმა, როდესაც სტალინის სიკვდილის შემდეგ ყველა მისი დიდება და აღიარება თავის სრულ დამსახურებად მიიჩნია და შეეცადა, სტალინი გვერდზე გაეწია. მაგრამ განა შეიძლება კავკასიონის დაძვრა ადგილიდან? ვერც ჟუკოვმა დაძრა სტალინის სახელი.

**რუსებს უნდა რცხვენოდეთ, რომ სტალინი ოქროსღილებაჭრილი მარშლის მუნდირით მიწაში უწევთ და ნაგავს აყრიან, ხოლო ჟუკოვი ცხენზე ამხედრებული წითელ მოედანზე გამარჯვების მთავარსარდლად ჰყავთ გამოჭიმული. ამიტომაც უჭირს მსოფლიოს, რუსეთის სიმართლე დაიჯეროს.**

სტალინის მიერ ბევრჯერ დაუმსახურებლად დაჯილდოებული და ამაღლებული ჟუკოვი, როგორც მეომარი, სალდაფონური ჟინით დაჯირითობდა ფრონტზე, ის არაფრად აგდებდა ადამიანებს და მათ მხოლოდ იმ ტყვიად მიიჩნევდა, რომელსაც ან პირადი იარაღიდან გაისროდა, ან საარტილერიო ჭურვად გამოიყენებდა.

ჟუკოვმა, რომელმაც უკრაინის ტერიტორიაზე რამდენიმე ოპერაცია ჩააგდო, მაგრამ სტალინის მეურვეობით კვლავ ჩაუდგა ტრაგიკულად, ბენდერების ღალატით მოკლული ვატუტინის ფრონტს, სასწრაფოდ თათბირი მოიწვია. მოკლე სიტყვაში მან ჩამოაყალიბა, ვინ უნდა დაეჯილდოებინა, ვინ მოეხსნა თანამდებობიდან და ვინ დაეხვრიტა. ის განურჩევლად ყველას პირველ პირში და დედის გინებით მიმართავდა, რასაც ფრონტის ხელმძღვანელი ელიტა ძალაუნებურად იტანდა.

ფრონტის საინჟინრო ჯარების მეთაურმა, გენერალმა **ბლაგონრავოვმა**, რომელიც უხეში მიმართვის მსხვერპლი გახდა, მარშალ ჟუკოვს უთხრა:

**„გთხოვთ, შეცვალოთ მიმართვის ტონი და ტექსტი, ყოველგვარი „შენ“-ისა და დედის ხსენების გარეშე“.**

შენიშვნის მოსმენისთანავე **ჟუკოვმა ბუდიდან მაუზერი დააძრო, მაგრამ, ვიდრე მარშალი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანდა იარაღს, გენერალ ბლაგონრავოვის უსწრაფესი მოძრაობით შემართული პარაბელუმი მარშლის მკერდზე იყო დამიზნებული. გენერალი, დარწმუნებული, რომ „დუელს“ აუცილებლად მოიგებდა, ჩახმახის გამოსხლეტას არ ჩქარობდა. ჟუკოვმა თავისი მაუზერი კი გაასწორა, მაგრამ გასროლა ვერ გაბედა, როგორც ჩანს, გააცნობიერა, რომ სწრაფი რეაქციის მქონე მოწინააღმდეგე სროლას უკეთ შეასრულებდა, ან გაუელვა აზრმა, რომ არ აპატიებდნენ (თვით სტალინიც კი) სახელგანთქმული გენერლის სახალხოდ დახვრეტას (თუკი მოახერხებდა — გრ. ონიანი). იარაღი პირველმა ჟუკოვმა დაუშვა და ადიუტანტს გადააწოდა. ბლაგონრავოვმა კი თავისი იარაღი მშვიდად ჩააბრუნა ბუდეში.** „დუელი“ არ

**ჟუკოვმა ბუდიდან მაუზერი დააძრო, მაგრამ ვიდრე მარშალი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანდა იარაღს, გენერალ ბლაგონრავოვის უსწრაფესი მოძრაობით შემართული პარაბელუმი მარშლის მკერდზე იყო დამიზნებული. გენერალი, დარწმუნებული, რომ «დუელს» აუცილებლად მოიგებდა, ჩახმახის გამოსხლეტას არ ჩქარობდა. ჟუკოვმა თავისი მაუზერი კი გაასწორა, მაგრამ გასროლა ვერ გაბედა, როგორც ჩანს, გააცნობიერა, რომ სწრაფი რეაქციის მქონე მოწინააღმდეგე სროლას უკეთ შეასრულებდა, ან გაუელვა აზრმა, რომ არ აპატიებდნენ სახელგანთქმული გენერლის სახალხოდ დახვრეტას**

შედგა, მაგრამ მოხდა ის, რომ ახალჩაბარებული ფრონტის ხელმძღვანელობის წინაშე ფრონტის სარდალმა პირველივე საათში ჩაისვარა. გენერალმა ბლაგონრავოვმა კი ღირსეულად დაასრულა ომი.

ჟუკოვს ახასიათებდა ასეთი გამოხდომები და თვითნებობა, რისთვისაც ბევრჯერ დაუსჯია სტალინს, მაგრამ არცთუ იშვიათად დაუსჯელიც დარჩენილა.

„სტალინმა ერთხელ დანანებით შენიშნა:

— რომ შეიძლებოდეს ადამიანების ხასიათების შერწყმა, სიამოვნებით შევაერთებდი ვასილევსკისა და ჟუკოვის ხასიათებს და შუაზე გავყოფდი მათ“, — იგონებს მარშალი **გოლოვანოვი.**

მესამე სტალინური დარტყმის განხორციელებას უზარმაზარი ძალისხმევა და დრო დასჭირდა. ჯერ უნდა მომზადებულიყო პლაცდარმი ქერჩთან, რათა განხორციელებულიყო ერთიანი დარტყმა, როგორც ყირიმზე, ასევე შავ ზღვისპირეთზე. ქერჩის პლაცდარმის დაკავება წარმატებით განხორციელდა, რაშიც უდიდესი წვლილი შეიტანა უშუალოდ სტალინის მიერ შექმნილმა „პლასტუნების“ (კაზაკების) დივიზიამ **მეტალინიკოვის** მეთაურობით, რომელსაც უშუალოდ მთავარსარდალი აძლევდა დავალებას და უშუალოდვე იღებდა პატაკს დივიზიის მეთაურისგან. ქერჩის პლაცდარმის შექმნის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა მარშალმა **კლიმენტი ვოროშილოვმა,** რომელიც ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებოდა, მას ახლდა გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე **სერგეი შტემენკო.**

სახმელეთო და საზღვაო დაჯგუფებების შეთანხმებას, რომელიც ძნელად მისაღწევი იყო, ათმა კაცმა მოაწერა ხელი. საფრონტო გადაწყვეტილებებს, რომლებიც სტალინს ეგზავნებოდა, ფრონტის სარდალი და შტაბის უფროსი აწერდა ხელს, ხოლო სხვა უფრო რთული საკითხის გადაწყვეტისას ემატებოდა მესამე ხელმოწერა (სამხედრო საბჭოს წარმომადგენლის). ეს კარგად იცოდა შტემენკომ, მაგრამ არ იცოდა კლიმენტი ვოროშილოვმა და სტალინთან თავის დაზღვევის უფრო მეტი გარანტიის გასანაღდებლად გადაწყვიტა, შექმნილ დოკუმენტზე ათი კაცისთვის მოეწერინებინა ხელი, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც შტემენკო იყო, მაგრამ მარშლისა და სამხედრო საბჭოს წევრის წინაშე ვერაფერს გახდა. სტალინმა, მოგვიანებით, როდესაც ქერჩის ოპერაციის ბრწყინვალე შესრულებისთვის ჯილდოებს ანაწილებდა, ანტონოვს უბრძანა, შტემენკოსთვის მისაცემი ჯილდოს ხარისხი ერთი საფეხურით დაემდაბლებინა, — ქერჩში კოლექტივის კრების არჩევნები მომიწყო, ვოროშილოვმა კარგი და, არ იცოდა, მაგრამ თვითონ ხომ იცოდა, როგორც გენშტაბის წევრმა, როგორ დგებოდა ზემდგომთან წარსადგენი მოხსენებაო.

ყირიმის ოპერაციის ბოლო მომენტიც დადგა. 28 მარტს უკრაინის მესამე ფრონტი თავის შემადგენლობაში ითვლიდა 57 მსროლელ და 3 ცხენოსან დივიზიას. სატანკო და მექანიზებულ კორპუსებში გაერთიანებული იყო 470 000 კაცი 12 678 ერთეული იარაღითა და ყუმბარსატყორცნით, 435 ტანკითა და თვითმავალი ჯავშანმანქანით, 436 საბრძოლო თვითმფრინავით. მოწინააღმდეგეს კი ამ მომენტისთვის ჰყავდა 6 გერმანული და 3 რუმინული არმია (20 დივიზია — 16 გერმანული და 4 რუმინული), ორი სატანკო ბატალიონი, 6 ბრიგადა, რომელშიც გაერთიანებული იყო 350 000 კაცი, ყუმბარსატყორცნებითა და 160 ტანკით. ამავე მიმართულებით შეიძლება გამოეყენებინათ 550 საბრძოლო თვითმფრინავი.

**26 მარტს უკრაინის ფრონტის მარჯვენა ფრთამ და ცენტრმა უმძლავრესი საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდეგეს და საბჭოთა მეომრებმა გადალახეს ბუგის სამხრეთი ტერიტორია, ფრონტის მარცხენა მხარემ კი დაიწყო შეტევა ნიკოლაევის მიმართულებით.**

ლეგენდარული მარშლის, **კონევის,** მარცხენაფლანგელებმა გააფართოეს ბრძოლის არეალი და 45 კილომეტრით წინ წაიწიეს. **მალინოვსკის** ჯარებმაც დაგეგმილ საზღვრებზე გაცილებით წინ წაიწიეს და მიუახლოვდნენ ახალ ოდესას.

26 მარტს, ღამის 4 საათსა და 15 წუთზე, საზღვაო ქვეითებმა ფარულად შეაღწიეს პორტში, მოხსნეს საყარაულო პოსტები და მთლიანად დაიკავეს პორტი და მიმდებარე რაიონი.

დილით გერმანელებმა ცხარე ბრძოლა გაუმართეს მეზღვაურებს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. პორტში გამაგრებული მედესანტეები გააფთრებით იბრძოდნენ. ორი დღის განმავლობაში მათ მოიგერიეს მტრის 18 შემოტევა, მაგრამ უმრავლესობა დაიხოცა. გადარჩა მხოლოდ 11 მეზღვაური ზემდეგი **კირილე ბოჩკოვიჩის** მეთაურობით, რომელიც პოზიციებს 28 მარტის დილამდე იცავდა, შემდეგ კი პორტში შემოიჭრნენ საბჭოთა მეომრები „ვაშას“ ძახილით.

იმის მიუხედავად, რომ ზემოაღნიშნული 11 მეთაურის თავგანწირვის ამბავი ყველასთვის არ არის ცნობილი, ისტორია არასდროს დაივიწყებს მათ გმირობას, როგორც სამშობლოს ერთგულებისა და პატრიოტიზმის უბრწყინვალეს მაგალითს.

1944 წლის 10 აპრილს საბჭოთა ჯარების გმირულმა თავგანწირვამ უზრუნველყო ოდესის გაწმენდა ფაშისტი დამპყრობლებისგან.

მსგავსი და უფრო რთული საბრძოლო მოქმედებები ჩატარდა ყირიმისა და სევასტოპოლის გასათავისუფლებლად.

აი, ასეთი იყო ათი სტალინური დარტყმის მესამე დარტყმა.

(გაგრძელება იქნება)

არა არს დაფარული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მხოლოდ ძალაუფლების არანორმალურად განვითარებული წყურვილით დაავადებულ ადამიანს (დათრგუნვილ სადისტ ჰომო-მანიაკს) შეუძლია, გაიმარჯვოს ძალაუფლებისთვის გამართულ ჩხუბში. ასეთია დეგენეროლოგიის აქსიომა“.**

# შემეცნების გასაღები




**ავტორის შესახებ**

გრიგორი კლიმოვი იგორ ბორისის ძე კალმიკოვის ლიტერატურული ფსევდონიმია. დიდი სამამულო ომის მონაწილე ომის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ბერლინში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციაში, 1947 წელს გაიქცა დასავლეთ გერმანიაში, 1949-1950 წლებში მონაწილეობდა ჰარვარდის პროექტში, რომელიც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეგიდით ხორციელდებოდა; ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების ორმაგი აგენტი, გარდაიცვალა 2007 წლის 10 დეკემბერს ნიუ იორკში, 89 წლისა.

50 წლის განმავლობაში ამუშავებდა ე.წ. უმაღლესი სოციოლოგიის (დეგენერალოგიის) მარგინალურ კონცეფციას, რომელიც ისტორიისა და სოციოლოგიის ინტერპრეტაციის სახით იყო წარმოდგენილი.

დაწერილი და გამოცემული აქვს წიგნები: „ტერორის მანქანა“ (1951 წ.), „ამა სამყაროს თავადი“, „საქმე 69“ (1970 წ.), „ჩემი სახელი ლეგიონია“ (1975 წ.), „საბჭოელ ბრძენთა ოქმები“ (1981 წ.), „წითელი კაბალა“ (1996 წ.), „ღმერთის ხალხი“ (1997 წ.).



გრიგორი კლიმოვი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-34 (315-316)

**— შესაძლებელია, რომ რუსეთს ჰყავდეს ნორმალური მთავრობა?**

— თქვენმა შეკითხვამ რუსეთის მთავრობის შესახებ (ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მთავრობაზე) მიგვიყვანა საუბრის მეორე ნაწილამდე.

პირველ ნაწილში გავარკვიეთ, რომ არსებობს დეგენერატების მრავალრიცხოვანი კლასი — ნორმალური ადამიანებისთვის აბსოლუტურად უცნობი ფაქტი. ამ საუბრის მეორე ნაწილში შევიტყობთ, რომ დეგენერატების კლასი არაერთგვაროვანია.

**დეგენერატები შეიძლება იყვნენ კარგები, ცუდები და საზიზღრები; უფრო ზუსტად: კარგები-გადაგვარებულები, ცუდები-დეგენერატები და საზიზღრები-გადაგვარებულები.**

**კვლავ, უკვე მერამდენედ, ხაზი მინდა გავუსვა, რომ ტერმინ დეგენერატს ვიყენებთ, როგორც სამედიცინო ტერმინს (გადაგვარებული) და არ უნდა აღვიქვათ, როგორც შეურაცხმყოფელი სიტყვა.**

უმაღლეს სოციოლოგიაში დეგენერატი ბიოლოგიური ცნებაა. ბიოლოგიურად გადაგვარებულები ზოგჯერ ჩვენი მეგობრები და მოკავშირეები შეიძლება გახდნენ.

მაგალითად, **პეტრე ჩაიკოვსკი იყო კარგი-გადაგვარებული.** არანორმალური სქესობრივი ცხოვრება და უშვილობა მისი მოდგმის (გვარის) გადაგვარების აშკარა მაჩვენებელია. მაგრამ იგი ქმნიდა გასაოცარ მუსიკალურ ნაწარმოებებს, იყო მშვიდი და კარგად აღზრდილი ადამიანი. მისი მუსიკა არ იყო დეკადენტური, იგი ხელოვნებაში დეკადენტობის წახალისების წინააღმდეგი იყო. ამასთანავე, რაც უკვე აღვნიშნე, შვილები არ ჰყავდა. ეს ყველაფერი უფლებას გვაძლევს, მივაკუთვნოთ იგი კარგ-გადაგვარებულებს.

ვხედავ, რომ გსურთ, მკითხოთ — უშვილობა რა შუაშია?

გეტყვით. დედაც და მამაც კარგი-დეგენერატები თუ იყვნენ და ბევრი სიკეთე ჰქონდათ დათესილი ცხოვრებაში, დეგენერაციის დემონებთან ბრძოლაში, არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ მათი შვილები გააგრძელებენ ამ საქმეს. პირიქით, **აშკარა დეგენერატების შვილები, როგორც წესი, სრულად ანადგურებენ ყველა იმ სიკეთეს, რომელიც მათმა მშობლებმა შექმნეს, უფრო მეტიც — ისინი ბოლომდე მიჰყვებიან თავიანთ გამანადგურებელ გზას.** გახსოვთ ლილიან ვოინიჩის ცნობილი წიგნი „კრაზანა“? მამა არქიეპისკოპოსი იყო, შვილი კი რევოლუციონერი გახდა, და ეს ყველაფერი ტრაგედიით დასრულდა. ტიპური ისტორიაა. აი, რატომ ითვლება უშვილობა უაღრესად მნიშვნელოვან კრიტერიუმად მავანის კარგი-დეგენერატის კატეგორიაში მოსათავსებლად.

როგორც კი გაერკვევით ამაში, შევძლებთ, მივუბრუნდეთ თქვენს შეკითხვას ნორმალური მთავრობის შესახებ.

მაშ, ასე: შეუძლია თუ არა ადამიანს, რომელსაც ფეხის კუნთები განვითარებული აქვს, როგორც ყველას, მონაწილეობა მიიღოს სირბილში გამართულ შეჯიბრებაში?

დიახ, შეუძლია სასკოლო გუნდის დონეზე.

დიახ, შეუძლია მონაწილეობა, შეუძლია კიდეც გაიმარჯვოს საქალაქო შეჯიბრების დონეზე.

დიახ, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ არავითარი შანსი არ აქვს, გაიმარჯვოს ქვეყნის პირველობის დონეზე.

მსოფლიოს პირველობაში კი მას მონაწილეობაც არ შეუძლია, გამარჯვებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

ხვდებით, საით მიმყავს ლაპარაკი?

საკავშირო და მსოფლიო მნიშვნელობის შეჯიბრებებში გამარჯვების მოპოვება შეუძლია ადამიანს, რომელსაც ფეხის კუნთები არანორმალურად აქვს განვითარებული.

იგივე პრინციპები ესადაგება შეჯიბრებას თავისუფალ ჭიდაობაში... ძალაუფლების მოსაპოვებლად.

**მხოლოდ ძალაუფლების არანორმალურად განვითარებული წყურვილით დაავადებულ ადამიანს (დათრგუნვილ სადისტ ჰომო-მანიაკს) შეუძლია გაიმარჯვოს ძალაუფლებისთვის გამართულ ჩხუბში.**

ასეთია დეგენეროლოგიის აქსიომა...

მაშასადამე, დეგენერატების კლასი ერთგვაროვანი არ არის. დეგენერატები შეიძლება იყვნენ კარგები, ცუდები და საზიზღრები.

**კარგი დეგენერატები ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან ჩვენი მეგობრები და მოკავშირეები. მთავრობაში ისინი ყოველთვის შეებრძოლებიან საზიზღარ დეგენერატებს ისე, როგორც პოლიციელები ებრძვიან კრიმინალურ ელემენტებს.**

ცუდი-დეგენერატები მთავრობაში ისე მოიქცევიან, თითქოს არაფერი ხდება. არც კი შეეცდებიან საზიზღრების შეჩერებას ნორმალური ადამიანების კლასზე შეტევის დროს.

საზიზღარი-დეგენერატები ყოველთვის იწყებენ კარგ-დეგენერატებზე შეტევით, რადგან კარგ-დეგენერატებს, როგორც ორგანიზმის დამცავ სისტემას, შეუძლიათ, სწრაფად გამოააშკარავონ და გააუვნებლონ საზიზღარ-დეგენერატთა ქმედება. მთავრობაში კარგი-დეგენერატების დამარცხების შემდეგ, **საზიზღარი-დეგენერატები, როგორც წესი, დაუყოვნებლივ იწყებენ სრულმასშტაბიან ომს ნორმალური ადამიანების კლასის წინააღმდეგ.**

მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში ამ პროცესს ეწოდება დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი, რომელიც ისტორიული პროგრესის მამოძრავებელი ძალაა. ორი ათასი წლის წინათ კი რომაელებმა ეს კანონი ასე ჩამოაყალიბეს: Similia similibus curantur, ანუ **მსგავსი მსგავსითვე შეიცნობა** (უფრო ზუსტად — მსგავსი მსგავსითვე განიკურნება).

მაშ, როგორ გავარკვიოთ — არიან კი კარგი დეგენერატები მთავრობაში?

ზუსტად იმავე წესით, როგორც გავარკვიეთ — არის კი კატა საწოლის ქვეშ. შევუშვებთ თაგვს ოთახში და კატა, თუკი არის, თაგვს დასაჭერად დაედევნება.

მოდი, შევუშვათ ჩვენი თაგვები...

**როგორ რეაგირებს მთავრობა პედერასტების უფლებების დაცვაზე?**

**როგორ რეაგირებს მთავრობა დეგენერატი დამნაშავეების სიკვდილით დასჯაზე?**

**როგორ იცავს მთავრობა ნორმალური მშრომელების ინტერესებს?**

**როგორ იცავს მთავრობა დეგენერატების პარაზიტული კლასის ინტერესებს?**

მარტივი შეკითხვებია. პასუხებიც მარტივია. ტესტიც მარტივია.

იგივე მეთოდიკა შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი სხვა სტრუქტურის მიმართ: მეცნიერებაში, ხელოვნებაში, არმიაში, პრესაში, ტელევიზიაში, ეკლესიაში...

ეს ტესტი ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის, რომელი განყოფილებები აქვთ სრულად დაპყრობილი საზიზღარ-დეგენერატებს, ცუდ-დეგენერატებს დამორჩილებული რომელი განყოფილებები არის უძრაობის მდგომარეობაში და რომლებს აკონტროლებენ კარგი-დეგენერატები, ამასთან, იცავენ ნორმალური მშრომელების მთელ კლასს საზიზღარი-დეგენერატების გააფთრებული შეტევებისგან.

**ხშირად მეკითხებიან — შეიძლება კი ხელისუფლების სათავეში იდგნენ ნორმალური ადამიანები? ჩემი პასუხი თეორიულად არის — დიახ! მაგრამ პრაქტიკულად, თუ ნორმალური ადამიანი ხელისუფლებაში მივა, იქ დიდხანს ვერ გაძლებს...**

**— როგორ აფასებთ „სისხლის სიწმინდისთვის“ მებრძოლებს?**

— მაღალ ღმერთს სძულს რასიზმი, ნებისმიერი ფორმით გამჟღავნებული. სძულს თვით იდეა, რომლის მიხედვით, რომელიმე ხალხს შეეძლება, ღვთის რჩეულად გამოაცხადოს საკუთარი თავი...

ნებისმიერი ადამიანი, რომელიც შეეცდება, შეინარჩუნოს „სისხლის სიწმინდე“ შერეული ქორწინების აკრძალვით სხვა ეროვნების ნორმალურ ადამიანებზე, რისკავს, დააჩქაროს თავისი ერის დეგენერაციის პროცესი, განსაკუთრებით — თუ მცირე ერია.

კვლავ ხაზს ვუსვამ — აქ ჩვენ ვლაპარაკობთ ნორმალური ადამიანების დაქორწინებაზე.

**— რა დამოკიდებულება გაქვთ გადაგვარებულთა ქორწინებაზე და „ახალი ერის“ აღდგენაზე (შექმნაზე)?**

— წარმოიდგინეთ, რომ ვიღაც დეგენერატიული სექტის წევრებს ერთ ადგილზე დაუწყებს შეგროვებას, მაგალითად... კუნძულ მადაგასკარზე (არადა, იყო ასეთი პროექტი 30-იანი წლების ბოლოს)...

იქ თავს მოიყრიან დეგენერატები აშშ-დან, რუსეთიდან, კანადიდან, ეთიოპიიდან, ერაყიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან... ადრე თუ გვიან ისინი ერთმანეთზე დაქორწინდებიან. როგორი იქნება მათი შეუღლების შედეგი? ნორმალური ბავშვები დაიბადებიან?

ასეთია ჩემი პასუხი თქვენს შეკითხვაზე დეგენერატიული სექტის წევრების დაქორწინებისა და მშრომელთა „ახალი ერის“ შექმნის თაობაზე.

სულ სხვა პრობლემა წარმოიქმნება შერეული ქორწინებისას დეგენერატიული სექტის წევრებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

დეგენერატებს უჭირთ, გააგრძელონ თავიანთი მოდგმა. აქედან მოდის მათი სახელწოდებაც — გადაგვარებულები, გადაგვარებული...

ამრიგად, **თუ დეგენერატი გადაწყვეტს, იქორწინოს ადგილობრივ ქალზე, ნორმალური ქალი დიდხანს ვერ გაუძლებს მის პათოლოგიურ ორგიებში მონაწილეობას. მხოლოდ ახალგამომცხვარი დეგენერატი მკვიდრი ქალი დაუკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

დეგენერატიული სექტა, როგორც ღრუბელი, მუდმივად შეიწოვს ყველა ადგილობრივ დეგენერატს. ისინი მუშაობენ, როგორც მსოფლიო სიბინძურეთა ჩასადენი თხრილი, რომელიც თავს უყრის მსოფლიოს ყველა ერის ნარჩენებს.

დეგენერატიული სექტის წევრებისა და ადგილობრივი მოსახლეობის შერეული ქორწინების უმრავლესობა ორი დეგენერატის — ძველისა და ახალგამომცხვარის — შეუღლებად წარმოგვიდგება.

ამ ბინძური ციკლიდან ერთადერთი გამოსავალი უშვილობა ან ნაშვილები ბავშვებია, მაგრამ ეს სხვა თემაა.

**— რელიგიასთან რა დამოკიდებულება გაქვთ?**

— მე ვარ რუსი, მონათლული ადამიანი და, როგორც რუსების უმრავლესობას, მართლმადიდებლად მიმაჩნია საკუთარი თავი...

რელიგია რთული და წინააღმდეგობრივი თემაა, ისეთივე, როგორც დეგენერალოგია, ამიტომ რელიგიურ თემებზე დისკუსიებში მონაწილეობისგან თავი შორს მიჭირავს...

დეგენერაცია ცხოვრების ციკლის განუყოფელი ნაწილია. ათასობით წელია, რაც ეს პროცესი მიმდინარეობს, ოღონდ უწინ მას სხვა სახელი ერქვა.

**როცა ახალი, ახალგამომცხვარი დეგენერატი მიხვდება, რომ იგი სხვა, ნორმალური ადამიანებისგან განსხვავებულია, მას არჩევანის საშუალება ეძლევა. შეუძლია, გახდეს კარგი-გადაგვარებული, ცუდი-დეგენერატი ან საზიზღარი-გადაგვარებული.**

განვიხილოთ ეს მომენტი უბრალო მაგალითის მოშველიებით.

როცა სადისტური ჰომომოზარდი პირველად იგრძნობს დეგენერაციის დემონების არსებობას (დომინირების, თავდასხმის, მკვლელობის მოთხოვნილებას), მას შეუძლია:

**1. შევიდეს ადგილობრივ ქუჩის ბანდაში (ან შექმნას თავისი) და დაიწყოს ადგილობრივი ნორმალური ადამიანების ძარცვა და მკვლელობა.**

**2. შევიდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სკოლაში. გახდეს პოლიციელი და დაიწყოს ადგილობრივი კრიმინული ბანდების წევრების დახოცვა.**

განსხვავებას ხედავთ?

იგივე ითქმის რელიგიაზე.

თუ ჰომოყმაწვილმა იგრძნო დეგენერაციის დემონების არსებობა, მას შეუძლია, გაერთიანდეს ბერების ნებისმიერ საძმოში, სადაც დეგენერაციის საკითხებში გარკვეული ბერები დაეხმარებიან ამ დემონების განდევნაში. ბერების საძმოებს ამ ბოროტებასთან ბრძოლის ათასწლოვანი გამოცდილება აქვთ. თქვენ იცით, რაზეც ვლაპარაკობ — მარხვა, ლოცვა, მძიმე ფიზიკური შრომა, მდუმარება და მთავარი — ცელიბატი (უქორწინობა).

**ბერებს შორის მხოლოდ ისინი, რომლებიც დაძლევენ დეგენერაციის დემონებთან მრავალწლიანი ბრძოლის გამოცდას, ამაღლდებიან საეკლესიო იერარქიის უფრო პასუხსაგებ თანამდებობაზე (ყოველ შემთხვევაში — უწინ ასე იყო)... რელიგიების უმეტესობის ღვთისმსახურები ძალიან კარგად ერკვევიან დეგენერალოგიის საკითხებში და ამიტომ ცდილობენ, დაეხმარონ ადგილობრივ, ახალგამომცხვარ დეგენერატებს, მიიღონ სწორი გადაწყვეტილება. სწორი არჩევანი გააკეთონ ღმერთსა და ეშმაკს შორის.**

როცა მღვდელი აღსარებას ისმენს, წვრილმან ცოდვებს მცირე ყურადღებას უთმობს, მაგრამ, როგორც კი აღმოაჩენს დეგენერატიული ქცევის ნებისმიერ ნიშანს, დაუყოვნებლივ იწყებს საუბარს მოზარდთან და, ამასთანავე, დაჟინებით ურჩევს, შევიდეს ბერების ადგილობრივ საძმოში.

კვლავ ვიმეორებ: ეს ყველაფერი დიდად არის გაუბრალოებული, მაგრამ, მგონი, დაგეხმარებათ, მოხაზოთ პრობლემის საერთო კონტურები და მისი მოგვარების გზები.

ეს კარგია.

მეორე მხრივ, ჰომომოზარდი შეიძლება შევიდეს დეგენერატების კლუბებში (ილუმინატები, მასონები, როტარები და ა.შ. და ა.შ.), რომლებიც დეგენერატიული სექტების ლიდერების მიერ ორგანიზებულია, რათა ადგილობრივ დეგენერატ მკვიდრთა გამანადგურებელი ენერგია წარმართონ ნორმალური ადამიანების, თავიანთი სახელმწიფოს ნორმალური სტრუქტურების წინააღმდეგ.

ეს საშინელება იქნება.

მაშინ რაღაა ცუდი?

**ცუდი იქნება მაშინ, როცა ეს მოზარდი ღმერთს ზურგს შეაქცევს, შეეცდება თვით ღმერთის მოტყუებას ნორმალურ ქალზე დაქორწინებით, რითაც სრულად გააქარწყლებს მის ოცნებას ბედნიერ ოჯახსა და ჯანმრთელ ბავშვებზე.**

**კარგად დაიმახსოვრეთ — არჩევანი ყოველთვის თქვენზეა, არჩევის საშუალება ყოველთვის გაქვთ.**

გაგრძელება იქნება

ნიან.GE

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რის ღირსია «ღირსეული» ხადური, ანუ როდის გაძღებით, «თქვენო ღირსებაავ»?

**„ოცნების“ სულ პირველი მინისტრთა კაბინეტიდან დღემდე თანამდებობებს ორიოდე მინისტრიღა შემორჩა და მათ შორის ერთ-ერთი არის ნოდარ ხადური. ვერ გეტყვით, რა დაინახა ასეთი ამ ყველაზე ადრე სახელგატეხილ სახელმწიფო მოხელეში ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ ფაქტია, რომ ენერგეტიკის, ჯანდაცვის, იუსტიციის „პირველყოფილ“ მინისტრებთან ერთად, პოსტს დღემდე ფინანსთა მინისტრიც მყარად ინარჩუნებს.**

ნოდარ ხადურის პორტფელის ასეთ სიმყარეს მის „წარმატებებს“ ნამდვილად ვერ მივაწერთ, რადგან „საოცნებო“ სამი წლის მანძილზე, თუკი რამეში აქვს ჩვენს ქვეყანას ყველაზე დიდი პრობლემა და ჩავარდნა, სწორედ რომ ფინანსებშია.

მაშ, **რა უნარჩუნებს საქართველოს ყველაზე უფრო ჩასვრილ მინისტრს ადგილსა და თანამდებობას?** ამ კითხვაზე პასუხი, ალბათ, მხოლოდ ბატონმა მილიარდერმა იცის, როგორც მას სჩვევია ხოლმე, მხოლოდ და მისთვის „გასაგები“ ახირებითა და დაჟინებით. ამიტომ, ვფიქრობ, მოგვიწევს ლოდინი იქამდე, ვიდრე ივანიშვილი მორიგ „ფავორიტზე“, ანუ ნოდარ ხადურზეც იტყვის — „სხვა კაცი მეგონა და შევცდიო“ და შემდეგ კიდევ სხვა „მოსიარულე შეცდომას“ მოიყვანს მის ადგილზე — ხომ არაერთი გვინახავს, ამ „შეუცდომელი“ მილიარდერის ნამოქმედარი?!

თუმცა, შესაძლოა, თვითონ ხადურის ბოლოდროინდელ გამონათქვამებში ვეძიოთ ჭეშმარიტების მარცვალი.

აი, მაგალითად, როდესაც პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი განიხილავდა პარლამენტარ **ზაქარია ქუცნაშვილის** ინიციატივას, რომ სახელმწიფო მოხელეებს არ აეღოთ არც პრემიები, არც დანამატები და მხოლოდ ფიქსირებულ ხელფასს დასჯერებოდნენ, ხადურმა ვერ მოითმინა და სასწრაფოდ გამოჩნდა ჟურნალისტების წინაშე სასოწარკვეთილი შეძახილით — **„საჯარო სტრუქტურებში ღირსეული ადამიანები ვმუშაობთ და ღირსეული ანაზღაურებაც გვესაჭიროება!“**

აი, თურმე რა ყოფილა ხადურის პორტფელის სიმყარის გასაღები, მისი ყოვლად „ღირსეულობა“!

აბა, ვინ გაუბედავს მას ამის შემდეგ, — „ღირსეულად“ დათმე ეგ ჩასვრილი პორტფელი და წადიო?!

პირიქით, ვფიქრობ, **უკვე უფლება აღარ გვაქვს, ბატონ ხადურს მეც და სრულიად საქართველომაც ასე არ მივმართოთ ხოლმე — „თქვენო ღირსებაავ!“. ის და ყველა სხვა „მაღალდანამატიანპრემიიანი“ ხომ ამას უდავოდ იმსახურებენ!**

ერთადერთი რამ დარჩა გასარკვევი:

**უკვე მესამე წელიწადია, რამდენჯერაც საზოგადოება გააპროტესტებს ამ „ღირსეულთა“ წარმოუდგენლად მაღალ ხელფასებს, პრემიებსა თუ დანამატებს, იმდენჯერ გამოხტებიან ხოლმე „ხადურისებრთა ოჯახის“ წარმომადგენლები და კოპებშეკრულნი გვეჩხუბებიან:**

„ჩვენ ღირსეულნი ვართ და ღირსეული ანაზღაურება გვესაჭიროება!“-ო...

ჰოდა, ჩვენც, ეს „ულირსი“ საზოგადოება, უკვე მერამდენედ ვუსვამთ მათ კითხვას:

**გვითხარით კონკრეტული რიცხვი! რამდენია ეს „ღირსეული ანაზღაურება“, რომელიც თქვენი და თქვენი ოჯახების „ღირსეულ“ მუცლებს ისე ამოყორავს, რომ კოპებს აღარ შეიკრავთ ხოლმე და აღარ დაგვტუქსავთ?**

„ღირსეულნი“ რომ ხართ, ეგ უკვე გავიგეთ და ისედაც ეტყობა თქვენი „ღირსეული“ სამსახურის შედეგი ჩვენს ყოველმხრივ „ღირსეულად“ ჩასვრილ ქვეყანას!

აქვე, არ დაგიკარგავთ დამსახურებას მსოფლიო ეკონომიკისა და სოციალური მეცნიერებების წინაშე, რადგან აქამდე დედამიწა იცნობდა შრომის „დაბალ“, „საშუალო“ და „მაღალ“ ანაზღაურებას.

დღეის ამას იქით, ვფიქრობ, საქართველოს მთავრობამ და ქართველმა ხალხმა ყველაფერი უნდა იღონოს, რომ მსოფლიოს მოჰფინოს ეს ინოვაცია და ამ სამ კატეგორიას კიდევ დაემატოს მეოთხე — „ღირსეულის“ კატეგორია.

ეგ კი არა, აუცილებლად მიგვაჩნია, რესტორნების, კაფებარებისა და სხვადასხვა მომსახურების მენიუებში აუცილებლად დავამატოთ შესაბამისი გრაფა.

მაგალითად: ყველას მოგეხსენებათ, საქართველოში, სახაჭაპურეები თუ კიდევ უფრო მაღალი რანგის საკვები დაწესებულებები მენიუში გვთავაზეობენ ჩამონათვალს:

„აჭარული ხაჭაპური პატარა“, „აჭარული ხაჭაპური საშუალო“, „აჭარული ხაჭაპური დიდი“;

ანდა „მწვადი პატარა“, „მწვადი საშუალო“, „მწვადი დიდი“ (შამფურის ზომის მიხედვით) და ასე — ზომისა და მოცულობის მიხედვით დახარისხებულ სხვადასხვა კერძს.

მაგრამ **რას აპირებენ ამ დაწესებულებათა მენეჯერები, უცებ რომ ეწვიოს ნოდარ ხადური ან სხვა რომელიმე „,მისი ღირსება“?**

**მათ ხომ, როგორც ვხედავთ, არც „პატარა“ აკმაყოფილებთ, არც „საშუალო“ და არც „დიდი“?!**

**ამიტომ რეკომენდაცია ეძლევა ყველა საკვები და სხვა სახის დაწესებულების მენეჯერებს, სასწრაფოდ ჩაამატონ მენიუებში „აჭარული ხაჭაპური ღირსეული“, „მწვადი ღირსეული“ და ა. შ.**




**ორი ათას ლარზე მომუშავე «მათხოვრები» ვერ შეინარჩუნებენ ლარის კურსს! გააძვირებენ დენის ტარიფს! გააძვირებენ ფასებს პროდუქტებზე! დაეცემა ყურძნის, ციტრუსისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ჩასაბარებელი ფასები, ბანკები საშინელ პირობებში ჩააყენებენ მეანაბრეებს, დოლარის გამყარებასთან ერთად კრედიტები დააწვება მოქალაქეებს! გესმით თუ არა ამდენი, თქვე უნამუსო და შუბლზეძარღვგაწყვეტილო ხალხო?**

აუცილებელია იმის ცოდნაც, რომ „მათ ღირსებათა“ ასეთი „ღირსეული“ გემოვნება და მადა მხოლოდ საკვებსა და კერძებს არ უკავშირდება.

მაგალითად, მათვე უნდა მივცეთ არჩევანი, როგორმა მიმტანმა მიართვას „ღირსეული“ კერძი.

ანუ, უნდა გვყავდეს ასარჩევად „მიმტანი პატარა“, „მიმტანი საშუალო“, „მიმტანი დიდი“, „მიმტანი ღირსეული“.

გასათვლელი და გასათვალისწინებელია ყველაფერი, რათა ეს „ღირსეული“ ხალხი არ გავანაწყენოთ, თორემ გაბრაზდებიან, უარს იტყვიან საჯარო სამსახურში მუშაობაზე და ვიღა გვიპატრონებს მერე?!

რა, **ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ ის „არაპროფესიონალები“, რომლებიც დღეს უმუშევრები არიან და საჭიროების შემთხვევაში, ათას, ათას ხუთას ან სულაც ორი ათას ლარზე მზად არიან, იმუშაონ, ისეთივე წარმატებითა და ისეთივე თავდადებით მოემსახურებიან ქვეყანას, როგორც ეს ხუთიათასლარიანი „ღირსეულები“?**

თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ ათას ხუთას და ორი ათას ლარზე ყაბულს მყოფი სახელმწიფო მოხელეები ისევე აგიყვავებენ ყველაფერს და ისევე იზრუნებენ თითოეულ მოქალაქეზე, როგორც ახლა ეს „ღირსეულები“ ზრუნავენ?

არა, ბატონო!

რა მოხდება, იცით?

**როგორც კი ახლანდელ „ღირსეულ“ სახელმწიფო მოხელეთა ანაზღაურება „ღირსეულზე“ ნაკლები გახდება და ისინი საკუთარ სამშობლოსა და ხალხზე „ღირსეულად“ განაწყენებულნი მიატოვებენ თანამდებობებს, იმწამსვე დაიწყება კოლაფსი!**

კერძოდ, ორი ათას ლარზე მომუშავე „მათხოვრები“ ვერ შეინარჩუნებენ ლარის კურსს! გააძვირებენ დენის ტარიფს! გააძვირებენ ფასებს პროდუქტებზე! დაეცემა ყურძნის, ციტრუსისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ჩასაბარებელი ფასები! ბანკები საშინელ პირობებში ჩააყენებენ მეანაბრეებს, დოლარის გამყარებასთან ერთად კრედიტები დააწვება მოქალაქეებს!

გესმით თუ არა ამდენი, თქვე უნამუსო და შუბლზეძარღვგაწყვეტილო ხალხო?

**ესენი ხომ ჩვენი „ღირსეულები“ არიან, კბილებით რომ აკავებენ ლარის კურსს, 1 და 80-ის ზევით რომ არ წასულა დღემდე! დენიც ხომ გაიაფდა? ბენზინი 1 ლარი გახდა! ყურძნის ფასი 1 ლარი იყო და ლარ-ნახევარია! გლეხებს მოსავალი ისე უცებ გაუსაღდათ, რომ გულიც კი დასწყდათ — ცოტა გვაშრომეთ, რა იყო, თქვე კაი ხალხო, ყველაფერი რომ ასე უმაღლეს ფასებში გამოგვტაცეთ ასე უცებ ხელიდანო?!**

**აი, ამიტომ იმსახურებენ ეს „ღირსეული“ მოხელენი ღირსეულ ანაზღაურებას!**

თუ არადა, მიდით, გაანაწყენეთ ისინი და მოიყვანეთ ორი ათას ლარზე მომუშავე „მათხოვრები“!

ნახავთ მერე სეირს!

მოკლედ, ყველაფერი მარტივია და გასაგები: ამ „ღირსეულთა“ გარეშე უდიდესი საშიშროება, ეკონომიკური კოლაფსი და სოციალური კატასტროფა გველის! ანუ, შევთანხმდით უკვე იმაზე, რომ ისინი, რამდენსაც მოითხოვენ, იმდენი ანაზღაურება უნდა მივცეთ თვეში და არ „გავანერვიულოთ“!

უბრალოდ, მინდა, ვთხოვო მათ მოკრძალებულად, მაგრამ მაინც დაჟინებით: **ბოლოს და ბოლოს, ამ ზოგადი „ღირსეული ანაზღაურების“ ნაცვლად დაასახელეთ კონკრეტული რიცხვი, რამდენი უნდა გქონდეთ თვეში ხელფასი, ის თქვენთვის „ღირსეულად“ რომ მიიჩნიოთ?**

**3 ათასი? 5 ათასი? 7 ათასი? 10 ათასი? 15 ათასი? 20 ათასი?**

ან რამდენი მიგაჩნიათ თქვენთვის „ღირსეულ“ ანაზღაურებად?

იქნება და, გთანხმდებათ საზოგადოება ამაზე? რატომ არ ასახელებთ არასოდეს კონკრეტულ რიცხვს და რატომ გაიძახით მუდმივად ამ ყოვლად ზოგად და გაუგებარ ტერმინს — „ღირსეული ანაზღაურება“?

გამოდის, თქვენი ამჟამინდელი ანაზღაურება არ მიგაჩნიათ თქვენთვის შესაფერისად და თანაც იმისიც გეშინიათ, რომ ხალხი არ დაგთანხმდებათ იმ რიცხვზე, რომელიც, თქვენი აზრით, უნდა აღნიშნავდეს თქვენს ყოველთვიურ შემოსავალს?

**გეშინიათ, პირიქით არ მოხდეს — ხალხმა მართლაც „ღირსეულად“ არ გაგაპანღუროთ?!**

აი, ეს არის ერთადერთი სიმართლე!

**დიახ! თქვენ მართლაც უნდა მიიღოთ ხალხისგან ის, რისი ღირსებიც ხართ და მერე ისწავლით ჭკუას!**

ბლოგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიან.GE

# რას დაუშავებენ საქართველოს «ბნელი პრორუსული ძალები», ანუ რა სარგებლობა მოაქვს თინას?

**არა და არ ცხრება საქართველოში ე.წ. პრორუსული ძალების მომძლავრებისა და მათგან მოსალოდნელი „ქარიშხლის“ შესახებ პანიკა და ყურისწამლები მოთქმა-გოდება. მიუხედავად იმისა, რომ მეც და სხვებმაც არაერთხელ კატეგორიულად მოვთხოვეთ „ბრალმდებლებს“, კონკრეტულად დაესახელებინათ, კერძოდ, სად ხედავენ ამ „მძლავრ პრორუსულ ქარიშხალს“ „ოდნავ მბჟუტავი“ ამერიკული პროპაგანდის წინააღმდეგ, ისინი მაინც ასე, ზოგადი და მიდებ-მოდებითი ფრაზებით შემოიფარგლებიან.**



რეალობა კი ის არის, რომ „ენ-დი-აის“ ყბადაღებული 31 „პრორუსული პროცენტიცა“ და საქართველოს მოსახლეობაში მართლაც ფეხმოკიდებული ე.წ. პრორუსული განწყობებიც სწორედ „პროამერიკელთა“ უმძიმესი „ჩასვრით“ არის გამოწვეული და არა რაიმე „პრორუსული ქარიშხლით“ ან თუნდაც „ნიავით“.

**საზოგადოება 25-წლიანი „პროამერიკელობითა“ და „პროდასავლურობით“, რომ გადაიღალა, ფაქტია, „ჩრდილოეთის მზის“ „ჩრდილო ატლანტიკით“ ჩანაცვლების მცდელობამ რომ სახარბიელო ჟერჟეროზით ვერაფერი მოუტანა ჩვენს ქვეყანას, ამაში, მგონი, ყველაზე უნამუსო „მედასავლეთ-მეამერიკელეც“ ვერ შემეკამათება. საქართველოს ნატოსკენ მისწრაფების საპირწონედ, რუსეთის მუქარების „მასხრად აგდებამ“ ბოლოს ვინ გააცინა და ვინ აატირა, ეგეც ვნახეთ.**

ფაქტი და შედეგი ასეთია: განვითარებულ, წინწასულ, დამშვენებულ-დალაგებულ ევროპა-ამერიკას, ჩამოშლილმა, არეულმა და „დაჟანგულმა“ რუსეთმა ნათლად დაანახვა, რომ „ძალა შესწევს ქადილისა“ და აასრულა კიდეც ის, რასაც ქართველი „პრადვინუტი“ ამერიკანელები დაუფარავი ირონიით უცქერდნენ — აქაოდა, ახლა ოცდამეერთე საუკუნეა და რუსეთს მაგას ვინ გააბედვინებსო.

კისერიც ყველას უტეხია. ეს ქადილი რუსეთს დასავლეთის რომელიმე ქვეყნის ან თუნდაც აშშ-ის დაზარალების ხარჯზე რომ შეესრულებინა, **საქმეც ეგ არის, რომ ისევ და ისევ საქართველო დაზარალდა, თორემ, ასე ვთქვათ, რუსეთის წინააღმდეგ ჩვენმა „წამქეზებელმა“ ქვეყნებმა მხოლოდ ტონი შეიცვალეს და მორჩა, სულ ეგ იყო მათი „ზარალი“.**

**აი, ჩვენ კი, დიდად საეჭვოა, რომ ან ძალიან დიდი ხნით, ან საბოლოოდ დავკარგეთ სოხუმი და ცხინვალი...**

სწორედ ამ ფონზე უკვე მართლაც სასაცილოა, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე „რუსული ძალების გააქტიურებით“ რომ გვაშინებს.

კიდევ ჯანდაბას, როდესაც ასეთ უდონო სისულელეს **თამარ კინწურაშვილი, ეკა გიგაური** ან რომელიმე მსგავსი „დასავლეთით“ ზედმეტად აღტყინებული ქალი გაიძახის.

მაგრამ, **როდესაც ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ოფიციალურად აცხადებს: „საქართველოს მომავალ პარლამენტში რუსული ძალების უმრავლესობით მოსვლის საფრთხე აშკარაა“-ო, და მალევე უმატებს: „ვიდრე ცოცხალი ვარ, რუსეთი საქართველოში ვერ გაიჭაჭანებს“-ო, აქ ორი ვარიანტი გვრჩება:**

**1. თინა ხიდაშელი ამ სისულელეს იმიტომ აბრახვებს, რომ დასავლეთიდან მეტი დაფინანსება მიიღოს რუსულ ქარის წისქვილთან საომრად;**

**2. 2016 წლის არჩევნებისთვის თინა ხიდაშელი ცოცხალი აღარ იქნება.**

მეორე ვარიანტი, რა თქმა უნდა, გროტესკული და შავი ხუმრობაა, უფრო შავად და უბედურად ჩვენს ქვეყანას აქვს საქმე ასეთი ცანცარა და არასერიოზული თავდაცვის მინისტრის ხელში.

**ნეტავ, რა „ბუაა“ ეს „ბუა“, რომლითაც ასე გვაშინებენ ქალბატონი თინა და სხვანი? კი, ბატონო, სადღაც 90-იან წლებში რომ დაგვმუქრებოდა ვინმე „რუსული ძალებით“, კიდევ შეიძლება შევშინებულიყავით, მაგრამ ახლა, საინტერსოა, ნეტავ, რა უნდა დაგვიშავონ ამ „ბუა“-პრორუსულმა ძალებმა?**

როდესაც ასე ძალიან ცდილობ ადამიანების შეშინებას, ვფიქრობ, უფრო დამაჯერებლად საშიში არგუმენტები უნდა მოაყოლო! მაგალითად, ასეთი:

**„შემოვლენ რუსები და წაგვართმევენ კბილებით შენარჩუნებულ ცხინვალს!“**

უჰ, არ გამოდგება? აჰ, ხო, ცხინვალი ხომ მაშინ დავკარგეთ, როდესაც ბალახს ვჭამდით, ბორჯომს ვაყოლებდით და აღტკინებულები „შავლეგოს“ ვმღეროდით.

**„შემოვლენ რუსები და წაგვართმევენ კბილებით შენარჩუნებულ სოხუმს!“**

არა, არც ეს გამოდგება? აჰ, ხო, სოხუმი ხომ ჯერ კიდევ „მედასავლეთუმეობის“ გარიჟრაჟზე გავანიავეთ...

იქნებ — **„შემოვლენ რუსები და წაგვართმევენ კბილებით შენარჩუნებულ კოდორსა და ახალგორს!“**

არც ასე ვარგა? კოდორიც და ახალგორიც ნატოს ძახილსა და ჰალტსუხის ლექვისას დავკარგეთ....

კაი, მაშინ ასე:

**„შემოვლენ რუსები და აღიარებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას!“**

ვაჰ! არც ეს ვარგა? აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაც „პრონატოობის“ პერიოდში ვაღიარებინეთ რუსეთს.

კაი, მაშინ:

**„რუსები შემოვლენ და ყველა ჩვენს სტრატეგიულ ობიექტს მიითვისებენ!“**

აააა! ეგ ობიექტები ისედაც მივყიდეთ ყველა, ხო?

**ვაჰ! აბა, რაღა ჯანდაბა და დოზანა უნდა დაგვიშავონ ამ ასე „ბუად“ დახატულმა „პრორუსულმა“ ძალებმა? ჰა, ამოთქვი, თინათინ, კიდევ რაღა გვაქვს დასაკარგი?**

მგონი, აწი **ერთადერთი, რაც რუსეთის საქართველოში შემოსვლით შეიძლება „დაგვიშავდეს“, საქართველოს ისევ გაერთიანებაა რუსეთის სამხედრო სტრატეგიულ ინტერესებთან თანხვედრის გზით.**

**მართალია, ამ შემთხვევაში ვკარგავთ „პრადვინუტობას“, მაგრამ იქნებ მოვიგოთ ტერიტორია!**

აკი, ფიზიკაში მექანიკის ოქროს წესია: მანძილი რომ მოიგო, ძალა უნდა დაკარგო და პირიქით — ძალა რომ მოიგო, მანძილში უნდა წააგო! ყველაფრის მოგება ელემენტარულ ფიზიკაშიც კი გამორიცხულია, არათუ ურთულეს პოლიტიკაში და, მგონი, ეს ძალიან კარგად გვაქვს გასააზრებელი.

ხაზს ვუსვამ: **ე.წ. რუსულ ორბიტაზე გასვლა ყველაფრით და ყველაფრამდე კარგი და გადასარევიაო, — ასეთ სისულელეს არავინ ამბობს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთისთვის, დავუშვათ, სამხედრო ბაზის განსათავსებლად ჩვენი „თავისუფლების“ ნაწილობრივი შეწირვით, იქნებ შევძლოთ, ტერიტორიები დავიბრუნოთ და უკეთეს დროს დაველოდოთ?**

რა, ნუთუ ვინმეს მართლა ჰგონია, რომ ერეკლე მეორე ისეთი გულუბრყვილო იყო, არ იცოდა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები დაირღვეოდა?

რა თქმა უნდა, იცოდა!

უბრალოდ, **ეს იყო მაქსიმუმის მიღების მცდელობა! მაშინ და იმ ვითარებში უკეთესი გამოსავალი არ არსებობდა და დიდმა მეფემ „მინიმალური ზარალის“ პოლიტიკას მიმართა!**

**ანი ერთადერთი, რაც რუსეთის საქართველოში შემოსვლით შეიძლება «დაგვიშავდეს», საქართველოს ისევ გაერთიანებაა რუსეთის სამხედრო სტრატეგიულ ინტერესებთან თანხვედრის გზით. მართალია, ამ შემთხვევაში ვკარგავთ «პრადვინუტობას», მაგრამ იქნებ მოვიგოთ ტერიტორია!**

**ქართლ-კახეთში მეფობას რუსეთი გააუქმებდა თუ ირანი — აი, ამ არჩევანის წინაშე იდგა ის...**

სიტყვას მოჰყვა და, ამას წინათ სოციალურ ქსელში გადავაწყდი ასეთ ფარაზას: **„300 არაგველი იმისთვის არ შეწირვია კრწანისის ომს, რომ შაჰ-აბასის რეჟიმზე უარესი მიეღო რუსული რეჟიმის სახით“**- ო.

თავი დავანებოთ იმას, რომ ასეთი სულელური მოსაზრებების ავტორებმა ჯერ ისიც კი არ იციან, კრწანისის ბრძოლასთან შაჰ-აბასს არანაირი კავშირი რომ არ ჰქონდა...

უბრალოდ, მე ის მაინტერსებს, **საიდან იციან ასეთმა ადამიანებმა, რომ რუსული რეჟიმი „უარესი“ იყო, ვიდრე „შაჰ-აბასის რეჟიმი“?**

ასევე საინტერსოა მოსაზრებები, რომ **თურმე, „გერმანელებს მეორე მსოფლიო ომში რომ გაემარჯვათ, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდებოდა“ და ამის დამადასტურებლად მავან შტერს მოაქვს ჰიტლერის რაღაც განკარგულება თუ ბრძანებულება...**

არ ვიცი, რა შეიძლება ელაპარაკო ადამიანებს, რომლებსაც ტვინდაბნელებული, თვალდაბრმავებული და მსოფლიო ფაშიზმის მხარეზე მებრძოლი ქართველების მოსატყუებლად გამოცემული გაიძვერული „განკარგულებები“ რაიმეს დამადასტურებელი არგუმენტი ჰგონიათ... **გეგონება, ადოლფ ჰიტლერი შალვა მაღლაკელიძის შიშით ვერ დაარღვევდა საკუთარ ბრძანებულებებს იმაზე უფრო უხეშად, ვიდრე რუსეთის იმპერატორმა დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი...**

თუმცა, ზევითაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ — **კიდევ არაფერი, როდესაც ვიღაც რიგით მოქალაქეებს უტრიალებთ მსგავსი მძიმედ იდიოტური აზრები...**

**მაგრამ, აი, როდესაც ასე შეზღუდულად თვით ქვეყნის თავდაცვის მინისტრი აზროვნებს, აქ უკვე მართლაც აღარ არის სასაცილოდ საქმე...**

ტელეკომპანია „მაესტროზე“ სტუმრად მყოფმა თინა ხიდაშელმა ყოვლად წარმოუდგენელი ფარაზა წარმოთქვა: „ახლა რომ სვამენ კითხვებს, რატომ ვიბრძვით საერთაშორისო მისიებში ამერიკელების მხარდამხარ, ჯერ კიდევ რამდენი საუკუნის წინათ იბრძოდა დავით აღამაშენებელი ჯვაროსნებთან ერთად და მაშინ არავის მსგავსი კითხვა აზრადაც კი არ მოსვლია!“

ვერ გეტყვით, ვის მიერ წარმოთქმულ რომელ სულელურ ფრაზას შეიძლება მივამსგავსოთ ქალბატონი თავდაცვის მინისტრის ეს ყოვლად უაზრო შედარება.

**როგორც ჩანს, დიდი სარდალი თინასთვის ცნობილი არ არის, რომ მეფე დავითი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საგარეო ვითარებას და ერთ უმნიშვნელო ნაბიჯსაც კი არ დგამდა, ვიდრე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მსტოვრები საჭირო საერთაშორისო ცნობებს არ მოუტანდნენ!**

რაც შეეხება რომელიმე მეზობელი ძლიერი სახელმწიფოს ქვეშევრდომობას, ეტყობა, დიადმა **თინა-სარდალმა არც ის იცის, რომ მეფე დავითი ქრისტიანული სამყაროს იმჟამინდელი ცენტრის — ბიზანტიის — იმპერატორთა ნაბოძებ ტიტულს ატარებდა და მათ ქვეშევრდომადაც ითვლებოდა.**

სწორედ ასე, ჩრდილოეთიდან საშიშროების არარსებობისა და დასავლეთით ზურგის საბოლოოდ მომაგრებით შეძლო დავითმა არაბებზე პირდაპირი დარტყმა, ისიც 2-ათეულწლიანი ლოდინის შემდეგ, და თბილისის განთავისუფლება.

აი, ასეთი სარგებლობა მოაქვს ხოლმე ქვეყნისთვის ჭკვიან, დაკვირვებულ და არათავგაცხელებულ სარდალსა და მმართველს...

მაგრამ **რა სარგებლობა მოაქვს თინას?**

აი, ეს უკვე ისეთი ურთულესი კითხვაა, რომ მასზე პასუხის გასაცემად „იმერული ესკიზების“ გმირი, კლასის უკანა კუთხეში მჯდომი, მთელი წელიწადი ხმა რომ არ ამოუღია, აი, ის ოროსანი ბიჭიც კი ვერ გაბედავს ორი თითის აწევას...

**ბაკურ სვანიძე**

ნიან.GE
ჩეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მაინა! ვირა! ასწიე! დასწიე! ანუ, თუ ჩვენი ხარ, ეგ ტარიფი ვისია?

**მართლაც, შეგვიძლია, გამოცანადაც კი ვუთხრათ საქართველოს მოქალქეებს:
— დაწევას გვპირდებოდნენ, მაგრამ აიწია. რა არის?
მთელი საქართველო ერთხმად გიპასუხებთ:
— დენის ტარიფი.**

გასულ კვირაში დენს, მის საფასურს, ზოგადად, ენერგეტიკის სამინისტროსა და მის მინისტრს იმდენი ჭორ-მართალი დაუკავშირეს, თავისა და ბოლოს გარჩევა მართლაც ძალიან გართულდა.

დაიწყო კი იმით, რომ დენის ტარიფის გაძვირების გადაწყვეტილება საბოლოოდ დაადასტურა ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამაც და მის კვალდაკვალ — საქართველოს მთავრობამაც.

ენერგეტიკის მინისტრმა კი სულაც დაგვზაფრა და დაგვაშინა: — ჩვენ რომ დენის ტარიფი არ გავაძვიროთ, ისედაც სულს რომ ძლივსღა იდგამს, აი, სწორედ ის ქართული ეკონომიკა საბოლოოდ განადგურდება, დაეცემა და ფეხზე ველარასოდეს წამოდგებაო...

აი, ასეთი „მოვლითი ტკივილები“ ჰქონია ამ გაჭირვებულ ქართულ ეკონომიკას თურმე!

დიახ, დიახ! მოვლითი!

აბა, როგორ! **ორიოდე წლის წინათ, იგივე ენერგეტიკის მინისტრი რომ რიხიანად გვპირდებოდა — „დენის ტარიფიც გაიაფდება, გაზისაც და ნავთობისაც!“-ო, ეგ როგორ იყო?**

დავიჯეროთ, სულ რაღაც ორი წლის წინათ ჯერ კიდევ არ იცოდა ჩვენმა ნომერმა პირველმა ენერგეტიკოსმა, რა „სტკიოდა“ ქართულ ეკონომიკას? არ იცოდა, რომ ის დენის ტარიფზე თურმე პირდაპირ ყოფილა მიბმული და დენის გაიაფება ეკონომიკისთვის სწორედ კუჭის თავში დარტყმას უდრიდა?

ვარიანტი სულ სამია:

**1. გვატყუებდნენ მაშინ, როდესაც დენის ტარიფის გაიაფებას გვპირდებოდნენ;**

**2. გვატყუებენ ახლა, როდესაც გვეუბნებიან, — დენი თუ არ გავაძვირეთ, მთელი ეკონომიკა დაიქცევაო;**

**3. უბრალოდ, არც მაშინ და არც ახლა ამ დარგის, ამ სისტემის „გაგნებაშიც“ არ არის ჩვენი ენერგეტიკის მინისტრი და ან მაშინ რას მიედ-მოედებოდა და ან ახლა რას მიედ-მოედება, თავადაც არ იცის.**

პრინციპში, არც ამ სამივე ვარიანტის „ასორტია“ გამორიცხული და ეს მოსალოდნელიცაა, როდესაც ქვეყნის პირველ ენეგრეტიკოსად ქვეყნის პირველ ფეხბურთელს დაგისვამენ.



ან კიდევ ერთიც: **შთაბეჭდილება ისეთია, რომ „ოცნება“ და, პირველ რიგში, მათი ფეხბურთელ-ენერგეტიკოსი დენის, გაზის თუ ნავთობის ფასებითაც ზუტად ისევე ჟონგლირებს, როგორც ერთ დროს —ბურთებით.**

**დიახაც, „ზუსტად ისევე“-მეთქი, რადგან კახა კალაძე დახვეწილი ტექნიკითა და კენწვლა-ჟონგლირების თვითნაბადი ნიჭით არც ფეხბურთში გამოირჩეოდა დიდად და, შესაბამისად, არც „ტარიფებით ჟონგლირება“ გამოსდის მაინცადამაინც დახვეწილად.**

მეტიც, დენის ტარიფის უკვე გამოცხადებული აწევა, მისი მხრიდან „საკუთარ კარში გატანილ პირველ გოლად“ უნდა ჩაითვალოს პოლიტიკურ ასპარეზზე.

ეჭვი გვაქვს, ის ამ მხრივ კიდევ იმდენს იზამს, რომ ოპონენტთა მიერ ხშირად და, ჩვენი აზრით, სრულიად უსამართლოდ წამოყვედრებული „ორი გოლი საკუთარ კარში“ მონაგონი იქნება, რადგან „საკუთარ პოლიტიკურ კარში“ კალაძე ორზე გაცილებით მეტ გოლს გაიტანს.

აკი, ფეხბურთში ჟონგლიორობის უნარი, მით უმეტეს, თუ დაცვაში დგახარ, დიდად საჭიროც არ არის, ხოლო პოლიტიკაში, და მით უმეტეს მაშინ, როდესაც კალაძე „შეტევას“ ცდილობს, ჟონგლიორობისა და სწორი გათვლების გარეშე მარცხი გარდაუვალი და თანაც ძალიან მწარე იქნება.

ერთადერთი იმედი, ალბათ, ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილია, რომელმაც, გავრცელებული ხმების მიხედვით, დაიბარა კიდეც კალაძე, მაგრადაც შეახურა, პირადი ბიზნესინტერესების უკანა პლანზე გადაწევისკენ მოუწოდა და, როგორც ამბობენ, კარსმომდგარი არჩევების წინ სწორედ „ჟონგლიორობის“ უნარი დაუწუნა.

**ვნახოთ, „მეოთხე ტაიმის“ დასასრულისთვის გამოცვლის თუ არა კახი კალაძეს არც ისე გამოცდილი მწვრთნელი ბიძინა ივანიშვილი და, თუ გამოცვლის, ნეტავ, ვის დააყენებს მის მაგივრად „მოედნის“ ყველაზე რთულ მონაკვეთზე?**

**ტეტუ გადირია**

# ექსკლუზიური ვინ?-ტერვიუ «პროპკასთან»

**შეგახსენებთ, რუბრიკით „ვინ?-ტერვიუ“ ჩვენი გაზეთი ბეჭდავს ინტერვიუებს ინკოგნიტო რესპონდენტებთან, რომლებსაც არ სურთ ვინაობის დასახელება სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ დაკვირვებულ მკითხველს შეუძლია, მათში ამოიცნოს სრულიად კონკრეტული პერსონა. ამჯერად გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს „პროპკასთან“, რომელიც ყველა ბოთლს ერგება. დიახ, გეთანხმებით, ამ შემთხვევაში ერთი რომელიმე კონკრეტული რესპონდენტის იდენტიფიცირება შეუძლებელია, რადგან ასეთი „პროპკებით“ მოფენილია მთელი საქართველო, მაგრამ ეგ არაფერი, თქვენ შეგიძლიათ, ამ ინტრევიუს მიღმა თქვენი ნაცნობი რომელიმე „პროპკა“ ამოიცნოთ, რომელიც აუცილებლად იქნება სადმე — თქვენს სანათესაოში, სამეზობლოში ან თუნდაც, სამეგობროში!**



— გამარჯობა... თქვენზე ამბობენ, რომ საცობი ბრძანდებით...

— საცობი კი არა —„პროპკა“!

— გასაგებია, მაგრამ ქართულად ხომ...

— ქართული და რუსული რა შუაშია? ეგრე რუსულად ეგ არის „პრობკა“, მაგრამ მე, „საცობი“ და „პრობკა“ კი არა, „პროპკა“ ვარ, გაიგე?

— კი, დაახლოებით, თუმცა...

— რა თუმცა? „საცობი“ და „პრობკა“ არის, აი, ის გზებზე რომ წარმოიქმნება ხოლმე. მე კი ვარ „პროპკა“, რომელიც ყველა ბოთლს ერგება!

— და ასე ამაყობთ ამით?

— ვითომ რატომ არ უნდა ვამაყობდე? ოჯახიც უზრუნველყოფილი მყავს და კაი მანქანითაც დავდივართ მეც და ჩემი ცოლ-შვილიც! აბა, ვისაც უტყდებოდა „პროპკობა“, მიდი და ნახე — მშიერი კვდება! ის უფრო გასატეხი არ არის, ამხელა კაცი შიმშილით რომ კვდები?

— კი, მაგრამ, მაგ შემთხვევაში ხომ შიმშილით კაცი კვდება და არა „პროპკა“?

— ჰა, ახლა, ეგეთი „ნამიოკები“ არ იყოს, თორემ აღარ გავაგრძელებ საუბარს და სდიე მერე კაცებს ინტერვიუსთვის! რას გეტყვიან ჩემზე უფრო საინტერესოს, იმასაც ვნახავ!

— კარგი, კარგი! გასაგებია... იქნებ მითხრათ, ახლა რომელ ბოთლზე ხართ მორგებული?

— ჰმ! მე იმის „პროპკა“ ვარ, რომ ყველაზე სარფიან ბოთლს მოვერგო! როგორ ფიქრობთ, რომელ ბოთლზე ვიქნები ახლა?

— კი, მაგრამ, არ გაგიჭირდათ იმ ბოთლიდან ამ ბოთლზე გადმოსკუპება?

— სიმართლე გითხრათ, თავიდან ცოტა მეც მეშინოდა, მაგრამ იცით, რა ხდება? როგორც ჩანს, არა მხოლოდ „პროპკებს“ გვჭირდება ბოთლები, არამედ ბოთლებსაც ვჭირდებით „პროპკები“, მიმიხვდი?

— სიმართლე გითხრათ, ვერა...

— აი, უყურე: „უპროპკო“ ბოთლში, ხომ შეიძლება, ჩააფსას ვინმემ?

— გასაგებია... და თქვენ...

— ჰა! გაგაფრთხილე უკვე, ეგეთი “ნამიოკები” არ იყოს-მეთქი!

— არა, კაცო, მე, უბრალოდ...

— „კაცო“ კი არა, „პროპკა“-მეთქი, გაიგე?!

— მერე, არ გეწყინებათ?

— რა უნდა მეწყინოს? „პროპკა“ ვარ და ვამაყობ ამით!

— და თქვენს ცოლს ან შვილს არ უტყდება, რომ „პროპკა“ ქმარი ან მამა ჰყავს?

— მისმინე! შენ არ გიტყდება, რომ „პროპკა“ რესპონდენტი გყავს, რომ მას ინტერვიუსთვის მთელი თვე სდიე და ახლა ეს „პროპკა“ ზის და თავის პირობებს გკარნახობს, თორემ ინტერვიუს ჩაშლით გემუქრება? ჰა? არ გიტყდება?

— სიმართლე გითხრათ, ცოტათი კი...

— ჰოდა, აბა, კაცებთან რატომ არ მიდიხარ ხოლმე ინტერვიუზე? მე რასაც ვუყურებ, ყველგან, ძირითადად „პროპკებთან“ არის ხოლმე ინტერვიუები და ხალხიც უფრო „პროპკებს“ უსმენს. ასე არ არის?

— სამწუხაროდ...

— ახლა, სამწუხაროდ და საბედნიეროდ მე არ ვიცი! ფაქტია, რომ ჟურნალისტებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც „პროპკები“ უფრო საინტერესოები ვართ, ვიდრე კაცები!

— და თქვენ როგორ ხვდებით სხვების „პროპკობას“?

— რა დიდი მიხვედრა მაგას უნდა, ნუ გადამრიე! თუ კაცი და „პროპკა“ ვერ გავარჩიე ერთმანეთისგან ერთ სიტყვაში, მაშინ რიღასი „პროპკა“ ვიქნები მე?!

— სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ცოტა გაუგებრად საუბრობთ...

— ეჰ! ბიძია, შენგან „წარმატებული ჟურნალისტი“ არ დადგება, ისე გატყობ! წადი ახლა, საქმეს მიხედე, მგონი, ეგერ უფრო სარფიან ბოთლს ვხედავ და, თუ ცოტა ხანში ამ ბოთლმა ველარაფერი მახეირა, გადავალ იმ, ახალ ბოთლზე და ვეცდები, მოვერგო! მერე დამჭირდები და მოდი!

— მე? მე რაში უნდა დაგჭირდეთ?

— აუჰ! შენ ჟურნალისტი კი არა, სულელი ხარ ვიღაცა! რას ჰქვია, რაში დამჭირდები?! იმ ახალ ბოთლზე კაი-კაი რაღაცები თუ არ ვთქვი მედიაში, როგორ უნდა მოვერგო ისე? მაგ ბოთლებზე ეგ მოქმედებს ყველაზე მაგრად...

— კარგი, მაშინ მექნება თქვენი იმედი, როგორც კი იმ ახალ ბოთლზე მორგებას დაიწყებთ, პირველი ექსკლუზიური ინტერვიუ ჩემთან გექნებათ... თქვენ ხომ ასეთი საინტერესო რესპონდენტი ბრძანდებით.

— აჰა! ნელ-ნელა იწყებ შენც „პროპკობას“, ისე გატყობ!

— რას ვიზამ, ცოლის მოყვანას ვაპირებ და ხომ უნდა ვარჩინო რამენაირად...

— მერე შენს ცოლს არ გაუტყდება, „პროპკა“ ქმარი რომ ეყოლება?

— ახლა ეგეთი რამეები არ გინდა, თორემ „პროპკას“ განახვებ მე შენ! — ვიყვირე გამწარებულმა და ფეხზე წამოვხტი.

— რა იყო, შე კაცო, რამ გაგაცოფა?! მართლა მაგრად ზის „პროპკა“ შიგნით, ვერ ამოვიღე ვერაფრით. რა არის, ზოგიერთი „პროპკა“ როგორ ჩაერჭობა ხოლმე ბოთლში, რომ მოკვდე, ვერ მოაშორებ! აჰა, აბა, მოხსენი! — მაწვდის დედაჩემი ტყემლის ჩასასხმელად გამზადებულ ბოთლს და ახალგამოღვიძებულ და შეშლილ სახეზე გაოცებული მიყურებს...

**მაკა აბარავა**

SCREEN-SHOW
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიან.GE




**ირაკლი ღარიბაშვილი:**

## ჩვენ არ გვაქვს ნავთობი, მაგრამ გვაქვს უფრო ძვირფასი, ვიდრე ნავთობი

**საქართველოში „უფრო უკეთესებისა“ და „უფრო ძვირფასების“ ეპოქა გრძელდება. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა გვახარა, — ნატოს სამიტზე მაპზე უკეთესი მოგვცესო. მას შემდეგ გვაქვს და გვაქვს ეს „მაპზე უკეთესი“ და, როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ აღარ გვაძლევენ მაპს.**

ევროპა და ამერიკა დაბნეულია — ამ ხალხს უკვე მივეცით „მაპზე უკეთესი“ და ახლა, მაპი რომ მივცეთ, ხომ მოგვეჭრა თავი?! მოდი, რამე „მაპზე უკეთესზე უკეთესი“ მოვიფიქროთო.

ამასობაში კი, აგერ უკვე **ახლანდელმა პრემიერმა გაგვახარა, — თურმე ნავთობი არა, მაგრამ „ნავთობზე უფრო ძვირფასი“ გვქონია.**

ამბობენ, პრემიერი წყალს გულისხმობსო... ანუ იმას, რომ მთელ რიგ ქვეყნებში წყალს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და შეიძლება, იქ წყალი ნავთობზე უფრო ძვირადაც კი გაასაღო. ირაკლი ღარიბაშვილი რატომღაც იმაზე აღარ საუბრობს, რომ მსოფლიო სავაჭრო ბაზრის ეს ნიში, უკვე დიდი ხანია, დაკავებული აქვს რამდენიმე ჩვენს „მეგობარ“ დასავლეთის ქვეყანას და უმალ კიდევ რამდენიმე „მისტრალს“ დაუმზადებს რუსეთს, ვიდრე საქართველოს ასეთ სარფიან ბაზარზე შეუშვებს...

დაუჯერებელია, ეს საქართველოს პრემიერმინისტრმა არ იცოდეს...

აბა, ამხელა კაცი ხომ არ მოიტყუება?! ამიტომ ახლა **ექსპერტები თავს იმტვრევენ იმის გასარკვევად, თუ წყალს არა, მაშ, რას გულისხმობდა ირაკლი ღარიბაშვილი.**

ნავთობზე ძვირფასი რაც გვაქვს, ეს, ალბათ, კაცობა, მეობა, გაგება და ჩახუტებააო, — ასკვნიან ისინი.




**გოგა ხაჩიძე:**

## წულუკიანს პარლამენტთან ქვა დავუდოთ, შხამი რომ დატოვოს

**„ნაციონალური“ მოძრაობის წარმომადგენლებს ვინმეს შხამი, მანიაკობა, კაცთმოძულეობა და ბოროტება რომ „უკვირთ“, იმთავითვე სასაცილო ამბავია, მაგრამ მაინც გვინდა, ცოტა განვავრცოთ ყველაზე ოხუნჯი „ნაციონალის“ იდეები. ჩვენი აზრით, ნაცვლად იმისა, რომ ვინმემ რამე დატოვოს პარლამენტის შესასვლელთან და შიგნით ისე შევიდეს, ამას, მგონი, აჯობებს, დეპუტატებს პარლამენტის წინ ისეთი რაღაცები დავახვედროთ, პარლამენტში რომ აღარ შევიდნენ და იქ თავიანთი ტუტუცური გამოსვლებითა და უსაქმურობით საქართველოს მოსახელობას ნერვები არ მოუშალონ.**

მაგალითისთვის, უცებ რაც გვახსენდება:

**გუბაზ სანიკიძეს** პარლამენტის წინ გაშლილი კაი ქართული სუფრა დავახვედროთ ხოლმე, დარწმუნებული ვართ, ის პარლამენტში არასოდეს შევა; **ზურაბ ზვიადაურს** — ტატამი; **ზაზა პაპუაშვილსა** და **სოსო ჯაჭვლიანს** — გადასაღები მოედანი და კინოკამერები; **ეკა ბესელიას** — ძვირფასი შუბების კოლექცია და ა.შ., ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება...

თუმცა უმთავრესია, რა უნდა დავახვედროთ „ნაციონალების“ დეპუტატებს, პარლამენტში შესვლა რომ აღარ მოუნდეთ და საბოლოოდ დაასვენონ გატანჯული ქართველი ხალხი თავიანთი ინტრიგებისა და დემაგოგიისგან.

სიმართლე გითხრათ, მთელი კვირა ვიფიქრეთ და ვერაფერი მოვიფიქრეთ, — **რა შეიძლება დაახვედროს ადამიანმა „ნაციონალებს“ ისეთი, რომ მათ გაუმართლებელი და მოჭარბებული პოლიტიკური ამბიციები დაიოკონ და პარლამენტში შეძრომაზე უარი თქვან.**

ამიტომ, ვფიქრობ, სჯობს, ისევ ნაცად, მამაპაპურ ხერხს მივმართოთ და **პარლამენტის წინ ასე 60-70 ცალი დიდი ზომის ხაფანგი დავამონტაჟოთ, ყველა ეს ვირთხა თავის ხაფანგში რომ გაებას და ვერასოდეს შევიდეს საქართველოს პარლამენტში...**

რაც შეეხება ხაფანგების დადგმას პარლამენტარი „ნაციონალების“ რაოდენობაზე ცოტა მეტი რაოდენობით, ეგ სასარგებლოა, რადგან, **როგორც ვიცით, უკვე „ნაციონალ“ ვირთხებს არაერთი „თავისუფალი დემოკრატი“ ვირთხაც შეემატა და პლუს ამას, იქნებ ორიოდე რესპუბლიკელი ვირთხაც წინასწარ გავაბათ...**

**იან კელი:**

## «რუსთავი 2» კი არ უნდა გადარჩეს მხოლოდ, არამედ უნდა აყვავდეს კიდეც!




**აი დიპლომატია და უცხო ქვეყანაში შენი კეთილი მიზნების დემონსტრირებაც ასეთი უნდა! ამერიკის შეერთებული შტატების ახალმოვლინებულმა ელჩმა საქართველოში პირდაპირ მოითხოვა, რომ ჩვენ ერთ-ერთი კერძო ტელეკომპანია „ავაყვავოთ“.**

იან კელიმ, თავისი ამ თავხედური განცხადებით, ფაქტობრივად, აღიარა, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს რაღაც ნამდვილად ელის და „გადარჩენა-ვერგადარჩენის“ საფრთხის წინაშეა.

**როგორც, საზოგადოდ, ამერიკულ „მოკრძალებულ“ დიპლომატიას სჩვევია, კელის არც კი უფიქრია, რომ ასეთი თავხედური და ჩვენი ქვეყნის შეურაცხმყოფელი აზრის გასამყარებლად რაიმე არგუმენტი მოეყვანა. მეწილეების სასამართლო დავა ამერიკის ელჩმა ასე უაპელაციოდ გამოგვიცხადა „სამკვდრო-სასიცოცხლო“ საფრთხედ და ამ ტელევიზიის „გადარჩენაც“ გვიბრძანა.**

კარგი, გადარჩენა კიდევ ჯანდაბას, მაგრამ მართლა გაუგებარია, უფრო მეტად როგორღა უნდა აყვავდეს ეს ქართული ტელესივრცის ყოვლად მახინჯი წარმონაქმნი?! **ბიუჯეტის მილიარდები სწორედ ამ ტელევიზიას აქვს შესანსლული, ყველაზე მაღალხელფასიანი თანამშრომლებიც მათ ჰყავთ და ყველაზე დიდი „შავი ფულიც“ სწორედ ამ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში ტრიალებს, რომელიც თავს რატომღაც „ტელევიზიად“ ასაღებს და იქნებ ვინმემ გვითხრას, მეტი „აყვავება“ რაღა უნდა იყოს, ბატონი ელჩის აზრით?**

როგორც ჩანს, **აყვავებული ქვეყნის ამ ტვინაყვავებულ წარმომადგენელს სურს, ეს დანაშაულებრივი ტელევიზია თავის მთავრობას ამერიკის ერთ-ერთ შტატად გამოაცხადებინოს.** დიახაც! არა საქართველო, არამედ კონკრეტულად „რუსთავი 2“ გახდება აშშ-ის ახალი შტატი. **ნიკა გვარამია ამ შტატის გუბერნატორად დაჯდება, ხოლო გიორგი გაბუნიას ამერიკის სენატის წევრად გაიყვანენ.**

აი, მერე კი ბიუჯეტიც ამერიკისა შეჭამონ და ამ ტელევიზიიდან გადმოფრქვეული უტიფარი ტყუილებიც ამერიკელ ხალხს აჭამონ...

დიახ! ეს „ზე-პროფესიონალების“ ტელევიზია ასეთ ფართო არეალს იმსახურებს, თორემ, **ბატონო ელჩო კელი, ჩვენ, უბრალო, მოკრძალებულ და პატარა ქვეყანას, სად გვაქვს ამათი გაბერილი ამბიციების „ასაყვავებლად“ საკმარისი „ქოთანი“?!**




**აბა, რა! განა არ გვახსოვს, როგორ „შიგ შუაში“ დადექით, როდესაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ირღვეოდა, მისტერ ბარაკ! პირდაპირ ეპიცენტრში მოგვეხმარეთ წყლითა და პამპერსებით.**

**ბარაკ ობამა:**

## თუ რომელიმე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ირღვევა, განზე ვერ გავდგებით

ამერიკა და რომელიმე დაჩაგრული ქვეყნისგან განზე გადგომა გაგონილა?! რა განზე, **პირდაპირ ცენტრში არ დაბომბეს ბელგრადი?**

ან რა, **კოსოვოს დამოუკიდებლობა რომ აღიარეს, ამით რომელიმე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა ვითომ?**

აი, ამიტომაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ობამა გაეროს მაღალი ტრიბუნიდან ასეთი რიხით მიმართავს მსოფლიოს და ძარღვიც კი არ უტოკავს შუბლზე, რადგან მთელმა მსოფლიომ იცის ამერიკელთა კეთილი გულისა და უანგარო მეგობრობის ამბავი!

განა უანგარო და ნამდვილი მეგობრობა არ არის, რომელიმე დიდი „ვეშაპი“ სახელმწიფოს წინააღმდეგ რომ წაგაქეზებს და მერე „შეშფოთებას“ გამოთქვამს, რადგან ეს „ვეშაპი“ შენს გადაყლაპვას აპირებს?!

სწორედ ასეა! ახლაც, რა თქმა უნდა, ამერიკა განზე ვერ გადგება და ყველაფერს გააკეთებს ბაშარ ასადის „სისხლისმსმელი“ რეჟიმის დასამხობად.

თორემ **სათნო და უზოროტო „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლა, აბა, რა საკადრისია?!**

**ასტორი ერთ-ერთი იმ ნახევრადლეგენდარული დივერსანტთაგანია, რომლებიც პოლკოვნიკ ბორის პაშთან მუშაობდნენ მისია „ალსოსში“. ორმოცდახუთის იანვარში მან მთელი გერმანია შემოიარა ატომური ლაბორატორიების ძებნაში. პოლიტიკოსებს დამამტკიცებელი საბუთები სჭირდებოდათ, რომ გერმანელებს ბირთვული იარაღი ჰქონდათ. მეცნიერებს — თეორეტიკოსებსაც და ექსპერიმენტატორებსაც — ასეთი შესაძლებლობა საეჭვოდ მიაჩნდათ: ტოტალური ომით გამოფიტულ გერმანიას არ ჰქონდა ტექნიკური ბაზა, არც კადრები ჰყავდა, რომლებსაც შეექლოთ, შეექმნათ რაღაც ჩვენი მანჰეტენის პროექტის მსგავსი. „ატომური იარაღი — ბოშებს? ეს ბლეფია!“**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

**აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.**

**სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.**

**ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.**

**აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.**

**სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.**

**სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.**

**წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.**

**კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-34 (315-316)

საუზმე ალუმინის ჭურჭლით მოაქვთ. დანა-ჩანგალი არ შეიძლება. რბილი, ალუმინისვე კოვზებითაც იოლად გავდივართ. ცხადია, საავადმყოფოს ადმინისტრაციას ეშინია, რომ არ დავამტვრიოთ ქაშანურის თეფშები და ნამტვრევებით პერსონალი არ დავჭრათ. ამავე მიზეზის გამო ფანჯრებში მინა სქელი, სიძველისა და ჭუჭყისგან დაბინდული ტრიპლექსითაა შეცვლილი.

ფანჯრები არასოდეს იღება. არ შეიძლება. კითხვას, თუ რატომ, აზრი არ აქვს. ექიმებმა თვითონაც არ იციან. უბრალოდ, არ შეიძლება.

აქ ბევრი რამ აკრძალულია, ბევრი რამ შეიძლება. აკრძალულია, მოითხოვო ადვოკატთან შეხვედრა. შეიძლება იყვირო: „გაუმარჯოს ახალ კურსს!“ ან მოიყვანო ციტატები „დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან“ ისე, რომ ფედერალური ბიუროს აგენტებისა არ გეშინოდეს.

რა გაეწყობა, ამაზეც დიდი მადლობა!

**ჩვენი ფანჯარა პატარა ეზოში გადის, სადაც „წყნარები“ დასეირნობენ ხოლმე. ნაცრისფერ ხალათებში გამოწყობილი თავგადაპარსული შიზოფრენიკები ამ პატარა ეზოში დაბორიალებენ. საავადმყოფოდან გაქცევამდე და მეორე სასამართლომდე, რომელმაც უკან დამაბრუნა, თითქმის ერთი წელი მეც „წყნარად“ ვითვლებოდი.**

ახლა შეცდომა გამოსწორებულია. როგორც გორდონი ამბობს, მგელი ცხვრებს მოაცილეს. იგი უკმაყოფილოა ჩემით: თვლის, რომ ჩემი ადგილი აქ კი არა, სან-ფრანცისკოში ლეტერმანის ჰოსპიტალშია, სადაც პერსონალი მიჩვეულია ჩემისთანა პაციენტებს.

გორდონი ნაწილობრივ მართალია. ლეტერმანის ჰოსპიტალში ერთი ასეთი შემთხვევა უკვე ჰქონდათ. ერთი პაციენტი, როგორც მე, ბადრაგის თანხლებით მიიყვანეს იქ და ცალკე პალატაში მოათავსეს. ყველა ექიმი და ექთანი, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ ავადმყოფთან, პოლიტიკურ საიმედოობაზე შეამოწმეს.

განსხვავება ამ ადამიანსა და ჩემ შორის ის იყო, რომ იგი მართლაც უიმედოდ გახლდათ ავად.

იგი 36 წლის იყო. თექვსმეტი წელი რადიაციულ ქიმიას შესწირა — კალიფორნიის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ერთ-ერთი ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავა. მას უილიამ ჯ. თვიტჩელი ერქვა.

ის გარემოებები, რომლებშიც თვიტჩელი შეიშალა, ლონდონის ნისლივით ბუნდოვანია. ზუსტად მხოლოდ ერთი რამაა ცნობილი: **თვიტჩელი მუშაობდა ატომური ბომბის გაუმჯობესებაზე და იმაზე მეტი იცოდა, რაც უნდა სცოდნოდა. ჰოსპიტალში მისი პალატის წინ გუშაგი მორიგეობდა; ექიმები მკაცრად გააფრთხილეს, რომ მათ სამუდამოდ უნდა დაევიწყებინათ ყველაფერი, რასაც ავადმყოფი ბოდვისას იტყოდა.**

მეხუთე დღეს თვიტჩელი მოკვდა. ბოლო წუთებში მასთან არ შეუშვეს არც მეგობრები, არც ნათესავები და არც მღვდელი.

გორდონი თვითონ მომიყვა ამის შესახებ, თანაც ტუჩებს ისე ილოკავდა, თითქოს პირს იტკბარუნებსო. მისი გაბრტყელებული თავი გამოტენილია ამის მსგავსი ისტორიებით, რომლებსაც მანიაკის ჟინით აგროვებს.

**ამჯერად საუბარი იყო რომელიღაც საზღვაო ოფიცერზე. იგი დააპატიმრეს მგზავრებით გაჭედილ ვაგონში, სადაც „ატომური“ ქალაქის — ლოს-ალამოსის მცხოვრებთა შესახებ ძალიან დაწვრილებით ყბედობდა. ამ ოფიცრისთვის სახელმწიფომ ცალკე კლინიკა ააგო; შეუძლებელი აღმოჩნდა მისი გაჩერება საერთო სამკურნალო დაწესებულებაში.**

საინტერესოა, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ჩემი მონაყოლი მაკ-კორმაკზე? ისიც აგროვებს ამისთანა შემთხვევებს, მაგრამ, გორდონისგან განსხვავებით, სულ სხვა მიზნები ამოძრავებს.

მაკ-კორმაკი შაბათს მოვა. ის ერთადერთია, ვისაც სასამართლომ ვერ შეჰბედა უარის თქმა შეხვედრებზე. აირინსა და ლუსის აკრძალული აქვთ საავადმყოფოს ზღურბლზე გადმობიჯება.

უმოძრაოდ ვწევარ და მათზე ვფიქრობ. აირინი ბოლოს სასამართლოზე ვნახე. ყოჩაღად გამოიყურებოდა და მოწმეთათვის განკუთვნილი ადგილიდან მიღიმოდა. შესვენებისას მოხერხებულად ჩამიდო ჯიბეში პატარა კონვერტი, რომელშიც ფოტოსურათი იდო. სურათზე ის ლუსისთან ერთადაა გადაღებული ჩვენს ძველ სასტუმრო ოთახში „დინასტიის“ დამაარსებელი ჯორჯ ემრიჩის პორტრეტის ქვეშ. ლუსი უკვე დიდია: სიმაღლით თითქმის დაეწია აირინს: აირინის წითური თმა და ემრიჩების მძიმე ნიკაპი აქვს.

ახლა ისინი მწერენ წერილებს, რომლებსაც მე არ ვიღებ.

ბილი კონოლის წერილებს რეგულარულად გადასცემენ, მაგრამ იგი არ კითხულობს მათ. ბილი უბეში ინახავს წერილებს და ხელსაყრელ მომენტში მჩუქნის. ყოველი წერილი მილიონის ჩეკია. თანხა ყოველთვის ერთნაირია.

ამასთანავე, ბილი იღიმის.

მას ასე ასწავლიდნენ.

ასე ასწავლიდნენ ყველა პროფესიონალ ჯარისკაცს, მათ შორის, მეც.

გაკვეთილი გრინლიფის სამხედრო ბანაკში ჩაგვიტარეს. სპეციალისტების ჯგუფი, რომელსაც მორალური მდგომარეობის მეთვალყურეობა ევალებოდა, რეკრუტებს შესასვლელშივე გვხვდებოდა. ჩვენ ხელის ჩამორთმევით გვესალმებოდნენ; შემდეგ აბაზანას ვიღებდით და ვვახშმობდით. ჩინებული საჭმელი და რბილი საწოლები გვარწმუნებდა, რომ არმიული ცხოვრება ცოტა სასიამოვნოს როდი გვიქადდა.

დილით საინფორმაციო კარავში შეგვკრიბეს და დაგვირიგეს ბარათები, რომლებშიც ეწერა: „შენ ახლა შეერთებული შტატების ჯარისკაცი ხარ, ჯარისკაცი, რომელიც ქვეყანამ აირჩია მსოფლიოში თავისუფლებისთვის საბრძოლველად; იარე, როგორც ჯარისკაცმა. იფიქრე, როგორც ჯარისკაცმა. იყავი ჯარისკაცი. თავდაპირველად ეს ძნელი იქნება, შეიძლება ისეთ რაღაცებს წააწყდე, რაც არ გესმის. არა უშავს! ყველა კარგი ჯარისკაცი ეუფლებოდა იმას, რის შესწავლასაც შენ იწყებ. გახსოვდეს, შენ იმ დროშის ქვეშ იბრძვი, რომელიც არასოდეს არ მიუძღოდა წინ უსამართლო ომს. გახსოვდეს, რომ ამერიკის არმია არასოდეს დამარცხებულა. შეასრულე შენი მოვალეობა და ეს არც არასოდეს მოხდება. თავი მაღლა დაიჭირე, თვალები გაახილე და გაიღიმე!“

სტამბის სტრიქონებს მიღმა იდგნენ ლინკოლნის, ჯეფერსონისა და გენერალ გრანტის აჩრდილები; შეუძლებელი იყო, მათთვის არ დაგეჯერებინა.

**მე მჯეროდა მაშინაც კი, როდესაც ჩვენი ფლოტი იაპონური ბომბდამშენების დარტყმის შედეგად პერლ ჰარბორის ფსკერზე ჩაიძირა, ხოლო დუგ მაკარტურმა ბრძანება გასცა გარნიზონების კაპიტულაციის შესახებ ფილიპინებზე.**

არმია არასოდეს მარცხდებოდა!

მე ვიღიმოდი.

რუზველტი გვეუბნებოდა, ამერიკელი ჯარისკაცი ცივილიზაციას გადაარჩენსო. ყოველდღიურ რაციონში შოკოლადი შეიტანეს. **მარშალის კუნძულებზე იაპონელები ჩვენს უკანასკნელ საზღვაო ქვეით ლეგიონს ულევდნენ ბოლოს, ამერიკელი ლეგიონის ბიჭები კი — ნიუ-იორკისა და სან-ფრანცისკოს იაპონურ და გერმანულ კვარტლებში მაღაზიების დარჩენილ ვიტრინებს.**

წყეულიმც იყავ, მეხსიერებავ!

„...და გაიღიმე!“

### 3

სამი დღის უმოძრაობით გაწამებული პირველად ვდგები. კოჭლობით, კედელ-კედელ მივდივარ დერეფნის ბოლომდე, სადაც პატარა კუთხეში ტელევიზორი დგას. აჩვენებენ ცნობილ ფილმს „დასაწყისი თუ დასასრული“. ბერნსტაინის გარდა ფილმს კიდევ ორი უყურებს — პატ კანდინსკი და ლოიდ ასტორი. უყურებენ ყურადღებით; ორივენი დაძაბულნი და პირქუშად აღგზნებულნი არიან. ასტორი თავისი ცხენისებრი ყბებით ნელ-ნელა „ფქვავს“ საღეჭ რეზინს. ოფლის წვეთებით დანამვია მძლავრი კეფა.

ასტორი უნდა მოვაცილო აქაურობას. ცოტა კიდევ და „მომწიფდება“, მაშინ კი საცოდავ ბერსტაინს შავი დღე დაადგება. პატი, რა თქმა უნდა, დროზე მოუსვამს; ბერნსტაინი კი ბავშვივით მიმნდობია; მისთვის არ არსებობს საფრთხე.

საპროცედუროსთან ბარკერის თეთრი ხალათი გამოჩნდა. ვეძახი:

— ექიმო!

ბარკერი თავს იკატუნებს, თითქოს არ ესმის. ხმას ვუწევ:

— ექიმო!

ბარკერი უკმაყოფილოდ იჩეჩავს მხრებს, მაგრამ ჩერდება და მელოდება, ვიდრე კოჭლობით მივალ მასთან. ვუხსნი, საქმის ვითარებას.

— სისულელეა! — დამაჯერებლად ამბობს ბარკერი, — რატომ ყოფთ ცხვირს სხვის საქმეში?

— ჩხუბი იქნება, — ვაფრთხილებ, მაგრამ ბარკერი უკვე აღარ მისმენს. უფრო მეტად თავის ლოყაზე გამოსული მუწუკი აინტერესებს. იგი ალერსიანად უსვამს თავის წვრილ თითებს მას.

— კარგი, — ვეუბნები, — მე გაგაფრთხილეთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, ექიმო, შემოვლისას პოლკოვნიკს ვეტყვი...

პოლკოვნიკს საავადმყოფოს დირექტორს, პროფესორ ჰაქსლის ვეძახით. ჰაქსლი თვითონაც ვეტერანია და ჩვენს თავს არავის დააჩაგვრინებს. მას აშკარად ეზიზღება გორდონი და ბარკერი; წყალობის თვალით მხოლოდ უმცროს ექიმს — ლარის უყურებს. ბოლო დროს ლარი რატომღაც არ ჩანს. ველოდები მას — ახალი ჟურნალები უნდა მომიტანოს.

ბარკერმა თავი ანება მუწუკს. იგი აშკარად ყოყმანობს, ფიქრობს, უფრო რომელი ჯობია: გამგზავნოს ეშმაკთან და პოლკოვნიკისგან საყვედური მიიღოს თუ შეელიოს თავის პრესტიჟს.

— ეს თქვენი საქმე არაა! — მეუბნება და სანიტარს უხმობს, — წაიყვანეთ ასტორი პალატაში.

ჩხუბი თავიდან ავიცილეთ, მაგრამ მტერი შევიძინე. ბარკერი, რა თქმა უნდა, გორდონთან მიჩივლებს და პირველივე მარჯვე შემთხვევაში იზოლატორში ჩამკეტავენ.

— რაც არის, არის; როგორმე გადავიტან.

სანიტარი ასტორს ტელევიზორს მოაცილებს. ლოიდი წინააღმდეგობას უწევს, ხარივით ქშენს. გაბრაზებულია, მაგრამ არა ისე, რომ მუშტებზე გადავიდეს. ერთი ათი წუთიც რომ მჯდარიყო ეკრანის წინ, სანიტარი ცუდ დღეში ჩავარდებოდა. ლოიდისათვის არ შეიძლება „ატომური“ ფილმების ყურება.

**ასტორი ერთ-ერთი იმ ნახევრადლეგენდარული დივერსანტთაგანია, რომლებიც პოლკოვნიკ ბორის პაშთან მუშაობდნენ მისია „ალსოსში“. ორმოცდახუთის იანვარში მან მთელი გერმანია შემოიარა ატომური ლაბორატორიების ძებნაში. პოლიტიკოსებს დამამტკიცებელი საბუთები სჭირდებოდათ, რომ გერმანელებს ბირთვული იარაღი ჰქონდათ. მეცნიერებს — თეორეტიკოსებსაც და ექსპერიმენტატორებსაც — ასეთი შესაძლებლობა საეჭვოდ მიაჩნდათ: ტოტალური ომით გამოფიტულ გერმანიას არ ჰქონდა ტექნიკური ბაზა, არც კადრები ჰყავდა, რომლებსაც შეექლოთ, შეექმნათ რაღაც ჩვენი მანჰეტენის პროექტის მსგავსი. „ატომური იარაღი — ბოშებს? ეს ბლეფია!“**

ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

**პოლიტიკოსებს სჭირდებოდათ ბომბი, თორემ სხვა რით გაამართლებდნენ თავიანთი ატომური იარაღის შექმნას? და მათ ჩამოაყალიბეს „ალსოსი“ — უცნაური ქვედანაყოფი, რომელშიც ჯაშუშები ფიზიკოსებს უფროსობდნენ, ხოლო პროფესიონალი საქმოსნები მეცნიერ-კონსულტანტთა და მედიატორ-მოსამართლეთა როლში გამოდიოდნენ.**

ცნობიერების დაბრუნებისას, როცა დასახიჩრებული ტვინი გაურკვეველი მიზეზების გამო უეცრად იძენს აზროვნების თითქოსდა დაკარგულ უნარს, ასტორი წარსულზე ლაპარაკობს და მისი სიტყვები ღვარძლითაა სავსე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპაში პოლიტიკური მექანიზმი ისეა მოწყობილი, რომ იქ ვინც სიტყვითა და საქმით დაადასტურა ამერიკისადმი ერთგულება, „ზემოთ“ სვლა გარანტირებული აქვს. ვინც ამ წესს დაარღვევს, ავტომატურად გავარდება თამაშიდან.**

GAZETA WYBORCZA:

# რუსეთმა აშშ «სირიულ ხაფანგში» გააბა

**დღეს მოსკოვს ხელეწიფება, ბაშარ ასადის უსაფრთხოება უზრუნველყოს და ვაშინგტონი რთულ მდგომარეობაში ჩააგდოს — მას რუსეთთან მოუწევს მოლაპარაკება და შესაძლოა, უკრაინის საკითხში დათმობებზე წასვლაც კი დასჭირდეს. მაგრამ, თუ აშშ ვერ შეთანხმდება რუსეთთან, რუსეთს სათადარიგო გეგმაც აქვს: დევნილების მოზღვავებით გაწამებული დასავლეთ ევროპა აიძულოს, რუსეთის პირობებით წავიდეს კომპრომისზე, — წერს Gazeta Wyborcza.**



ნაღმსატყორცნის ჭურვს, რომელიც დამასკოში რუსეთის საელჩოს ეზოში აფეთქდა, ზიანი არ მოჰყოლია. პუტინისთვის ეს, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ციდან ჩამოვარდნილი წყალობა იყო“, — წერს გამომცემა Gazeta Wyborcza-ში პოლონელი ჟურნალისტი დავიდ ვარშავსკი.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებრიობას, მათ შორის, რეგიონულ მოთამაშეებსაც, დაგმონ ტერორისტული აქტების მომწყობნი და კონკრეტული ზომებიც მიიღონ ამგვარი ტერორისტული აქტების სპონსორების წინააღმდეგ.

ცნობილი არაა, ბაშარ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლმა რომელმა დაჯგუფებამ განახორციელა გასროლები, მაგრამ, რუსეთის თვალსაზრისით, ამას მნიშვნელობა არ აქვს: კონკრეტული მოქმედებები უნდა აღნიშნავდეს ფართო ანტიტერორისტული კოალიციის შექმნას ასადის, ირანის, რუსეთისა და იმ შეიარაღებული დაჯგუფებების, ასევე იმ სახელმწიფოთა მონაწილეობითაც, რომლებიც დათანხმდებოდნენ ამგვარ მოკავშირეებს, — აღნიშნავს ავტორი.

„ამერიკელები, ხალიფატის მთავარი მოწინააღმდეგეები, ხაფანგში გაებნენ. აქამდე ნაწილობრივი უყურადღებობით ისინი მოსკოვს სთავაზობდნენ, მათივე თაოსნობით 60 სახელმწიფოსგან შემდგარ ანტიხალიფატურ კოალიციას შეერთებოდა. კოალიცია უგულებელყოფდა ასადს სირიის ტერიტორიაზე, პოლიტიკურად კი მისი ჩამოგდებისკენ მიისწრაფვოდა“, — წერს პოლონელი ჟურნალისტი, მაგრამ ამერიკული კოალიცია, უკვე წელიწადია, თითქმის უშედეგოდ ცხრილავს ხალიფატის პოზიციებს ჰაერიდან. სირიის თავისუფალი არმია და მასთან დაკავშირებული ელიტური დაჯგუფებები ძალიან დასუსტდნენ, ბოევიკების სწავლების ამერიკულმა პროგრამამ სრული ფიასკო განიცადა“, — დასძენს იგი.

**„სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთი მართალია: მხოლოდ ასადის არმია შეძლებდა მოკავშირეების დახმარებით „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხებას“,** — დარწმუნებულია ვარშავსკი. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ ისე ჩანდა, თითქოს ის დაკარგავდა ლატაკიას და, შესაძლოა, ომსაც წააგებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთმა იქ საავიაციო ბაზა დააარსა, ლატაკია უსაფრთხოდაა. „რუსები მონაწილეობას არ მიიღებენ სახმელეთო ბრძოლებში, მაგრამ ჰაერიდან დაუჭერენ მხარს ასადს — მაშინ გაჩნდება აშშ-ის დაცვის ქვეშ მყოფ ანტირეჟიმულ ძალებთან უშუალო ბრძოლის საფრთხე. იმისათვის, რომ ეს თავიდან იქნეს აცილებული, ორივე მხარემ უნდა მიიღოს ზომები. რამდენიმე დღის წინათ, უკრაინული კრიზისის დაწყებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ პირველად, აშშ- ▶

**იმ დევნილების გიგანტური ტალღა, რომლებიც «ისლამური სახელმწიფოს» ტერორსა და ასადის ბომბებს (რომლებსაც ამ ომში ყველაზე მეტი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის მოჰყვა) გაურბიან, კიდევ უფრო გაიზრდება. ბოლოს და ბოლოს, დასავლეთი იძულებული შეიქნება, მოსკოვთან კომპრომისზე წავიდეს**

# ევროპა ამერიკის ინტერესების მძევლად იქცა?



**როდესაც ქალბატონმა ნულანდმა დაუფარავად გაგზავნა ევროკავშირი იქ, სადაც ჯერ არს, ევროპელები განაწყენდნენ. არასასიამოვნოა, როდესაც მაღალჩინოსანი, რომელსაც ობამას ადმინისტრაციაში აქვს გავლენა, განაგებს ფართო კლანურ კავშირებს და სამომავლოდ დიდ კარიერულ გეგმებს აწყობს, გროშადაც არ აფასებს ბებერ ევროპას, რომელიც დიად ამერიკას, როგორც იტყვიან, ემუქრება.**



მაგრამ თუ წყენას გადაყლაპავს და დაფიქრდება: ნუთუ ნულანდმა სული წაიწყმიდა? — არა. მან მხოლოდ ხმამაღლა თქვა ის, რაც ყველამ მშვენივრად იცის, მაგრამ დუმს. ამერიკა ხომ აკეთებს იმას, რასაც საჭიროდ მიიჩნევს, ევროპელ სატელიტებს კი საჭიროებისამებრ იყენებს.

ევროპელები უკვე მიეჩვივნენ ამგვარ მდგომარეობას: ამერიკულ რაკეტსაწინააღმდეგოებს — ევროპაში, დემოკრატიის მტრებთან ომს — სადაც გნებავთ, ტრანსატლანტიკურ პარტნიორობას... ოღონდ ფრანგებს ნება დართეთ, კინოები გადაიღონ, ისინი მაინც არ არიან კონკურენტები დიადი და მშვენიერი ჰოლივუდისა. დევნილები მივიღოთ? — ესე იგი, საჭიროა და მივიღებთ, რამდენსაც გვეტყვით!

ვიქტორია ნულანდმა, როგორც ანდერსენის უმწიკვლო ბავშვმა, მხოლოდ ის თქვა, რომ მეფე შიშველია და გაამყარა რეკომენდაციით, თუ როგორ უნდა მოექცეს ევროკავშირს.

ევროპელი პოლიტიკოსებისთვის ამერიკელი ლედის გამონათქვამი, ცხადია, აღმოჩენა არ ყოფილა. **ევროპაში პოლიტიკური მექანიზმი ისეა მოწყობილი, რომ იქ ვინც სიტყვითა და საქმით დაადასტურა ამერიკისადმი ერთგულება, „ზემოთ“ სვლა გარანტირებული აქვს. ვინც ამ წესს დაარღვევს, ავტომატურად გავარდება თამაშიდან.** გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი 11 სექტემბერს პრესკონფერენციაზე საუბრობდა, რომ „არ ივარგებს, თუკი სირიაში ყველა საკუთარი შეხედულებისამებრ იმოქმედებს“. როდესაც ამბობდა „ყველას“, იგი რუსეთს გულისხმობდა, მაგრამ სინამდვილეში **„საკუთარი შეხედულებისამებრ“ მოქმედების პრივილეგია, ევროპელების აზრით, მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს. თვით ლიბიის დაბომბვებისა და კადაფთან ანგარიშსწორების დროსაც კი ინგლისელები და ფრანგები თითსაც არ გაანძრევდნენ, ამერიკელების ნება რომ არ ყოფილიყო.**

სად იღებენ ევროპელი პოლიტიკოსები ინსტრუქტაჟს პოლიტიკურად განსწავლული ქცევისთვის? — არსად. **არანაირი ინსტრუქტაჟი არ არის საჭირო, როდესაც ყველაფერი ერთ უბრალო წესამდე დადის: „უყურე, რას აკეთებს ამერიკა და არ შეცდები“.** თუკი უფრო კონკრეტული ინსტრუქციებია საჭირო, მათი მიღება ყოველთვის შეიძლება ისეთ ორგანიზაციებში, როგორიც, მაგალითად, ატლანტიკური საბჭოა. იქ რჩევებს იძლევიან და, რაც განსაკუთრებით პიკანტურია, ამ რჩევებისთვის ფულს იღებენ. ცხადია, ფულს გადასახადების გადამხდელები იხდიან. ოფიციალური მონაცემებით, ეს **„არასამთავრობო ორგანიზაცია“ (ატლანტიკური საბჭო) 31 ქვეყნისგან იღებს შემოწირულობებს. ატლანტიკურ საბჭოში ცნობილი გერმანელი პოლიტიკოსებიდან შედიან ანგელა მერკელი, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი, ურსულა ფონ დერ ლაიენი... უფრო იოლი ჩამოსათვლელია, თუ ვინ არ შედის ამ საბჭოში.**

ვიქტორია ნულანდმა რაღაც მაინც ასწავლა ევროპელებს, მათ აითვისეს მისი გაკვეთილი. ნულანდის FUCK the EU ლოზუნგად იქცა და გერმანულ სოციალურ ქსელებში ადამიანებს ამ ლოზუნგით მოუწოდეს, მონაწილეობა მიეღოთ ჰამბურგის დემონსტრაციაში. მოწოდების ტექსტი შემდეგნაირი იყო: „ჩვენი ერთობა ჩვენი ძალაა. მხოლოდ ერთად ვართ ძლიერნი. გერმანია უნდა მოკვდეს — ეს პოლი- ▶

**ვიქტორია ნულანდმა, როგორც ანდერსენის უმწიკვლო ბავშვმა, მხოლოდ ის თქვა, რომ მეფე შიშველია და გაამყარა რეკომენდაციით, თუ როგორ უნდა მოექცეს ევროკავშირს**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შენმა ხალხმა შენი მმართველობის შედეგები შეიძლება შეაფასოს სისხლის სამართლის რამდენიმე მუხლით, შენზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადოს, მაგრამ ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი არაა, აშშ-ში ყოველთვის მიიღებ ლექტორის, კონსულტანტის (სააკაშვილი საქართველოდან პირდაპირ ოდესაში არ გადამჯდარა), შემდეგ კი სახელმწიფო თანამდებობასაც... სადაც მოხერხდება.**

◀ ის თავდაცვის მინისტრმა ნამდვილად დაურეკა თავის რუს კოლეგას", — ხაზს უსვამს პოლონელი ჟურნალისტი.

„სირიაში თანამშრომლობისთვის პუტინი, სავარაუდოდ, უკრაინაში დათმობებს მოითხოვს. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ, ალბათ, გაეროში მისი გამოსვლიდან შევიტყობთ. ხოლო თუ მოსკოვი ვაშინგტონთან ვერ მოილაპარაკებს, მაშინ პუტინს გეგმა „ბ" აქვს", — ირწმუნება ავტორი. ისიც საკმარისია, რომ იგი ასადისთვის დაიცავს დასავლეთ სირიას, დანარჩენს კი ხალიფატს დაუტოვებს. **იმ დევნილების გიგანტური ტალღა, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს" ტერორსა და ასადის ბომბებს (რომლებსაც ამ ომში ყველაზე მეტი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის მოჰყვა) გაურბიან, კიდევ უფრო გაიზრდება. ბოლოს და ბოლოს, დასავლეთი იძულებული შეიქნება, მოსკოვთან კომპრომისზე წავიდეს.**

როდესაც 1999 წელს სერბმა პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა კოსოვოდან თითქმის მილიონი ალბანელი განდევნა და ამით მეზობელი ქვეყნების დესტაბილიზაცია გამოიწვია, დასავლეთმა ომით უპასუხა, ვიდრე დევნილთა ტალღა დასავლეთ ევროპამდე მიაღწევდა. „მაგრამ მაშინ რუსეთი, მართალია, მხარს უჭერდა მილოშევიჩს, მაგრამ ძალზე სუსტი იყო საიმისოდ, რომ დაეცვა იგი. დღეს მას შესწევს ძალა, ასადს უსაფრთხოების გარანტია მისცეს", — აღნიშნავს ვარშავსკი.

ირანი, რომელიც ჟენევის შეთანხმების წყალობით თითქმის ასი მილიონი დოლარის გაყინულ მარაგებზე მიიღებს წვდომას, შეძლებს, თავდებად დაუდგეს ამ გარანტიებს.

ამის შემდეგ გლობალური გადატვირთვა ასეთ სახეს მიიღებს: **სირიაში ასადის რეჟიმის მონაწილეობით შეიქმნება საერთაშორისო კოალიცია „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ და გამარჯვების შემდეგ მოხდება დევნილთა რეპატრიაცია, ეს კი დასავლეთს გაათავისუფლებს დახმარების გაწევის უზომო საფასურისგან.**

„პრეზიდენტი კი გარდამავალი პერიოდის შემდეგ სოჭში წავიდოდა — პენსიაზე. უკრაინაში დონბასი მიიღებდა ავტონომიას, ყირიმზე და პერსპექტივაში უკრაინის ნატოში გაწევრებაზე შეწყვეტდნენ ლაპარაკს, მოსკოვს კი ამ საკითხში შესაბამის გარანტიებს მისცემდნენ. ლატაკიაში კი ბაზა, რა თქმა უნდა, დარჩებოდა. და, აგრეთვე, შეუცვლელი დარჩებოდა აზრი, რომ საჭიროა რუსეთისთვის ანგარიშის გაწევა", — ასკვნის პოლონელი ჟურნალისტი.

**politobzor.net**

◀ ტიკური დებულებაა. 2015 წლის 12 სექტემბერს გერმანიის წინააღმდეგობის პატრიოტული მოძრაობა და ფეხბურთის პატრიოტულად განწყობილი გულშემატკივრების მოძრაობა მოგიწოდებთ, მონაწილეობა მიიღოთ ჰამბურგის ერთობლივ დემონსტრაციებში".

დემონსტრაცია, რა თქმა უნდა, იმთავითვე აკრძალა ჯერ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, შემდეგ კონსტიტუციურმა სასამართლომ. გერმანელებმა, რომლებსაც სულაც არ ახარებთ მათ ქვეყანაში მიმწყდარი დევნილების დანახვა, მემარჯვენე ექსტრემისტების დაღი დაისვეს, გულშემატკივრებმა კი — ხულიგნების. რამდენიმე დღის წინათ ზედმეტი პომპეზურობის გარეშე (ახლა ამის დრო არ არის) აღნიშნეს გერმანიის გაერთიანების 25 წლისთავი გერმანელი ხალხის ერთიანობის ლოზუნგით.

**გერმანელი მოსახლეობისათვის მიგრანტების ამ რაოდენობით დამატების პირობებში ქვეყანაში შილერისა და გოეთეს ენას არაბული საუბარი სულ უფრო და უფრო ახშობს.** თურქ მიგრანტებს ხომ გერმანელებმა ვერც ასიმილირება მოუხერხეს და ვერც იგნორირება. სხვათა შორის, გასული საუკუნის 50-იან წლებში გასტარბაიტერების მიწვევის თაობაზე პოლიტიკური გადაწყვეტილება გერმანიის ხელისუფლებამ სწორედ ამერიკელების ზეწოლის შედეგად მიიღო.

ახლა „ზემდგომები" „ქვემდგომებს" კვებავენ ზღაპრებით იმის შესახებ, რომ მიგრანტები გერმანიის ეკონომიკას ააყვავებენ. კიდევ ცოტაც და გერმანიის ძირძველი მოსახლეობა იძულებული გახდება, ამტკიცოს, რომ გერმანელობა დანაშაული არ არის. ხელისუფლება სასაცილო დაპირებებს იძლევა გერმანიაში ახალი სოციალური მუშაკების ხარჯზე სამუშაო ადგილების გაზრდის შესახებ. მოქმედი ნორმის შენარჩუნების შემთხვევაში (1 სოციალური მუშაკი 20 მიგრანტზე), მიმდინარე წელს საიმიგრაციო სამსახურების შტატი შეიძლება 40 000-ით გაიზარდოს. შემდგომ როგორ მოხდება ეს ფედერალურ მმართველობაში? გერმანელები „სოციალურად" ემსახურებიან მიგრანტებს, მაგრამ ისინი ქმნიან დამატებით ღირებულებას? თუ ანგელა მერკელის გარემოცვაში გადაწყვიტეს, რომ ყველას გაცურება შეიძლება? ადამიანები ხომ ხედავენ, რა ხდება ირგვლივ? **„დევნილთა 90% ახალგაზრდა მამაკაცები არიან. მათ შეეძლოთ, საკუთარ სამშობლოში ეშრომათ, მაგრამ გერმანიაში ფულია. საბრალო გერმანია!"... „ისინი საკუთარ უკანალს გადაირჩენენ, მაგრამ სად არიან მათი ოჯახები?" — აი, რას წერენ გერმანელები სოციალურ ქსელებში.**

არადა, მართლაც უპრიანი იქნებოდა გერმანიაში წინააღმდეგობის მოძრაობის შექმნა, მაგრამ ახლა „არაკეთილსაიმედოების" თვალთვალი ბევრად უფრო ეფექტიანია, ვიდრე ნაცისტების დროს იყო. ლიდერებს, მართალია, ციხეში არ ყრიან, მაგრამ პოლიტიკური სცენიდან ისინი სამუდამოდ ქრებიან. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ევროპა, რომელიც თავისი მმართველების ნებაყოფლობით-იძულებითი უუნარობის გამო ამერიკის ინტერესების მძევლად იქცა, მზადაა, მორჩილად დაელოდოს საკუთარ აღსასრულს?

**fondsk.ru**

# ძაღლიშვილებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**ამერიკისთვის გამოუსადეგარი პოლიტიკური ლიდერების ჩამოგდებისა და ლიკვიდაციის დიდი ხნის წინათ დაწყებულ პროცესს მეორე მხარეც აქვს: ხდება გამოსადეგთა აყვავება. მონეტის ავერსზეა ჩამოგდებული და მოკლული არაბი ლიდერების გროვა, ამერიკულ ციხეში გამომწყვდეული პანამის პრეზიდენტი ნორიეგა; რევერსზე კი — კიდევ უფრო დიდი გროვა სარეკლამო კონტრაქტების, წიგნების ჰონორარებისა და ნობელის პრემიების, გორბაჩოვით დაწყებული და ოდესის მმართველი სააკაშვილით დამთავრებული.**



რაშია მეორეთა ძალა? ხომ არ შეუძლია აშშ-ს, ყველგან და ყოველთვის დაძრას ავიამზიდები, საზღვაო ქვეითები, ტანკები? მართალია, ამერიკელებმა შვეს უკვდავი ფორმულა: „ის, რა თქმა უნდა, ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილი!" (ფრანკლინ რუზველტი ნიკარაგუის დიქტატორის — ანასტასიო სამოსას შესახებ), მაგრამ ხომ არ შეუძლია აშშ-ს, მუდმივად ტახტზე ეჯდეს თავისი ყველა ძაღლიშვილი?!

2014—2015 წლების პოლიტიკურმა სიტუაციამ („ყირიმის შემდგომმა" ეპოქამ) ნათელი მოჰფინა ორმხრივი პროცესის არსს. ამერიკის შეერთებული შტატების ძლევამოსილება გამოიხატება და მატერიალიზდება „მათი ძაღლიშვილებისთვის" არა მხოლოდ ავიამზიდურ მხარდაჭერაში ხელისუფლების მწვერვალებზე. მიღებული პერსონალური სანქციები (ცალკეული პირების უფლებების შეზღუდვა) მიანიშნებს, რომ არსებობს, ასე ვთქვათ, პერსონალური ანტისანქციებიც. ბიზნესში, ტოპ-კომპანიებში, პირველი კლასის ბანკებში ამას „ოქროს პარაშუტები" ეწოდება.

**შენმა ხალხმა შენი მმართველობის შედეგები შეიძლება შეაფასოს სისხლის სამართლის რამდენიმე მუხლით, შენზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადოს, მაგრამ ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი არაა, აშშ-ში ყოველთვის მიიღებ ლექტორის, კონსულტანტის (სააკაშვილი საქართველოდან პირდაპირ ოდესაში არ გადამჯდარა), შემდეგ კი სახელმწიფო თანამდებობასაც... სადაც მოხერხდება.**

ყველა ქვეყნის სააკაშვილები თავიანთ ხალხთან უფრო გაბედულად იწყებენ ექსპერიმენტების ჩატარებას.

ეს არა მხოლოდ ლიდერებს, არამედ „მეფის მთელ მხედრიონს" შეეხება. ნუ ვისაუბრებთ ბიზნესმენებზე. ეს ცალკე თემაა. ავიღოთ უფრო დაბალი რანგის მოღვაწეები.

**მარია გაიდარი** მხოლოდ მამამისის ქალიშვილი ხომ არაა. მან თავადაც მართა ერთ-ერთი ოლქი.

მედიაფიგურები? მთელი ქვეყნისთვის, მისი ბეჭდვითი სიტყვისთვის თუნდაც კორროტიჩი იყავი, აშშ-ში სიცოცხლის ბოლომდე ლექციებით უზრუნველგყოფენ. გზადაგზა უფერულდება ცნება „ქრთამიც". გორბაჩოვი ნობელებსა და ჰონორარებს იღებდა ლაქლაქით სავსე წიგნებსა და ლექციებში, რომელთა მოსმენა შეუძლებელია. „საუკეთესო გერმანელი" რეკლამას უკეთებს დასავლეთის ყოვლისმომცველობას და ყველგან შეღწევად ძლევამოსილებას, რომელიც არ დაგტოვებთ მფარველობის გარეშე, თუკი სწორი მიმართულებით იმუშავებთ.

**ყველა ამ ადამიანის მიწვევაში, სურვილში, რომ უკრაინის ხელისუფლება, ოდესის ოლქის ადმინისტრაცია იქცეს გადამდგარი რუსოფობების კლუბად, მათი ანტირუსული დამსახურებებისადმი პატივის მიგების გარდა, მკაფიოდ ჩანს სიძულვილი ოდესის საქალაქო მეურნეობისა და მთელი უკრაინელი ხალხის მიმართ**

ზაფხულში ოდესის ახალი დანიშვნებისას გაიდარის კვალდაკვალ სააკაშვილმა თავის უკიდეგანო „გენერალ-საგუბერნატოროში" კიდევ ერთი გადამდგარი, მსოფლიოში ცნობილი მეტსახელით „ბუშის პუდელი", ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი **ტონი ბლერი** მიიწვია.

სწორედ იმ დღეებში „პუდელმა", „ბუშზე შეყვარებულმა" (ლორდ სიუელის ახალი სკანდალური შეფასებით) ბლერმა თავისი თანაპარტიელი **ჯერემი კორბინის** წინააღმდეგ კამპანია დაიწყო და ბლერს სასწრაფოდ უხმეს უკრაინაში: **პოროშენკომ** მას უკრაინის პრეზიდენტთან არსებულ რეფორმების საკონსულტაციო საერთაშორისო საბჭოში შესთავაზა ადგილი.

**სამწუხაროდ, პინოჩეტი და კერენსკი დაიხოცნენ, რიბენტროპი ჩამოახრჩეს, ჩაუშესკუ დახვრიტეს, რეიგანი, გენერალი ფრანკო და მარგარეტ ტეტჩერიც, სამწუხაროდ, ჩვენთან აღარ არიან, თორემ ყველას უკრაინის ხელისუფლებაში გაამწესებდნენ!**

უკრაინაში ახლა კიდევ ერთ ახალგამომცხვარ გადამდგარს უხმეს — ავსტრალიის პრემიერ **ებოტს**. მან თავი იმით დაამახსოვრა საზოგადოებას, რომ შეეცადა, „ბოიკოტი" მოეწყო რუსეთის პრეზიდენტისთვის ბრისბენში G20-ის სამიტის დროს და პირობა დადო, რომ „მიწაზე დასცემდა" (გამოიყენა ტერმინი shirt-front-ი, რაც ავსტრალიურ ფეხბურთში მოწინააღმდეგის მიწაზე დაგდებას და მისთვის ბურთის წართმევას ნიშნავს. და აი, 15 სექტემბერს ებოტი თანამდებობიდან მოისროლეს. მართვის მისეულ მეთოდებს უცნაური უწოდეს, გახარებულმა ავსტრალიელებმა ამასთან დაკავშირებით ხახვების ფლეშმობიც კი მოაწყვეს. და... უცებ პოროშენკომ მიიწვია ებოტი „კიევის რეფორმებში მონაწილეობის მისაღებად".

შეიძლება დაფიქრება საქმის კიდევ ერთ მხარეზე. როგორც უნდა შეატრიალ-შემოატრიალო, ოდესის ოლქის გუბერნატორის ადმინისტრაციაში შტატები, თანამდებობების ნაკრები, თანამდებობრივი ინსტრუქციები არ იყო სპეციალურად გათვლილი მთელი მსოფლიოს გადამდგარი თანამდებობის პირების დასაქმებაზე. საჭიროა ოდესის სოციალური მდგომარეობის, ტრანსპორტის, მშენებლობების, მილიციის... ბოლოს და ბოლოს იმავე „პრივოზის" მართვა. საჭიროა ხანძრებთან ბრძოლა, ნაგვის გატანა, საპირფარეშოების, პურის საცხობების, საავადმყოფოების შემოწმება... სოფლებში გზების შეკეთება, სანიტარული რეჟიმების გაკონტროლება...

დავუშვათ, მთავრობიდან გაძევებული ებოტი არის საკუთარ სამშობლოში არაღიარებული დიპლომატიისა და არმიის მართვის გენია, მაგრამ პრემიერს ხომ კიდევ ასობით ვალდებულება აქვს, გამოცდილება კი — ნული. კიდევ უფრო მეტად ეს ბრიტანეთის პრემიერს ეხება. იქ პრემიერის დროის ლომის წილი ეთმობა პარლამენტისთვის მოხსენებებს, კითხვებზე პასუხებს, დიპლომატიურ ვიზიტებს.

**ყველა ამ ადამიანის მიწვევაში, სურვილში, რომ უკრაინის ხელისუფლება, ოდესის ოლქის ადმინისტრაცია იქცეს გადამდგარი რუსოფობების კლუბად, მათი ანტირუსული დამსახურებებისადმი პატივის მიგების გარდა, მკაფიოდ ჩანს სიძულვილი ოდესის საქალაქო მეურნეობისა და მთელი უკრაინელი ხალხის მიმართ.**

**fondsk.ru**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის, რომ ბრიდლავი, დანფორდი, ნულანდი და კარტერი მზად არიან, არა მხოლოდ რუსეთი და ჩინეთი აიღონ საკუთარ თავზე ახალ ცივ ომში, არამედ დაუპირისპირდნენ ახალ „ანტინატოურ“ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას.**



## «სააკაშვილი სიზმარში ხედავს, როგორ იმარჯვებს არჩევნებში საქართველოში»

**ГОРДОН-ის უკრაინელი ბლოგერი ირინა მედუშევსკაია წერს, რომ ოდესა მხარს არ უჭერს კიევს არა იმიტომ, რომ რუსეთთან უნდა, არამედ იმიტომ, რომ ვერ იტანენ კიევის დღევანდელ მმართველებს; სააკაშვილი კი, სისტემასთან მებრძოლი რეფორმატორი კი არა, უბრალოდ, გენიალური პიარშიკია.**

„მოვკლათ პუტინი, ჩავწიოთ კოლომოისკი, დავაკავოთ ფირტაში, შევცვალოთ იაცენიუკი, არ გამოვუშვათ იულია — ეს არის ნაგავი და არა სახელმწიფოს გრძელვადიანი სტრატეგია. სააკაშვილს სულაც არ აინტერესებს ოდესა, მას სძინავს და სიზმარში ხედავს, როგორ იმარჯვებს არჩევნებში საქართველოში. არიან ბლოგერები, რომლებიც სააკაშვილს ხოტბას ასხამენ, მაგრამ დამიჯერეთ, არც ერთი მათგანი არ ცხოვრობს ოდესაში და აზრზე არაა, რა ხდება სინამდვილეში. მეორე საკითხია ის, რომ საკმაოდ აქტიურად ჩაირთო პიარმანქანა. სააკაშვილი პოპულისტია, უკრაინაში კი უკვე არის ტიმოშენკო და იქნებ საკმარისია? კი, მიშა საგნებს საკუთარ სახელებს არქმევს, ამხელს კორუფციას, რაღაც ახალ რეფორმებს იგონებს, მაგრამ ეს არ არის მისი ქვეყანა, არ არის მისი ქალაქი და სინამდვილეში სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, მას სძინავს და ყველაზე ტკბილ სიზმარში ხედავს, როგორ იმარჯვებს საქართველოში მომავალ არჩევნებზე. ის არ აპირებს, ცხოვრება დაუკავშიროს უკრაინას და დარჩეს ოდესაში, ის სერიოზულად ემზადება, დაბრუნდეს საქართველოში და წარმოიდგინეთ, ამაში ბევრი ვილაც ეხმარება. 100 დღე გავიდა, რაც ის გუბერნატორია და სად არის რეალური შედეგები? არა, მიშამ აქ დიდი პიარი უნდა გაიკეთოს, ევროპამ მხარი დაუჭიროს და შეაქოს, რომ იქ, საქართველოში, ვილაცამ იფიქროს, რომ სააკაშვილი მართლა საქმის კაცია და ასე აიხდინოს მისი ტკბილი სიზმარი. გაიგეთ, ის არც პოლიტიკოსია, არც რეფორმატორი, ის პიარშიკი და დებოშისტია“, — წერს ბლოგერი.

# როგორ დავუპირისპირდეთ ახალი ცივი ომის ქორებს

**მალე „განუყრელ წყვილს“ — ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს — ვიქტორია ნულანდსა და ნატოს ბლოკის უმაღლეს მთავარსარდალს — ფილიპ ბრიდლავს ახალი ცივი ომის მესამე მომხრე — საზღვაო ქვეითთა გენერალი და შტაბების ხელმძღვანელთა გაერთიანებული კომიტეტის მომდევნო თავმჯდომარე ჯოზეფ დანფორდი შეუერთდებიან. გაჩნდა ამერიკული სამეული, რომელსაც მოსკოვთან საომარი დაპირისპირება სწყურია.**


ჯოზეფ დანფორდი

სენატში შეიარაღებულ ძალთა კომიტეტის წინაშე გამოსვლისას დანფორდმა განაცხადა, რომ რუსეთს ამერიკის უდიდეს საფრთხედ განიხილავს, თან არა მხოლოდ საფრთხედ. 1960-იანი წლების ამერიკის ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში დანფორდი წერდა: „თუ გსურთ საუბარი ქვეყანაზე, რომელსაც შეუძლია, საფრთხეს წარმოადგენდეს ამერიკის შეერთებული შტატების არსებობისთვის, მე რუსეთზე მივანიშნებდი, შეხედეთ მის ქცევებს, ისინი მღელვარებას იწვევს“.

ვიდრე ცივი ომის შესახებ დანფორდის რიტორიკა, რომელიც სულს უთბობს საომარი კონფრონტაციის ისეთ მომხრეებს, როგორებიც ჯონ მაკკეინი, 2016 წლის არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატი ლინდსი გრემი და ტედ კრუზი არიან, ჯერჯერობით კარგად არ მიუღია თეთრ სახლს ან სახელმწიფო დეპარტამენტს. თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯონ ერნესტმა დანფორდის განცხადებებისგან პრეზიდენტ ობამას დისტანცირება მოახდინა და პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დანფორდმა გამოხატა „საკუთარი აზრი“ და აუცილებელი არ არის, რომ ის ასახავდეს ნაციონალური უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტთა საპრეზიდენტო ჯგუფთან კონსენსუსის შედეგს.

სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარკ ტონერმა, კომენტარი გაუკეთა რა დანფორდის გამონათქვამებს, უფრო გადამჭრელი პოზიცია დაიკავა და განაცხადა, რომ სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ უარყო საერთო შენიშვნები: **„გულახდილად რომ ითქვას, მდივანი არ ეთანხმება შეფასებას, რომ რუსეთი, და არა ჩინეთი, წარმოადგენს აშშ-ისთვის საფრთხეს“.** ტონერი გულისხმობდა, რომ დანფორდის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საფრთხის ხარისხის მიხედვით ჩინეთი მხოლოდ რუსეთს უთმობს პირველობას.

სხვათა შორის, სწორედ კერი ეხმარებოდა ვიქტორია ნულანდს, რომელიც ნეოკონსერვატორი რობერტ კაგანის მეუღლე გახლავთ, სათავეში ჩასდგომოდა ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებს. ადრე ნულანდი ჰილარი კლინტონის პრესმდივანი იყო და, თუკი ქალბატონი კლინტონი კეთილგანწყობილია მის გვერდით მდგომი ქალებისადმი, მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში ნულანდი, რომელიც ერთ დროს ვიცეპრეზიდენტ დიკ ჩეინთან მუშაობდა, უფრო მაღალი დონის პოზიციამდე დაწინაურდება, შესაძლოა, დაიკავოს სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ან ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველი გახდეს. ობამასა და კერის შეუძლიათ, არ გაიზიარონ დანფორდის შეშფოთებული კომენტარები. მიუხედავად ამისა, სწორედ მათ მისცეს საშუალება ისეთ ადამიანებს, როგორებიც არიან ნულანდი, ბრიდლავი, დანფორდი და იარაღის მოყვარუნე აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ეშტონ კარტერი, ობამას ადმინისტრაციის მსხვილი ჩინოვნიკები გამხდარიყვნენ.

## დანფორდს, ბრიდლავს, ნულანდსა და კარტერს ხელეწიფებათ, აშშ-სა და რუსეთს ცხელი ომის ზღვრამდე უბიძგონ

**დანფორდს, ბრიდლავს, ნულანდსა და კარტერს ხელეწიფებათ, აშშ-სა და რუსეთს ცხელი ომის ზღვრამდე უბიძგონ.** ბრიდლავი იბრძოდა ნატოს ბლოკის მიერ ამაღლებული საბრძოლო მზადყოფნის გაერთიანებული ოპერატიული ჯგუფის შექმნისთვის, რომელიც ცნობილია, როგორც აკრონიმი და აბრევიატურა VHRJTF. VHRJTF-ს რუსეთის საზღვართან ნატოს ცხრა ქვეყნის სახმელეთო ჯარი ჰყავს განლაგებული. ახალმა „სწრაფი რეაგირების“ ქვეგანყოფილებამ მონაწილეობა მიიღო პირველ სამხედრო სწავლებებში „ცოცხალი ცეცხლი“, რომელიც პოლონეთში კოდური სახელწოდებით Noble Jump ჩატარდა. ჯგუფ VHRJTF-ს აქვს უპილოტო საფრენი აპარატები, რომლებსაც აშშ აწვდის. არ შეიძლება, გამოირიცხოს, რომ ბალტიისპირეთიდან რუსეთის ტერიტორიაზე უპილოტო საფრენი აპარატის შეჭრის შემთხვევაში 1960 წლის ინციდენტი განმეორდეს — მაშინ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს ამერიკის პილოტირებული მზვერავი თვითმფრინავი „U-2“.

**ობამამ და კერიმ იჩქარეს სენატის წინაშე იარაღის მოყვარუნე დანფორდისაგან დისტანცირება. მაგრამ, თუკი მათ მართლაც სურთ რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვა“, კერის შეუძლია, თანამდებობიდან გაათავისუფლოს ვიქტორია ნულანდი, ობამას კი შეუძლია დანფორდის კანდიდატურა წამოაყენოს, ორივემ კი სთხოვოს ნატოს, აირჩიოს ახალი უმაღლესი მთავარსარდალი.** მიუხედავად ამისა, როგორც პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი თავის გამოსამშვიდობებელ მიმართვაში აღნიშნავდა 1961 წელს „სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის“ საფრთხის შესახებ, ობამასა და კერის არ შეუძლიათ, გათავისუფლდნენ მათგან, ვისაც ძალაუფლება მიეცა.

**კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის, რომ ბრიდლავი, დანფორდი, ნულანდი და კარტერი მზად არიან, არა მხოლოდ რუსეთი და ჩინეთი აიღონ საკუთარ თავზე ახალ ცივ ომში, არამედ დაუპირისპირდნენ ახალ „ანტინატოურ“ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას.** თუკი ვიქტორია ნულანდისა და ფილიპ ბრიდლავის „განუყრელი წყვილი“ „სახიფათო სამეულად“ იქცევა, ნატო და ამერიკის შეერთებული შტატები მოინდომებენ, საომარ პირობებში ძალები შეაჯიბრონ არა მხოლოდ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ რუსეთთან და ჩინეთთან, არამედ ორგანიზაციის ისეთ ახალ წევრებთანაც, როგორებიც არიან პაკისტანი და ინდოეთი, ასევე ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი.

რუსეთი გააფთრებით იცავდა თავს დასავლეთის მხრიდან მისი იზოლირების მცდელობისას. პეკინმა აღკვეთა აშშ-ის მისწრაფება, დაემყარებინა სამხედრო შეკავების „სანიტარული კორდონი“ ჩინეთის ირგვლივ და მხარი დაუჭირა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზციაში ახალ დამკვირვებელ ქვეყნად ბელარუსის დანიშვნას, ასევე, ავღანეთის, მონღოლეთისა და ირანის ალიანსის სავარაუდო სრულუფლებიან წევრებად განხილვას. კამბოჯა, ნეპალი, სომხეთი და აზერბაიჯანი ამ ორგანიზაციას დიალოგში პარტნიორების სახით შეუერთდნენ, შრი-ლანკასა და თურქეთის შემდეგ.

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის გეოპოლიტიკური მისიაა ბრიკსთან ერთად (ბრაზილიის, რუსეთის, ინდოეთის, ჩინეთისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კავშირი) ამერიკის სამხედრო და ეკონომიკური დომინირების, ასევე, ნატოსა და პენტაგონის სახიფათო უცერემონიობის უკუგდება. ეს ისე გამოიყურება, თითქოს დანფორდს, ბრიდლავსა და ნულანდს არასდროს სმენიათ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის, ბრიკსის ან ევრაზიის ეკონომიკური კავშირის თაობაზე.

საოცარია, რომ დანფორდი და ბრიდლავი თავიანთ სავარაუდო მტრებს იწვევენ მაშინ, როდესაც კარტერმა აშშ-ის არმიის ჯარების შემადგენლობის 40-ათასიანი შემცირების შესახებ გამოაცხადა. კარტერი აპირებს, ნატოს ძალები ევროპაში შეავსოს საომარი მანქანებითა და ტანკებით, რომლებიც პირადი შემადგენლობის ნაკლებ რაოდენობას მოითხოვენ. როგორც თავის დროზე რომის იმპერია, ამერიკის შეერთებული შტატებიც გაბატონდა მსოფლიოში.

რუსეთსა და ჩინეთს არ ჰყავთ საკუთარი ჯარები მსოფლიოს 150 ქვეყანაში, რასაც ვერ ვიტყვით ამერიკის შეერთებულ შტატებზე. დანფორდსა და ბრიდლავს შეუძლიათ, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ რუსეთისა და ჩინეთის მხრიდან „საფრთხეებზე“, მაგრამ დანარჩენი მსოფლიოსთვის, რომელიც შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ბრიკსს განიხილავს, როგორც ნატოს შემდგომი გაფართოებისთვის წინააღმდეგობის გამწევ ერთადერთ ძალას, ამერიკა და „ფერადი რევოლუციებისთვის“ მისი პოლიტიკური ხელშეწყობა, ასევე, სამხედრო ძალის დემონსტრირება, გლობალური სტაბილურობის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.

strategic-culture.org

მილოცვა

## ჩარკვიანების დღე

**რა არ ხდება ამ წუთისოფელში, მაგალითად, ერთ დღეს, 30 სექტემბერს. ოღონდ სხვადასხვა წელს დაიბადნენ ჯანსუღ, ჯიმშერ და ლუიზა ჩარკვიანები. სამწუხაროდ, ლუიზა გამოაკლდა ძმებს, ისინი კი სიცოცხლის სიყვარულით მიმოდიან დღესაც, ეტრფიან შვილებსა და შვილიშვილებს.**

ჯიმშერი „სერიოზული“ კაცია, ჯანსული კი, ქვეყანამ იცის, საქართველოს სახალხო პოეტია და, როგორ არ მივულოცოთ მას დაბადების დღე — 84 წლისთავი?!

იგი „სხვა კაცია“, სხვა ჯიგარია, ხოლო ვისაც ლექსი ესმის, ჯანსულს ერთ-ერთ ბრწყინვალე „სამოციანელად“ თვლის, უნაზესი ლირიკა თუ ანდერძის აღსრულება გალაკტიონისა — „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“, შესანიშნავი ლირიკული პოემები თუ ბოლო ხანს შექმნილი ირონიული კალცლექსები...

ორმოცდაათამდე სიმღერად ქცეული ლექსი პოეზიის მოყვარულთა უსაყვარლესი ტექსტებია!..

ღმერთმა ჯანი და იმედი არ მოგაკლოთ, ჯანსუღ ბატონო!

**ვილენ მარდალეიშვილი**



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლური აზროვნების მქონე საქართველოს ხელისუფლება, ბიძინა ივანიშვილის სახით, ამ შეფასებებს უარყოფს და სტალინის მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს(?!), მაგრამ ისიც საკითხავია, როგორ შეაფასებს საქართველოს მოსახლეობა ამერიკის შეკვეთით მოსული ხელისუფლების მოღვაწეობას 3 წლის თავზე.**

# ამერიკა რუსეთისა და საქართველოს დაპირისპირებას ცდილობს

**„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი?“**
**ილია**



**2009 წლის 1 სექტემბერს პოლონეთის ქალაქ გდანსკში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაწყების 70-ე წლისთავს მიეძღვნა. ამ კონფერენციაზე ყველაზე პარადოქსული იყო მსოფლიო ლიდერების მიერ მეორე მსოფლიო ომის დაწყებაში იოსებ სტალინის დადანაშაულება(?!). პოლონეთის მხარდამჭერები იყვნენ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ბალტიის ქვეყნები. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა კი არაერთხელ აღიარა გერმანიის დანაშაულები.**
**ამ იდეოლოგიის გამოძახილია ესტონეთის ინიციატივა სტალინიზმის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადების შესახებ, რომელსაც მხარს უბამენ ლიტვა, ლატვია, ჩეხეთი, პოლონეთი და, რაოდენ გამაოგნებელიც უნდა იყოს, საქართველოც!**

1939 წლიდან სტალინმა სათავე დაუდო ნამდვილი სოციალიზმის მშენებლობას, მაგრამ, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ შეფასდა მისი სიკეთეები, რომლებსაც ხრუშჩოვის მხრიდან მოჰყვა ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება, სტალინის პოლიტიკისა და მოღვაწეობის დაკნინება, ნელ-ნელა და ფარულად კაპიტალიზმის აღდგენა. ამან, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო ნაციონალიზმისა და ფაშიზმის გაძლიერებას და სტალინის გასამართლებას ის ქვეყნები ითხოვენ, რომლებიც მან ფაშიზმის მონობისგან იხსნა. ევროპის ფაშისტური ძალებისგან განსხვავებით, რუსეთი ცდილობს გენეტიკური ქართველების — სტალინისა და ბერიას — რეაბილიტაციას. ამაზე მეტყველებს მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების მუშაობის ობიექტური გამოკვლევების მასალები, რომლებშიც მათი საქმიანობის დადებითი როლიც იკვეთება: გააუვნებლეს ბანდები, დაახლოებით 300 000 კაცი, რომლებიც დათარეშობდნენ სსრკ-ის ტერიტორიაზე, აწყობდნენ ტერორსა და საბოტაჟს. რაც შეეხება რეპრესიებს, სტალინს 1927 წლამდე, ვიდრე **ტროცკი** ქვეყნის სადავეებს არ ჩამოაშორა, რეალური ხელისუფლება არ ჰქონდა. ხალხს ხვრეტდნენ **ლენინის, ტროცკის, ზინოვიევისა** და **ტუხაჩევსკის** ბრძანებით. ცნობილია სტალინის რჩევა შესაბამისი სტრუქტურებისადმი: **„სჯობს, 100 დამნაშავე გაამართლო, ვიდრე ერთი უდანაშაულო დასაჯო“.** მისი საზრუნავი მშრომელი ადამიანის კეთილდღეობის მაქსიმალური უზრუნველყოფა იყო.

მსოფლიო დადგა რეალობის წინაშე, რომ კაპიტალიზმმა არ გაამართლა და სოციალიზმის აღდგენის წინაპირობაა შექმნილი. **იმპერიალისტურმა ძალებმა თავიანთი არსებობის გასახანგრძლივებლად სტალინის ეპოქის გასამართლება დაისახეს მიზნად და, დიდი ალბათობით, ეს იდეა ამერიკელთა ბინძურ თავებში გაჩნდა, ისევე, როგორც ომები „დემოკრატიისთვის“, „მშვიდობისთვის“, „ტერორიზმის წინააღმდეგ“ და ა.შ.** მეტიც, ამ ცხელი თავების მეცადინეობით, როკფელერებისა და როტშილდების ბიზნესიმპერიების გაერთიანების ფონზე, 2016 წელს მსოფლიოს ხელოვნურად გამოწვეული კრიზისი ელის, რაც დედამიწის მცხოვრებთა 6 მილიარდით შემცირებისკენაა მიმართული. სტალინის ეპოქის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადება, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული, ნიშნავს მსოფლიოს გადამრჩენელი ღირსეული პიროვნების დანატოვარი სიკეთეების დავიწყებას.

სწორედ ფაშისტური იდეოლოგიის მქონე ქვეყნები – საფრანგეთი და ინგლისი ეხმარებოდნენ და უბიძგებდნენ ჰიტლერს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებისკენ. **სტალინისთვის ცნობილი იყო, რომ პროვოკაციის დეტალები ბრიტანულ სპეცსამსახურებში იგეგმებოდა და პოლონელები ჩერჩილის დახმარებით ფიქრობდნენ პოლონეთის განთავისუფლებას, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი, მოლოტოვ-რიბენტროპის შეთანხმების თანახმად, სტალინმა ერთგვარ ბუფერად გადააქცია საბჭოთა კავშირზე ჰიტლერის მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში.**

სტალინის ძალისხმევით მოკლე დროში (1946—1952) საქართველო მაღალგანვითარებული ქვეყანა გახდა და მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული პროდუქციით მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ათეულში მოხვდა. თავის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში“ წერს, რომ რეფორმები დაფუძნებული იქნება ტრადიციებსა და მართლმადიდებლურ ღირებულებებზე. ცნობილია, რომ სტალინის ნაშრომით სოციალიზმის ეკონომიკური განვითარების შესახებ იხელმძღვანელა ჩინეთმა და დღეს მისი ეკონომიკა ერთ-ერთი მაღალგანვითარებულია მსოფლიოში.

არაერთხელ თქმულა, რომ სტალინის ეპოქა იყო დიდი აღმავლობის ხანა ჩვენი ქვეყნისთვის. ამაზე საუბრობს უწმინდესიც და მიაჩნია, რომ სტალინი დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მორწმუნე მართლმადიდებელი იყო. **დასავლური აზროვნების მქონე საქართველოს ხელისუფლება, ბიძინა ივანიშვილის სახით, ამ შეფასებებს უარყოფს და სტალინის მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს(?!), მაგრამ ისიც საკითხავია, როგორ შეაფასებს საქართველოს მოსახლეობა ამერიკის შეკვეთით მოსული ხელისუფლების მოღვაწეობას 3 წლის თავზე.**

რუსეთის იმპერიას ყველაზე აგრესიულ, მტრულად განწყობლ ქვეყნად განიხილავენ დღეს მსოფლიო ლიბერალები, მაგრამ საქართველოს რეალური მტერი ის დასავლური ძალები არიან, რომლებიც გაშმაგებით ცდილობენ, ქართველ ერს ჭეშმარიტი ღირებულებები შეუცვალონ. აი, რას ამბობს **ზვიად გამსახურდია** „ნაროდნაია პრავდასთვის“ მიცემულ ინტერვიუში (1992წ., 3 ნოემბერი): **„როცა ამ მთავრობებს სურთ, გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ, მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და, თუ წინააღმდეგობას წააწყდებიან, უბრალოდ, ამხობენ მას“.** ზვიადი ვერ მოისყიდეს და ამიტომაც დაამხეს, ხოლო შემდგომი ხელისუფლებები მოისყიდეს საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ.

**ბატონ ბიძინას ეროვნული საქმის გაკეთება შეეძლო, თუ ღირსეულ პოლიტიკურ ძალას შექმნიდა, რომელიც ეროვნული ღირებულებების დასაცავად იბრძოლებდა, მაგრამ მან, სამწუხაროდ, ნეოლიბერალური პოლიტიკის აღზევებას შეუწყო ხელი, დასავლური ძალების მარიონეტად იქცა და ქვეყანა ამერიკა-რუსეთის დაპირისპირების ობიექტად აქცია, ამერიკის ოცნების განხორციელებასა და სახელისუფლო წრეების კეთილდღეობას ანაცვალა სამშობლოს მომავალი.**

ჩემს ოპონენტს, რომელიც წინა წერილში ივანიშვილისადმი ჩემს დამოკიდებულებას კრიტიკულად შეხვდა, მინდა, ვუთხრა, რომ, როგორც ყველა ქართველი, ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას სიხარულით შევხვდი, მაგრამ დღეს, იმის გამო, რომ ის ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს ეხმარებოდა, კერპად ვერ ვაქცევ. **ჩემი კერპი არის ჩემი სამშობლო და, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, „მეოცნებეთა“ მსგავსად, გაგებით კი არ ვხვდები საქართველოში ცისფერი უკანალების თამაშს პოლიტიკური დივიდენდების სანაცვლოდ, არამედ ვოცნებობ, საქართველო ევროამერიკული იმპერიალიზმის ანტიქრისტიანული, ანტიმართლმადიდებლური მასონური მარწუხებიდან განთავისუფლდეს.** ეს ყველა ქართველი პატრიოტის ოცნებაა. კიდევ ერთხელ განვმარტავ: ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლა იყო დადებითი მოვლენა მხოლოდ იმ ვითარების ფონზე, რომელიც წინა ხელისუფლების დროს იყო შექმნილი, უფრო კონკრეტულად — სახელმწიფო ტერორის, ერთპიროვნული დიქტატორული მმართველობის, შეკვეთილი მკვლელობების, კერძო საკუთრების ხელყოფის, ცილისწამების, კრიმინალის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის, სიბილწისა და უზნეობის ფონზე. ზოგი ბიძინისტი იმასაც ამბობს, — ბიძინას გარეშე საქართველო დაიღუპებაო(?!) **საქართველო დავით აღმაშენებლისა და ილიას გარეშე არ დაღუპულა და უბიძინობას როგორმე გადავიტანთ. მთავარია, გავერთიანდეთ არა კერძო პიროვნებისადმი სიმპათიის გამო, არამედ იმ იდეით, რომელიც დასავლეთს ეტყვის „არა!“ და რუსეთთან აღადგენს დიპლომატიურ ურთიერთობას.**

საქართველოს ხელისუფლებისა და ევროპის ქვეყნების მიერ სტალინის, რომელმაც გაიარა ურთულესი გზა და მსოფლიო ფაშიზმისგან იხსნა, ეპოქის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადება დანაშაულია. **პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს საქართველოში გენეტიკურად ქართველის, მსოფლიოს ფაშიზმისგან მხსნელის — სტალინის ძეგლის დადგმას ეწინააღმდეგებიან და სანაცვლოდ მისი იდეოლოგიური მოწინააღმდეგისა და მტრის, ამერიკის ექსპრეზიდენტის – რეიგანის ძეგლი გვაქვს, აგრეთვე, — ალიევის. ეს კი ამერიკელთა დირექტივების უპიროგბო შემსრულებლისა და სახელმწიფოებრივი ხედვის არმქონე მოქალაქის, ბიძინა ივანიშვილის, დამსახურებაა.**

საქართველოს არაეროვნულმა ხელისუფლებამ ტყვია ესროლა ერის სიამაყეს – ილია ჭავჭავაძეს; კრიმინალმა ხელისუფლებამ ტყვია ესროლა ეროვნული ღირებულებების დამცველს — გურამ შარაძეს; ამერიკელთა ნარჩენებით ნაკვები ხელისუფლება, რომლის „ქართული“ სულიერება ვირტუალურ სივრცეშია გამოკეტილი, ტყვიას ესვრის ყველაზე მაღალგანვითარებულ ოქროს ხანას საქართველოს ისტორიაში, რომლის დონესაც, ალბათ, ვეღარასოდეს მივაღწევთ. თვითონ სტალინს კი ამერიკელთა მიერ მოსყიდულმა ვირთხებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე, სოციალიზმი რომ დაენგრიათ. **სტალინის ეპოქის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადება, ამერიკელების მიერ საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის გახსნასთან ერთად, რაც რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ გადადგმული პროვოკაციული ნაბიჯია, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მოწესრიგებას არ ემსახურება, ამერიკა რუსეთისა და საქართველოს დაპირისპირებას ცდილობს! მხოლოდ გონებასუსტი დაიჯერებს, რომ ამერიკა ამ ნაბიჯით საქართველოს უსაფრთხოებაზე ზრუნავს!** მოკლედ, ამერიკული იმპერიალიზმი, რომელიც მსოფლიოზე გაბატონებას ესწრაფვის, მიზანმიმართულ ბრძოლას უცხადებს რუსეთს და ეწინააღმდეგება ქართულ-რუსული ურთიერთობების დათბობას. ეს გარემოება ჯერ კიდევ რუსეთის ოლიმპიადის დროს გამოიკვეთა, როცა, „საქინფორმის“ ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი ამერიკელ ფაშას კალთაზე ემთხვია და მოსკოვში წასვლის ნებართვა ითხოვა, მაგრამ პასუხი შეუვალი იყო: „ჩვენ აზრს არ შევიცვლით, ევაჭრეთ ყველას, გარდა ამერიკისა“.

ამერიკა ფაშისტურ ქვეყნად იქცა და მსოფლიოს რიგ ქვეყნებში დესტაბილიზაცია შეაქვს, მაგრამ **საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ნატოს საწვრთნელ ცენტრს ხსნის რუსეთთან გართულებული ურთიერთობის ფონზე, სახელმწიფოებრივ აზროვნებას მოკლებულია.** მსოფლიოში არ არსებობს ისეთი სამხედრო ძალა, რუსეთს რომ დაამარცხებს, და საქართველომ განა რა უნდა შექმნას ასეთი? რუსეთთან დაპირისპირება საფრთხის შემცველია, რომელიც ჩვენს ძირძველ ტერიტორიებს სამუდამოდ დაგვაშორებს და „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურებას გამოიწვევს კავკასიაში.

სამწუხაროა, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს ძალა, რომელიც ეროვნული იდეოლოგიით იხელმძღვანელებს და იმოქმედებს, სამაგიეროდ, არსებობს „პატრიოტთა ალიანსი“, რომლის ხელმძღვანელი, ბატონი თარხან-მოურავი გვაიმედებს: „ჩვენ უკეთეს პარტნიორობას გავუწევთ მათ (ამერიკელებს?!)“. უკეთესი პარტნიორობა კი სხვა არაფერია, თუ არა ამერიკული დირექტივების უკეთესად შესრულება და უფრო მეტად დამონება დასავლური ძალებისადმი. **„პატრიოტებად“ წოდებულთა ალიანსის წარმომადგენლებს არასოდეს გაუპროტესტებიათ დასავლური ძალების მიერ წინა კრიმინალური ხელისუფლების ლობირება, სამაგიეროდ, აპროტესტებდნენ სამართლიანობის არაღდგენას, რაც, ასევე, ამერიკელთა ნების უქონლობას უკავშირდება.**

ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, რომლებიც საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვას უარყოფითად აფასებენ, დღეს „პატრიოტთა ალიანსის“, ანუ იდეოლოგიურად განსხვავებული პარტიის გვერდით დგანან. ხომ არ არის ეს თანამდებობრივი თუ საპარლამენტო სავარძლების ხიბლით გამოწვეული?

ქართული მიწა კვნესის, ქართველი პოლიტიკოსები კი ფერხულს უვლიან ერთი ქართული ანდაზის ტექსტზე: „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

**იზა თამაზაშვილი**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ეს ამ სისტემას საშინელ იარაღად აქცევს ქვეითთა წინააღმდეგ გამოყენების შემთხვევაში ან იმ სამხედროების მიმართ, რომლებმაც თავი ბუნკერს ან გამოქვაბულს შეაფარეს. ცეცხლმტყორცნი სისტემის სრულ ზალპს, რომელიც 24 რაკეტისგან შედგება, შეუძლია, ქალაქის 8 კვარტალი ფერფლად აქციოს და მათ, ვინც დარტყმის ზონაში აღმოჩნდება, ჯოჯოხეთი მოუწყოს“

# მასობრივი განადგურების იარაღი



## ნეიტრონული ბომბი

**ნეიტრონული ბომბი ატომური იარაღის ერთ-ერთი სახეობაა, რომლის აფეთქებისას გამოიყოფა მძლავრი ენერგია — ნეიტრონების გამოსხივება. ნეიტრონული ბომბის გამოსხივება — რენტგენის ან გამა-სხივები, აგრეთვე, ალფა და ბეტა ნაწილები აღწევს ჯავშანში, ანადგურებს მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასა და შეიარაღებას, აქვს მცირე დარტყმის ძალა და რადიაქტური გამოსხივება, ამიტომ არ იწვევს დიდ ნგრევას. ასეთი საბრძოლო მუხტის აფეთქების სიმძლავრე მცირეა და ჩვეულებრივ არ აღემატება ტროტილის ეკვივალენტის რამდენიმე კილოტონას.**

ამერიკელი მეცნიერის — **სემუელ კოენის** — მიერ შექმნილი ნეიტრონული ბომბი ძირითადად ანადგურებს ცოცხალ ორგანიზმებს და იწვევს მცირე ნგრევას. ნეიტრონული ბომბის დარტყმის ტალღა გამოყოფილი ენერგიის მხოლოდ 10-20%-ს შეადგენს, ატომური ბომბის აფეთქებისას კი — ენერგიის 50%-ს.

ნეიტრონული ბომბი, რომელიც ყველაფერს ანადგურებს, რაც კი ცოცხალია, ამასთანავე, არ აზიანებს არაბიოლოგიურ ობიექტებს, ყველაზე არაადამიანურ იარაღად ითვლება. თუმცა სემუელ კოენი თავის გამოგონებას ყველაზე „მორალურ და გონიერ“ იარაღად თვლიდა.

ნეიტრონული საბრძოლო მასალების შექმნაზე 1960-1970-იან წლებში მუშაობდნენ. ამ იარაღის გამოგონების შემდეგ, ბუნებრივია, დაიწყეს მისგან დაცვის საშუალებების შექმნაც. შეიქმნა ახალი ტიპის ჯავშანი, რომელსაც შეუძლია ჯავშანტექნიკისა და მისი ეკიპაჟის დაცვა ნეიტრონული გამოსხივებისგან. ამისთვის ჯავშანს დაუმატეს ბორისა და ურანის შემცველი ფენა, რომელიც შთანთქავს ნეიტრონებს.

ამჟამად ნეიტრონული ბომბის დამზადება შეუძლია აშშ-ს, რუსეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს.



# აშშ-ის არმიის გენერალმა ამერიკისა და მისი მოკავშირეების ჯარების სისუსტე აღიარა

**„ევროპაში განლაგებული ამერიკის სამხედრო ქვედანაყოფებს არ შეუძლიათ, წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთის ჯარებს“, — წერია კვლევითი ცენტრ Alantic Counsil-ის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში: „გენერალი: აშშ-ის ჯარების შესაძლებლობები ევროპაში შეზღუდულია“.**

მასალაში ნათქვამია, რომ ევროპაში აშშ-ის არმიის სარდალმა **ბენ ჰოჯესმა** ამერიკისა და მისი მოკავშირეების ჯარების სისუსტეები დაასახელა და, პრაქტიკულად აღიარა პენტაგონის უმწეობა.

ჰოჯესმა მიუთითა სამ ფაქტორზე, რომლებიც ნატოს სუსტი წერტილებია: პირველი — საიმედო რადიოკავშირის არარსებობა; მეორე — სამხედრო ოპერაციებზე კონტროლის ერთიანი სისტემის უქონლობა და მესამე — რადარებს, არტილერიასა და დამკვირვებლებს შორის საიმედო კომუნიკაციის არარსებობა.

ჰოჯესის აზრით, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს სიტუაციის გამოსასწორებლად ბევრი ფული, ძალისხმევა და დრო დასჭირდება.

Popular Mechanics:

# რუსულ «ბურატინოს» შეუძლია, ჯოჯოხეთი მოაწყოს დედამიწაზე

**„სახმელეთო შეიარაღებაში რთულია ისეთი საშინელი იარაღის მოძებნა, როგორიც არის რუსული მძიმე ცეცხლსატყორცნი სისტემა „ბურატინო“, — წერს ამერიკული გამოცემა Popular Mechanics-ი.**



გამოცემა აღნიშნავს, რომ, ჩვეულებრივი რეაქტიული რაკეტების გარდა, „ბურატინოს“ შეუძლია, ცეცხლი გახსნას თერმობარული (მოცულობითი აფეთქების საბრძოლო მასალა, ვაკუუმური ბომბი) რაკეტებითაც. გაშვების შემდგომ თერმობარული ჭურვები მიზნის გარშემო ჰაერში ქმნიან საწვავი სითხის ღრუბელს, შემდეგ კი მას ცეცხლს უჩენენ. აფეთქება და დარტყმის ტალღა ძალიან მძლავრია, მიზნის გარშემო კი მთელი ჟანგბადი შთაინთქმება. **„ეს ამ სისტემას საშინელ იარაღად აქცევს ქვეითთა წინააღმდეგ გამოყენების შემთხვევაში ან იმ სამხედროების მიმართ, რომლებმაც თავი ბუნკერს ან გამოქვაბულს შეაფარეს. ცეცხლსატყორცნი სისტემის სრულ ზალპს, რომელიც 24 რაკეტისგან შედგება, შეუძლია, ქალაქის 8 კვარტალი ფერფლად აქციოს და მათ, ვინც დარტყმის ზონაში აღმოჩნდება, ჯოჯოხეთი მოუწყოს“,** — ასკვნის ამერიკული გამოცემა.

„ბურატინო“ დააპროექტეს ომსკის (რუსეთი) სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლებმა 1971-79 წლებში. სისტემამ 1980 წელს წარმატებით გაიარა გამოცდა და ამის შემდეგ სსრკ-ის სამხედრო ძალებს გადაეცა, პირველად გამოიყენეს ავღანეთში 1988-1989 წლებში.

„ბურატინოს“ დანიშნულებაა მსუბუქჯავშნიანი ტექნიკის განადგურება, ნაგებობებისთვის ცეცხლის გაჩენა და განადგურება, ღია ადგილებზე განლაგებული ან საფორტიფიკაციო ნაგებობებში გამაგრებული მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის განადგურება ნამსხვრევებით, დარტყმის ძალით, თერმობარული და კვამლის წარმომქმნელი საბრძოლო მასალებით.

მძიმე ცეცხლსატყორცნი სისტემა შედგება მიმმართველებიანი საბრძოლო მანქანისგან (БМ-1), აგრეთვე, ორი სატრანსპორტო-დამმუხტველი მანქანისგან (ТЗМ-Т), რომლებიც, აგრეთვე, შექმნილია ტანკ T-72-ის ბაზაზე.

**ამ ცეცხლსატყორცნი სისტემით და მისი მოდიფიკაციებით შეიარაღებულია რუსეთის, აზერბაიჯანის (დაახლოებით 18 ერთეული), ერაყისა (10 ერთეული) და ყაზახეთის (3 ერთ.) არმიები.**



**ტექნიკური მონაცემები:**

- მასა საბრძოლო მდგომარეობაში — 46 ტ
- სიგრძე — 6860 მმ
- სიგანე — 3460 მმ
- სიმაღლე — 2600 მმ
- ლულის სიგრძე — 5000 მმ
- კალიბრი — 220 მმ
- მიმმართველების რაოდენობა — 24 (30)
- სროლის სიშორე (მინიმალური) — 400 მ
- სროლის სიშორე (მაქსიმალური) — 3600 მ (ახალი რაკეტებით — 6000 მ)
- დაზიანების ფართობი — 40 000 კვ.მ
- ეკიპაჟი — 3 კაცი
- ძრავა — V-12 დიზელის
- მაქსიმალური სიჩქარე შოსეზე — 65 კმ/სთ

## ლეგენდარული იარაღი

# მაქსიმის ტყვიამფრქვევი

**დაზგური ტყვიამფრქვევი მაქსიმი 1883 წელს შექმნა ბრიტანელმა მეიარაღემ, წარმოშობით ამერიკელმა ჰაირემ სტივენს მაქსიმმა. ამ ტყვიამფრქვევმა საფუძველი ჩაუყარა ავტომატური იარაღის წარმოებას.**



მაქსიმის ტყვიამფრქვევი ფართოდ გამოიყენებოდა ინგლის-ბურების ომში 1899-1902 წლებში, პირველ და მეორე მსოფლიო ომებში, აგრეთვე, 20 საუკუნის ბევრ შეიარაღებულ კონფლიქტში. ამ იარაღს დღესაც იყენებენ მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში.



ჰაირემ მაქსიმის მიერ შექმნილი კონსტრუქციის მიხედვით მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ამ ტყვიამფრქვევის ბევრი ვარიანტი შექმნეს, მაგალითად, რუსეთში, აშშ-ში, ავსტრალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ჩინეთსა და ფინეთში.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**





მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩინეთი — ძველი ცივილიზაციისა და ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ქვეყანა





ჩინეთის დიდი კედელი, რომლის სიგრძე 8851 კმ-ია, საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

ჩინეთი (ოფიციალურად — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) აღმოსავლეთი აზიის სოციალისტური (კომუნისტური) სახელმწიფოა. აღმოსავლეთით აქვს სანაპირო ზოლი წყნარ ოკეანეზე, ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთს, ჩრდილოეთით — მონგოლეთს, ჩრდილო-დასავლეთით — რუსეთსა და ყაზახეთს, დასავლეთით — ყირგიზეთს, ტაჯიკეთსა და ავღანეთს, სამხრეთ-დასავლეთით — პაკისტანს, ინდოეთს, ნეპალსა და ბუტანს, სამხრეთით — მიანმას, ლაოსსა და ვიეტნამს.

ჩინური ცივილიზაცია, ჩინელი მეცნიერების მტკიცებით, 5 ათასი წლის წინათ ჩამოყალიბდა, დამწერლობა კი 3500 წლის წინათ შეიქმნა. ჩინური ცივილიზაციის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა ჩინელი ფილოსოფოსის — **კონფუციის** სწავლებამ. ჩინეთის ტერიტორიას რეგულარულად იპყრობდნენ, მაგრამ დამპყრობელი ხშირად ასიმილირდებოდა ხოლმე ჩინელ ეთნოსთან, დამპყრობთა ტერიტორიები კი ჩინეთს უერთდებოდა.

ჩინეთი 1949 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად.

ქვეყნის ტერიტორიის რელიეფი მრავალფეროვანია — მაღალი მთები, პლატოები, ხეობები და უდაბნოებიც კი. ტიბეტის მთიანეთი (ზღვის დონიდან 2000 მ-ზე მეტი) ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, მცირე სიმაღლის მთიანი ველები — ჩრდილო-აღმოსავლეთში, აღმოსავლეთსა და სამხრეთში, სადაც ჩინეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს.

**კლიმატი.** ჩინეთში მრავალფეროვანი კლიმატური პირობებია — სუბტროპიკულიდან (სამხრეთ-აღმოსავლეთი) მკვეთრად კონტინენტურამდე. ქვეყნის ჩრდილოეთში ტემპერატურა ზამთარში მინუს 38 გრადუსამდეც შეიძლება დაეცეს; სამხრეთ ნაწილში კი, მაგალითად, პროვინცია გუანდუნში იანვრის საშუალო ტემპერატურა პლუს 10-28 გრადუსს შორის მერყეობს. ყველაზე ცხელი ადგილია ტურფანი, იქ ზაფხულობით ტემპერატურა პლუს 50 გრადუსს აღწევს.

**ფლორა.** ქვეყანაში 25 ათასამდე მცენარე ხარობს — ლარიქსი, კედარი, მუხა, ნეკერჩხალი, კაკალი, დაფნა, კამელია, მაგნოლია, ბამბუკის 500-მდე სახეობა. ქვეყნის სამხრეთში ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია ტროპიკულ ტყეებს პალმებითა და ლიანებით.

**ფაუნა.** ჩინეთში ბინადრობს ვეფხვი, მგელი, მელა, ჯეირანი, აქლემი, ლეოპარდი, კურდღელი, ენოტისებრი ძაღლი, ტაპირი, მარტორქა, ლემური, პანდა, მაიმუნი, 1000-ზე მეტი სახეობის ფრინველი, ბევრი გველი.

ჩინეთის უმაღლესი წერტილია **ჯომოლუნგმა** (ევერესტი — ინგლ.; საგარმათჰა — ნეპალურად), რომელიც ნეპალისა და ჩინეთის (ტიბეტის ავტონომიური რაიონი) საზღვარზე მდებარეობს. ჯომოლუნგმას სამწახნაგიანი პირამიდის ფორმა აქვს და მისი ჩრდილოეთი (მთავარი) მწვერვალი **(8848 მ)** ჩინეთის ტერიტორიაზეა.

**ჩინეთის უდიდესი მდინარეები: იანძი (ჩანი) — 6300 კმ** და **ხუანხე (ყვითელი მდინარე) — 5464 კმ.**

**დიდი ტბები — დუნტინხე და პაიანხე.**

ჩინეთის ტერიტორია **9 596 960 კმ-ს (მე-3 მსოფლიოში) შეადგენს.**

**მოსახლეობა.** ჩინეთში ყველაზე მეტი ადამიანი ცხოვრობს — 1 368 660 000 კაცი. მოსახლეობა რამდენიმე ათეული ეთნოსისგან შედგება — თავიანთი ადათ-წესებით, ნაციონალური კოსტიუმებითა და ენით. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანია ეთნიკური ჯგუფი ხანი, შემდეგ — უიღურები, ბეტები, მაიაო ჯუანი და სხვ.

**დედაქალაქი — პეკინი (7,2 მლნ).**

**უდიდესი ქალაქები — შანხაი (9,4 მლნ), პეკინი, ჰონგკონგი (7,1 მლნ), ჩენდუ (7,1 მლნ), უხანი (6,6 მლნ). ტიანძინი (5,0 მლნ), შენიანი (4,6 მლნ), გუანჯოუ (4,1 მლნ).**

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ჩსრ უნიტარული სახელმწიფოა. ძირითადი კანონია 1982 წელს მიღებული კონსტიტუცია. ქვეყნის უმაღლესი ორგანო — წარმომადგენელთა ერთპალატიანი საკრებულო, რომელიც 2979 დეპუტატისგან შედგება. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ ჩინეთის კომუნისტური პარტიის, აგრეთვე, ე.წ. დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს.

სახელმწიფოს მეთაურია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე, ამჟამად ამ პოსტზეა **სი ძინპინი** — ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენმდივანი.

ჩინეთი დაყოფილია 22 პროვინციად (მათ გარდა, ჩინეთი თავის პროვინციად თვლის ტაივანსაც), 5 ავტონომიურ რაიონად, 4 მუნიციპალურ წარმონაქმნად და 2 სპეციალურ ადმინისტრაციულ რაიონად.

**რელიგია**. ჩინეთი სხვადასხვა რელიგიური კულტის ქვეყანაა. უიღურები, ყაზახები, თათრები, ტაჯიკები, ბაოანები აღიარებენ ისლამს, ტიბეტელები და მონგოლები — ბუდიზმს, მიაოსა და იაოს წარმომადგენლები — ქრისტიანობას, მაგრამ ჩინელთა უმრავლესობა ჩინური ტრადიციული რელიგიის — დაოსიზმის — მიმდევარია. ფართოდ არის გავრცელებული კონფუციანელობაც.




## კუნგ პაო

**კუნგ პაოს — ქათმის კერძს — ჩინური სამზარეულოს შედევრს უწოდებენ.**

**ინგრედიენტები:**
* ქათმის მკერდის ფილე — 500 გრ
* წიწაკა ჩილი — 1 ც
* ნიორი — 2 კბ
* არაქისი (მოხალული) — 40 გრ
* ხახვი (მწვანე) — გემოვნებით
* კოჭა (დაფხვნილი, ახალი) — 2 ჩ.კ.
* სოიის სოუსი — 2 სუფრის კოვზი
* სახამებელი — 1 ჩ.კ.
* ღვინო (თეთრი, მშრალი) — 1 ს.კ.
* ზეითუნის ზეთი — 3 ს.კ.

**მარინადისთვის:**
* სოიის სოუსი — 3 ს.კ.
* სახამებელი — 2 ჩ.კ.
* ღვინო (თეთრი, მშრალი) —1 ს.კ.
* ზეითუნის ზეთი — 1 ს.კ.

**სოუსი:**
* სოიის სოუსი — 3 ს.კ.
* შაქარი — 3 ს.კ.
* სახამებელი — 2 ჩ.კ.
* ძმარი ან ბალზამი — 40 მლ
* ზეითუნის ზეთი — 1 ს.კ.

**მომზადება:**

**1. ქათმის ხორცი დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, დაამატეთ სახამებელი, სოიის სოუსი და ღვინო. გააჩერეთ 15 წუთით.**

**2. სოუსისთვის პატარა ჯამში გადაიტანეთ სოიის სოუსი, შაქარი, სახამებელი, ძმარი და კარგად აურიეთ.**

**3. წიწაკა ჩილის გამოაცალეთ მარცვლები და წვრილად დაჭერით. ასევე დაჭერით მწვანე ხახვიც, ოღონდ მწვანე და თეთრი ნაწილები განაცალკევეთ.**

**4. კოჭა, ნიორი და არაქისი დაჭყლიტეთ.**

**5. ტაფა გააცხელეთ, დაასხით მასზე ზეითუნის ზეთი და მოხრაკეთ წიწაკა ჩილი 1 წთ-ის განმავლობაში. შემდეგ ტაფაზე გადაიტანეთ ქათმის ნაჭრები, შეწვით 2 წუთის განმავლობაში დაბალ ცეცხლზე. დაუმატეთ ნიორი, კოჭა და ხახვის თეთრი ნაწილი. აურიეთ და 15-20 წმ-ის განმავლობაში წვით.**

**6. ტაფაზე ქათმის ხორცს დაუმატეთ სოუსი, აურიეთ და 2-3 წუთის განმავლობაში წვით, ვიდრე სოუსი შესქელდება. დაუმატეთ არაქისი და კვლავ აურიეთ.**

**კერძს მოაყარეთ ხახვის მწვანე ნაწილის ნაჭრები.**

**ამ კერძს ძალიან უხდება ბრინჯის გარნირი.**




## ეკონომიკა

2014 წლის დეკემბერში ჩინეთის ეკონომიკამ გაუსწრო იაპონიას და ნომინალური მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლის მიხედვით ამჟამად მსოფლიოში მეორეა. 1980 წლიდან ჩინეთის ეკონომიკა 8-15%-ით იზრდება წელიწადში. ეს ქვეყანა ლიდერია ქვანახშირის, რკინის, მარგანეცის, ტყვიის, თუთიის, ვოლფრამის მოპოვებისა და ხე-ტყის გადამუშავების მხრივ; მოიპოვებს, აგრეთვე, ურანს, ნავთობს, ბუნებრივ აირს. ჩინეთი მსოფლიოში უდიდესი ავტომრეწველობის მქონე ქვეყანაა, ყოველწლიურად აწარმოებს იმაზე მეტ ავტომობილს, ვიდრე აშშ და იაპონია ერთობლივად. სწრაფი ტემპით განვითარდა მშენებლობა — ჩინეთმა აშშ-საც კი გაუსწრო ცათაბჯენების რაოდენობით. ჩინეთის ეკონომიკის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნამ. ამჟამად ჩინეთში 4 ასეთი ზონა მოქმედებს — შენჯუნის, ჯუხაის, შანტოუსა და სიამენის. შექმნილია, აგრეთვე, თავისუფალი ვაჭრობის (ბაჟს არ იხდიან) 14 და მაღალი ტექნოლოგიების 54 ზონა. ჩინეთი ახალშექმნილი ორგანიზაციის — ბრიჩს-ის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა) წევრია. ჩინეთის მთლიანი შიგა პროდუქტი **12,383 ტრილიონ დოლარს** შეადგენს, მოსახლეობის ერთ სულზე — **9 828 დოლარს.**

**ვალუტა — იუანი (ჟენმინბი). იუანი უდრის 0,16 აშშ დოლარს.**

**ინტერნეტდომენი: CN**
**სატელეფონო კოდი: +86**
**საათობრივი სარტყელი: UTC +8**

## კულტურა

ჩინეთის უძველესმა კულტურამ უდიდესი გავლენა მოახდინა მეზობელი ხალხების — მონგოლეთის, კორეისა და იაპონიის კულტურებზე. დამწერლობა ჩინელებისთვის თვითგამოხატვის საშუალებად იქცა, ისინი იეროგლიფების დასაწერად იყენებენ ტუშს, ქვას, ფუნჯსა და ქაღალდს. მსოფლიოში პოპულარულია ფაიფურისგან დამზადებული ჩინური ნაკეთობები, **სახელგანთქმული ჩინელები:** ფილოსოფოსები — **კონფუცი; ლაო ძი**; მსახიობები — **ბრუს ლი** და **ჯეკი ჩანი**; კალათბურთელი — **იაო მინი**, კინორეჟისორი **ჯონ ვუ;** მწერლები — **ლუ სინი, ბა ძინი, ლაო შე, ვან მენი.**

**ღირსშესანიშნაობები:** პეკინში — აკრძალული ქალაქი, ციური ტაძარი; შანხაიში — მანდარინ იუს ბაღი, შემოდგომის მეწამული ღრუბლების ბაღი, ბუდის ნეფრიტის ქანდაკება, ხელოვნების მუზეუმი შანხაის კოშკი, „ტერაკოტების არმია“ — სიანში, ბუდისტური ტაძარი პოტალა — ლჰასაში, ჩინეთის დიდი კედელი.

## სამზარეულო

ჩინეთის სამზარეულო უძველესი ტრადიციებით გამოირჩევა. კერძების ძირითადი ინგრედიენტებია ბრინჯი, ზღვის პროდუქტები, ხორცი. ჩინელების აზრით, კერძი არა მხოლოდ გემრიელი და სასარგებლო, არამედ ლამაზად გაფორმებულიც უნდა იყოს.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქალი, რომელმაც მხოლოდ მორჩილება იცის და არ არის თავის არჩევანში თავისუფალი, ვერ იქნება კარგი აღმზრდელი. მხოლოდ განათლებულ ქალს შეუძლია ღირსეული შთამომავლობისა და კულტურის კვლავწარმოება.**



# ზოგი რამ ფემინიზმის შესახებ

**ფემინიზმი არის (ლათ. ფემინა — ქალი) ფილოსოფიის მიმდინარეობა, რომელიც ქალისა და მამაკაცის თანასწორობას ქადაგებს. ეს ტერმინი, როგორც ქალთა მოძრაობის აქტივისტების იდეოლოგიის აღმნიშვნელი სიტყვა, პირველად 1895 წელს გამოიყენა ელის როსიმ. ფემინიზმი, როგორც თეორია, წარმოიქმნა ქალთა მრავალსაუკუნოვანი დისკრიმინაციის, ისტორიული უსამართლობის, პატრიარქალური წყობის, მამაკაცის დომინირების შედეგად.**

**ფემინიზმი არის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანია ქალთა უფლებების აღიარება და მათი გათანასწორება მამაკაცთან ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა.** ფემინიზმი მოიცავს სოციოლოგიურ თეორიებს, პოლიტიკურ და ფილოსოფიურ მოძრაობებს, რომლებიც ეხება ქალთა მდგომარეობას სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში. არსებობს მრავალი სახის ფემინიზმი: ლიბერალური, რადიკალური, ლესბოსური, ეკოფემინიზმი, მარქსისტულ-სოციალური, ანარქისტული, ეგრეთ წოდებული შავი ფემინიზმი, ანტირასისტული, ეგალიტარული, კულტურული, ნეოფემინიზმი, პოსტკოლონიური, ფსიქოანალიტიკური, ჰუმანური, პოსტსტრუქტურისტური, პოსტმოდერნისტული და ა. შ. მათი საერთო მახასიათებელი და გამაერთიანებელი ღერძი კი ქალთა და მამაკაცთა თანაბარუფლებიანობის მოთხოვნა და, საზოგადოდ, საზოგადოებისთვის, მათ შორის, თვით ქალებისთვისაც, ცნობიერების ამაღლებაა.

თავად ფემინისტებიცა და მეცნიერებიც ქალთა მოძრაობაში სამ „ტალღას“ გამოყოფენ:

პირველი „ტალღა“ სუფრაჟისტულ მოძრაობას უკავშირდება XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ამ მოძრაობის საკვანძო საკითხი ქალებისთვის ხმის უფლების მოპოვება იყო.

„მეორე ტალღას“ უწოდებენ იდეასა და მოქმედებებს, რომლებიც ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობას უკავშირდება. ეს ტალღა 1960-იანი წლებიდან აგორდა და გამოვიდა ქალთა და მამაკაცთა სოციალური და იურიდიული თანასწორობის მოთხოვნით.

„მესამე ტალღა“ მეორის გაგრძლებაა და მის წარუმატებლობაზე რეაქცია. ის 1990-იანი წლებიდან დაიწყო. „მესამე ტალღამ“ მოიცვა ანტირასიზმისა და ინტერნაციონალიზმის თეორიები, „მეორე ტალღისთვის“ დამახასიათებელი ზოგიერთი მიდგომა კი, მაგალითად, პორნოგრაფიის ქალთა ექსპლოატაციის სახეობად მიჩნევა, უფრო ნეიტრალური გახდა. „მესამე ტალღის“ ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები არიან **რებეკა უოკერი, ლილი ტეილორი, ნაომი ვულფი** და სხვები.

**როგორც ამბობენ, ფემინისტური ხასიათის იდეები პირველად ძველ ჩინეთში გამოჩნდა, თუმცა მისი თეორიის ჩამოყალიბება დაიწყო 1792 წელს, როდესაც გამოვიდა მერი უოლსთოუნქრაფტის წიგნი „განცხადება ქალთა უფლებების შესახებ“.**

ქალების განათლების პრობლემატიზაციას მძლავრი ბიძგი მისცა თავისუფლებისა და ადამიანის გონების არსის შესახებ დაწყებულმა ფილოსოფიურმა კამათმა, რომლის შედეგადაც გონებამ ღმერთი ჩაანაცვლა. 1776 წლის „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ და 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ განმანათლებლობის ეპოქის ოპტიმიზმს ასახავს: ყველა ადამიანი გონიერია და თავისი ცხოვრებით სწორედ გონების განვითარებისკენ უნდა ისწრაფვოდეს. თუმცა იმ ეპოქის მოაზროვნეები ცნებაში „რაციონალური ადამიანი“ მხოლოდ მამაკაცებს გულისხმობდნენ. **ქალებმა კი არად ჩააგდეს ვოლტერის, დიდროს, მონტესკიეს, რუსოს განსჯა იმის თაობაზე, რომ ქალები არსებითად ემოციებისა და ვნებების ქმნილებები არიან და რომ მათ ბიოლოგიური თავისებურებების გამო არ შეუძლიათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.**

მერი უოლსტენკრაფტი (1759-1797) დაუპირისპირდა ქალის ბუნების, აზროვნების, უნარებისა და დანიშნულების შესახებ არსებულ მოძველებულ შეხედულებებს. ნაშრომში „ქალის უფლებების დაცვა“ ცენტრალური საკითხია აღზრდის სისტემა, რომელმაც, ჟან ჟაკ რუსოს მიხედვით, ვაჟები სახელწიფო მოღვაწეებად, მოქალაქეებად უნდა მოამზადოს, ხოლო გოგონები — დედებად და ცოლებად. ავტორი საკუთარ პოზიციას შემდეგ არგუმენტებზე აფუძნებს: **ქალების ნაკლებად განვითარებული აზროვნების უნარი მათი სქესის ბუნებრივი ნიშანი კი არ არის, არამედ მაღალი კლასის წარმომადგენელი ქალების პატივმოყვარეობის შედეგია. მათ ურჩევნიათ, „დაატკბონ მამაკაცი“ საკუთარი სიკეკლუცით, სინაზით, ვიდრე აიღონ წიგნი და გონება ავარჯიშონ.** გონიერება ქალებსა და მამაკაცებს ერთნაირად ახასიათებთ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ქალებს მისი განვითარების ნაკლები საშუალება და უფლება აქვთ. ადამიანის სათნოება-ზნეობა სქესით განპირობებული ვერ იქნება. დედისა და ცოლის თავისთავადი სათნოება-ზნეობ-




**ქალებმა კი არად ჩააგდეს ვოლტერის, დიდროს, მონტესკიეს, რუსოს განსჯა იმის თაობაზე, რომ ქალები არსებითად ემოციებისა და ვნებების ქმნილებები არიან და რომ მათ ბიოლოგიური თავისებურებების გამო არ შეუძლიათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა**




რიობა მამაკაცებმა მოიგონეს იმისთვის, რომ ქალები დაიმორჩილონ, უმანკოების საბურველით შემოსონ და შეზღუდონ მათი ასპარეზი. **ქალი, რომელმაც მხოლოდ მორჩილება იცის და არ არის თავის არჩევანში თავისუფალი, ვერ იქნება კარგი აღმზრდელი. მხოლოდ განათლებულ ქალს შეუძლია ღირსეული შთამომავლობისა და კულტურის კვლავწარმოება.**

ამ არგუმენტებიდან გამომდინარე, მერი უოლსტენკრაფტმა გაკვალა ბილიკი, რომელსაც თანასწორი ღირებულების აღიარებიდან თანაბარ უფლებებამდე მივყავართ. სწორედ მისმა მოღვაწეობამ და გაბატონებული ნორმების კრიტიკამ გახადა შესაძლებელი ქალების განათლება. საკუთარი ეპოქის კარგად მცოდნეს ესმოდა, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის გარეშე ქალები ვერც სახლში და ვერც საზოგადოებაში საკუთარ პოზიციებს ვერ გაიმყარებდნენ. სწორედ ცოდნის, საკუთრებისა და ქონების ფლობა იყო იმის წინა პირობა, რომ მათ საკუთარი ფუნქცია კარგად შეესრულებინათ. კულტურის მიერ ქალისთვის მინიჭებულ როლს იგი განიხილავდა არა როგორც ჩაგვრისა და შევიწროების ინსტრუმენტს, არამედ როგორც რაციონალური მოქალაქეობის ფორმასა და პასუხისმგებლობას.

მამაკაცების კეთილი ნების იმედად დარჩენილ ქალებს კიდევ მრავალი წელი მოუწიათ თვალსაწიერისა და ასპარეზის გაფართოებისთვის ბრძოლა. მათ უნდა დაემტკიცებინათ, რომ ემოციები, ვნებები, ინტუიცია, წარმოსახვა, პირადი გამოცდილება თანაბრად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ოჯახსა და საზოგადოებაში. ამის პარალელურად ქალებს თავადვე უნდა შეეტანათ ეს კატეგორიები იქ, სადაც მათ ასე გაურბოდნენ.

უფრო ფართო აუდიტორია ფემინისტურმა იდეამ 1840-1850 წლებში მოიპოვა, როცა დასავლეთის რიგ ქვეყნებში გაიშალა სუფრაჟისტების მოძრაობა, რომლებიც მოითხოვდნენ ქალებისთვის სარჩევნო უფლების მინიჭებას. ეს იყო ფემინიზმის „პირველი ტალღა“.

მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპის უმრავლეს ქვეყნებში XX საუკუნის ქალებს მიეცათ საარჩევნო უფლება, ქალთა მოძრაობა რამდენადმე შენელდა. 1960-იან წლებში გაიშალა ფემინიზის „მეორე ტალღა“ და მასში გამოიხატა ქალთა პოლიტიკური ემანსიპაციის რადიკალური მოთხოვნები.

მეცნიერთა აზრით, ფემინიზმი, როგორც იდეათა წყობა, წარმოიქმნა **სენ-სიმონის, ფურიეს, ოუენის** უტოპიური სოციალიზმის ნიადაგზე. დღეისთვის ფემინიზმი წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-კულტურული განვითარების ალტერნატიულ ფილოსოფიურ კონცეფციას.

XX საუკუნის დასავლურ ცივილიზაციაში გამოიკვეთა ფემინიზმის (შესაბამისად, ფემინისტთა აქტივობის) სამი მიმდინარეობა: ლიბერალურ-რეფორმატორული (ქალთა სამოქალაქო და იურიდიული უფლებების დაცვა); სოციალისტური (მარქსისტული და ფემინისტური შეხედულებების შერწყმა) და რადიკალური (ქალთა დისკრიმინაციის საერთო საფუძვლების ძიება-გამოაშკარავება და კრიტიკა).

დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ფემინისტური იდეები ჯერ კიდევ აღორძინების ეპოქაში ჩაისახა. ზოგიერთ მკვლევარს პირველ ფემინისტად პლატონი მიაჩნია. აღორძინების ეპოქაში შეიქმნა ქრისტინა დე ლიზანისა და კორნელიუს აგრიპას პირველი ტრაქტატები, რომლებშიც საუბარი იყო ქალის პიროვნების დათრგუნვასა და მისდამი საზოგადოების უსამართლო დამოკიდებულებაზე.

ფემინიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი დაკავშირებულია საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ პერიოდთან. 1792 წელს ოლიმპია დე გუჟმა შეადგინა „ქალისა და მოქალაქე ქალის ის უფლებათა დეკლარაცია“, რომელიც შეიცავდა მოთხოვნას ქალებისთვის საარჩევნო უფლებისა და სახელმწიფო თანამდებობების დაკავების უფლების მიცემის თაობაზე.

„ქალებო, გაიღვიძეთ... აღმოაჩინეთ თქვენი უფლებები. ბუნების ძლევამოსილი იმპერია უკვე აღარ არის გარემოცული ცრურწმენებით, ფანატიზმით, განსჯამდელი შეხედულებებითა და სიცრუით“... — ასე მიმართავდა ოლიმპია დე გუჟი თავის თანამედროვე ქალებს, რომელთათვისაც მან „ქალისა და მოქალაქე ქალის უფლებათა დეკლარაცია“ დაწერა. ნაშრომში გაანალიზებულია პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი, როგორც აუცილებლობა თავისუფლების, საკუთრების უფლების, უსაფრთხოების მოსაპოვებლად და ჩაგვრისადმი წინააღმდეგობის გაწევის საშუალება.

„რესპუბლიკელ ქალთა საზოგადოება“, რომელიც ოლიმპია დე გუჟმა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის იდეას მიუძღვნა, რობესპიერმა შეავიწროვა, მის ლიდერს კი 1793 წელს გილიოტინაზე მოჰკვეთეს თავი. მიუხედავად ამ ტრაგიკული აღსასრულისა, დე გუჟმა უამრავი ქალი განაწყო საიმისოდ, რომ გაერთიანებულიყვნენ სამართლიანობისა და თანასწორობის დროშის ქვეშ და შეეცვალათ სინამდვილე.

ხმის უფლების მოპოვებისა და თანასწორობისთვის მებრძოლნიც და კულტურული ნორმების წინააღმდეგ ამხედრებულნიც ერთნაირად დავალებულნი არიან დე გუჟის იდეებით.

ფემინისტური მოძრაობის პირველ ეტაპზე დაარსდა ქალთა ორგანიზაციები და კლუბები, რომლებიც კონვენტმა სულ მალე აკრძალა, ოლიმპია დე გუჟი კი სიკვდილით დასაჯეს.

ე. წ. ქალთა აღორძინება, სხვანაირად „მეორე ტალღა“ XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. მისი ეპიცენტრი გახდა აშშ, სადაც სწორედ ამ წლებში შეინიშნებოდა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის, პირველ რიგში კი, რასიზმის ლიკვიდაციისკენ მიმართული დემოკრატიული პროცესების გააქტიურება. ქალთა მოძრაობამ ახალი, ხშირად რადიკალური ფორმები შეიძინა, რაც მის სახელწოდებაშიც — „ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობა“ — აისახა.

ემანსიპაციისთვის ბრძოლის ახალი ტალღა განპირობებული იყო ღრმა სტრუქტურული ცვლილებებით სოციუმში, უპირველეს ყოვლისა კი, საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა შრომის წილის ზრდით. ფემინიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპ- ▶

# ქალთა პოლიტიკური უფლებების აღიარებისა და რეალიზაციის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ქალებს აქტიური და პასიური საარჩევნო ხმის უფლება მიანიჭა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ოლიმპია დე გუჟი


სიმონა დე ბოვუარი


ვირჯინია ვულფი

## ლეგენდარული კოკო შანელი ამბობდა: «არ ვიცი, რატომ უნდა ქალს ყველაფერი, რაც აქვს მამაკაცს. ქალს ხომ, ყველაფერ სხვა დანარჩენთან ერთად, ჰყავს მამაკაციც»




◀ზე გამოყოფენ ფემინიზმის რამდენიმე სახეს, ესენია:

**ანარქისტული ფემინიზმი** – ქალთა მოძრაობის იმ აქტივისტების იდეოლოგია, რომლებიც გამოდიან ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურის, იერარქიის, ძალაუფლების წინააღმდეგ. ისინი რეფორმების გასატარებლად ქალთა რევოლუციურ ქმედებას ემხრობიან.

**ეგალიტარული ფემინიზმი** — მამაკაცისა და ქალის პიროვნული არსის თანასწორობის მტკიცება. მისი მიმდევრები უარყოფენ ქალში ქალური საწყისის, ქალური სექსუალობის არსებობას.

**ეკონომიკური ფემინიზმი** – მიმდინარეობა, რომელიც სწავლობს ქალთა როლს ეკონომიკურ პროცესებში, შრომის გენდერული დიფერენციაციის პრაქტიკას, ეკონომიკური კრიზისების გავლენას ქალთა მდგომარეობაზე, ქალთა დისკრიმინაციის ეკონომიკურ მახასიათებლებს.

**ლესბოსული ფემინიზმი** – ფემინიზმის მიმართულება, რომლის მიმდევრები იბრძვიან მსოფლიო ცივილიზაციაში ლესბოსელთა უფლებების დასაცავად, ლესბოსური სუბკულტურის ღვაწლის აღიარებისთვის, სოციალურ კონსტრუქციებში სპეციფიკური ქალური გამოცდილების დასამკვიდრებლად.

**ლიბერალური ფემინიზმი** – მოძრაობა, რომლის მიზანია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მიღწევა როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ სფეროში. იგი ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციის დროს აღიარებული „ბუნებრივი უფლებების" კონცეფციას ეყრდნობა.

**ნეოფემინიზმი** — ფემინისტური იდეოლოგია, რომელიც ეწინააღმდეგება პატრიარქალურ საზოგადოებაში გაბატონებულ წარმოდგენას ქალის, როგორც მხოლოდ რეპროდუქციული ფუნქციის შემსრულებლის, როლს. ნეოფემინისტები თვლიან, რომ დედობა, ქალის მოვალეობა კი არა, არჩევანი უნდა იყოს, ამიტომაც ისინი იბრძვიან ოჯახის დაგეგმარებისა და შეგნებული დედობის ცნებების დასამკვიდრებლად.

ფემინიზმს, ცხადია, ჰყავდა გამორჩეული ფიგურები, რომლებიც მის იდეოლოგიას განსაზღვრავდნენ. ერთ-ერთი გახლავთ **სიმონა დე ბოვუარი** — ნეოფემინიზმის დამაარსებელი, ფრანგი ფილოსოფოსი, ესეისტი და მწერალი ქალი.

იგი 1908 წელს პარიზში, საკმაოდ შეძლებულ ოჯახში დაიბადა. დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტი. იყო ჟან-პოლ სარტრის თანამოაზრე და ახლო მეგობარი. 1949 წელს სიმონა დე ბოვუარს დიდი წარმატება მოუტანა წიგნმა „მეორე სქესი", რომლის მხოლოდ 22 000 ეგზემპლარი გამოქვეყნების პირველივე კვირაში გაიყიდა. ნაწარმოები იმდენად სკანდალური აღმოჩნდა, რომ ვატიკანმა გაკიცხა კიდეც. თანამედროვე საზოგადოებაში ქალის დაჩაგრული მდგომარეობის აღწერით ბოვუარი გახდა ფემინიზმის მთავარი ფიგურა. ქალის მდგომარეობის მისეულმა ანალიზმა, რომელიც მითების, ცივილიზაციების, რელიგიების, ანატომიისა თუ ტრადიციების საფუძველზე კეთდებოდა, ბევრის აღშფოთება გამოიწვია. ყველაზე დიდი სკანდალი მოჰყვა დედობისა და აბორტის შესახებ მისეულ მსჯელობას. ქორწინება კი ბოვუარს მიაჩნდა საზიზღარ ბურჟუაზიულ ინსტიტუტად, რომელიც ქალს ქმრის დომინაციის ქვეშ აქცევდა.

კიდევ ერთი გამორჩეული ფემინისტი **ვირჯინია ვულფი** 1885 წელს დაიბადა ლონდონში. წერის ნიჭი მას გენეტიკურად ჰქონდა — მამამისი ვიქტორიანული ინგლისის ცნობილი მწერალი იყო. ვულფების პირადი ბიბლიოთეკა იმდროინდელ ინგლისში ერთ-ერთი მდიდრული და უხვწიგნიანი იყო. მაშინ, როცა ამ ეპოქაში ქალს არ შეეძლო საჯარო ბიბლიოთეკით სარგებლობა (მათ არ ჰქონდათ ამის უფლება), ვირჯინიასთვის ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი იყო.

ალბათ, შემდგომში სწორედ ამ დიდმა ინტელექტმა და განათლებამ მიიყვანა ვირჯინია შინაგან პროტესტამდე, რაც ქალთა უუფლებობით იყო გამოწვეული. პირველად იგი ქალების უფლებების შეზღუდვის პრობლემას მაშინ გადააწყდა, როდესაც, ძმების მსგავსად, მანაც მოინდომა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება. ცხადია, მას ამის უფლება არ მისცეს, ის ხომ ქალი იყო. სხვათა შორის, ვირჯინიას ქალებთან ურთიერთობა ყოველთვის უფრო უადვილდებოდა, ვიდრე მამაკაცებთან. ის წერდა, რომ ქალი ყოვლად დადებითი არსებაა და ბოროტებას არ სჩადის. თუ ის ამას მაინც აკეთებს, ეს მას დიდ ტკივილს ანიჭებს. შეიძლება სწორედ ამანაც მიიყვანა იგი ლესბოსურ გადახრებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ქმარი ჰყავდა, რომელიც მისი უახლოესი მეგობარიც იყო, მას ვიტა სეკვილ-უესტი შეუყვარდა. გარკვეული ხნის შემდეგ მათ შორის განვითარდა რომანი, რომელმაც თითქმის მთელი 20 წელი გასტანა. ვირჯინია ვულფის „საკუთარი ოთახი" ფემინისტური იდეოლოგიის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ერთი შეხედვით, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ეს უკვე მოძველებული თემაა თანამედროვე მსოფლიოსთვის, მაგრამ, ფაქტია, რომ ქალების მიმართ ძალადობას პერმანენტული ხასიათი აქვს. სტატისტიკურად, ყველაზე ხშირი, სამწუხაროდ, ოჯახური ძალადობაა, რომელსაც, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ხასიათი აქვს. მსოფლიო დღეს ნამდვილად ვერ იამაყებს გენდერული თანასწორობით.

საუკუნეებით გამყარებულ რწმენა-წარმოდგენებში ქალის ადგილი და ასპარეზი შემოსაზღვრული იყო რეპროდუქციული ფუნქციით, შვილების აღზრდითა და ოჯახურ-ნათესაური ურთიერთობებით.

**სუფრაჟისტული მოძრაობის დამსახურებაა, რომ ქალებმა ნელ-ნელა მოიპოვეს არჩევნებში მონაწილეობის, ხმის მიცემის უფლება. ეს გზა ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება: 1869 წელი — ამერიკის შეერთებული შტატები, ვაიომინგის შტატი; 1870 — ამერიკის შეერთებული შტატები, იუტას შტატი; 1894 — ახალი ზელანდია; 1895-97 — ავსტრალია; 1906 — ფინეთი; 1913 — ნორვეგია, დანია, ისლანდია; 1917 — რუსეთი; 1918 — დიდი ბრიტანეთი; 1919 — გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი, პოლონეთი; 1920 — უნგრეთი; 1922 — ირლანდია; 1933 — ესპანეთი; 1944 — საფრანგეთი; 1946 — იტალია, იუგოსლავია; 1952 — საბერძნეთი; 1972 — შვეიცარია; 1984 — ლიხტენშტეინი. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მსოფლიო ისტორიაში.**

ქალთა საარჩევნო ხმის უფლება თავდაპირველად ბრიტანეთის კოლონიებში აღიარეს მე-19 საუკუნის ბოლოს: ახალი ზელანდიის თვითმმართველ კოლონიებში ქალებს საარჩევნო ხმის უფლება 1893 წელს მიანიჭეს, ხოლო 1895 წელს სამხრეთ ავსტრალიაში ქალებს მიეცათ უფლება, ყოფილიყვნენ არჩეული ხელისუფლების ორგანოებში (აქტიური ხმის უფლება).

ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი ჯგუფების ძალისხმევის შედეგად, ბრიტანეთში 1918 წელს მიიღეს კანონი „ხალხის წარმომადგენლობის შესახებ", რომელმაც სახლის მესაკუთრე 30 წელს გადაცილებულ ქალებს საარჩევნო ხმის უფლება მიანიჭა. 1928 წელს ეს უფლება გავრცელდა ყველა ქალზე 21 წლის ასაკიდან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ლუკრეცია მოტი, ელიზაბეტ სტენტონი, სუზან ანტონი და სხვა გამოჩენილი ქალი ლიდერები ფემინისტურ მოძრაობას იწყებენ მონობის გაუქმების მოთხოვნით, ხოლო შემდგომ ეტაპზე ისინი მოითხოვენ ხმის უფლებას ქალებისთვის. ითვლება, რომ შეერთებულ შტატებში ფემინიზმის პირველი ტალღა დასრულდა 1919 წელს კონსტიტუციაში მე-19 შესწორების შეტანით, რომელმაც ქალებს საარჩევნო ხმის უფლება მიანიჭა ყველა შტატში.

**ქალთა პოლიტიკური უფლებების აღიარებისა და რეალიზაციის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ქალებს აქტიური და პასიური საარჩევნო ხმის უფლება მიანიჭა.**

1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დამფუძნებელთა კრებაში 5 ქალი დეპუტატი იყო: **ელისაბედ (ლიზა) ნაკაშიძე-ბოლქვაძე, ანა (ოლა) სოლოღაშვილი, ელეონორა (ლოლა) მიხეილის ასული ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძისა, ქრისტინე (ჩიტო) გიორგის ასული შარაშიძე, მინადორა ეფრემის ასული ორჯონიკიძე-ტოროშელიძე.** ყველა მათგანს საბჭოთა რეპრესიები შეეხო. მათგან ორი — ელისაბედ ნაკაშიძე და ანა სოლოღაშვილი დახვრიტეს.

აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს პირველი კონსტიტუციის შესახებაც: 1921 წლის კონსტიტუცია აცხადებს კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობას და კრძალავს წოდებრივ განსხვავებებს. ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიური და საოჯახო უფლებით. ქალთა უფლებრივი თვალსაზრისით, ასევე, საყურადღებოა შემდეგი ჩანაწერი: „რესპუბლიკის საზრუნავი საგანია, განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და წარმოებაში შრომის ნორმალური პირობები... განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში: მუშა ქალი მშობიარობის დროს არანაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად. დამქირავებელს ევალება, ჩვილ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები".

**როდესაც საქართველოს კონსტიტუციაში ამ სიტყვებს წერდნენ, ევროპის ბევრ ქვეყანაში დასრულებული არ იყო „პირველი ტალღის" ფემინიზმი.**

„მეორე ტალღის" ფემინისტური მოძრაობა დაიწყო მე-20 საუკუნი 60-იან წლებში და გრძელდება დღემდე, „მესამე ტალღის" ფემინიზმის პარალელურად. „მეორე ტალღის" ფემინიზმი ფოკუსირებას ახდენს თანასწორობის იდეასა და დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე. „მეორე ტალღის" ფემინისტები კულტურულ და პოლიტიკურ უთანასწორობას განიხილავენ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ პრობლემებად და მოუწოდებენ ქალებს, მათი პირადი ცხოვრების ასპექტები განიხილონ ღრმად პოლიტიზირებულად და ძალაუფლების სექსისტური სტრუქტურის გამოძახილად. მწერალმა კეროლ ჰანიშმა შექმნა სლოგანი „პირადი არის პოლიტიკური". ეს სლოგანი გახდა ფემინიზმის „მეორე ტალღის" სინონიმი.

აქვე უნდა აღინიშნოს პოსტფემინისტური იდეოლოგიის შესახებაც. ეს ტერმინი გამოიყენება 1980-იანი წლებიდან ფემინიზმის განსხვავებული ხედვის ასაწერად. პოსტფემინისტების ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ფემინიზმი აღარ არის აქტუალური თანამედროვე საზოგადოებისთვის.

დასასრულ, ლეგენდარული კოკო შანელი ამბობდა: „არ ვიცი, რატომ უნდა ქალს ყველაფერი, რაც აქვს მამაკაცს. ქალს, ხომ ყველაფერ სხვა დანარჩენთან ერთად ჰყავს მამაკაციც".

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## Mercedes-Benz-ის მომავლის ავტომობილი



**კომპანია Mercedes-Benz-მა სრულიად ახალი, უცნაური და ულტრა თანამედროვე მოდელი წარმოადგინა სახელწოდებით Concept IAA.** IAA იშიფრება, როგორც Intelligent Aerodynamic Automobile. სწორედ აეროდინამიკის მიღწევებშია ამ მოდელის საიდუმლოც. 80კმ/სთ სიჩქარის მიღწევისას ავტომობილი ფორმას იცვლის, რის ხარჯზეც იზრდება მისი აეროდინამიზმი და უმჯობესდება მარგი ქმედების კოეფიციენტი. მისი აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი 0,19-ს უდრის. აქამდე საუკეთესო მაჩვენებელი 0,21 სერიული წარმოების ავტომობილებს შორის, ასევე, „მერსედესის“ მოდელს — CLA-ს ეკუთვნოდა.

# პროდუქტები, რომელთა ერთად ჭამა საზიანოა

**არსებობს პროდუქტები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ზოგიერთი ადამიანისთვის მავნებელია. ამგვარი, კონკრეტულად მისთვის „აკრძალული“ პროდუქტების სია ყველა ადამიანმა იცის, თუმცა, როგორც ცნობილია, აბსოლუტურად უვნებელი პროდუქტებიც შეიძლება საზიანოდ ვაქციოთ, თუკი არასწორად მივირთმევთ მათ. მეცნიერები თვლიან, რომ ნებისმიერი ორგანიზმისთვის, მათ შორის ყველაზე ჯანმრთელისთვისაც კი, სერიოზული გამოცდაა ზოგიერთი პროდუქტის ერთად მიღება. ზოგიერთი რამის დამახსოვრება კი ნამდვილად ღირს.**





ხილს კუჭი ძალიან სწრაფად გადაამუშავებს და ის მაშინვე ნაწლავებში ხვდება, მაგრამ, როცა ის ცომეულთან, ხორცთან ან ფაფებთან ერთად ხვდება კუჭში, საჭმლის გადამამუშავებელ ტრაქტში უფრო დიდხანს რჩება, ვიდრე საჭიროა, და იწყებს ლპობას. ეს აზიანებს კუჭის კედლებს და შესაძლოა, სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს, ამიტომ **ხილის ჭამა რეკომენდებული არაა ძირითად საჭმელთან ერთად ან მისი მიღებისთანავე.**

ცხოველური ცილა და ნახშირწყლები ერთად ვერ თავსდება. იმან, რომ სხვადასხვა წარმოშობის ცხიმი ერთმანეთთან ხვდება, შესაძლოა, გამოიწვიოს დისკომფორტი და მუცლის შებერილობა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ „ოჯახური“ ძალზე პოპულარული კერძია, სჯობს, მასზე უარი თქვათ.

**პომიდორი** მჟავე ნაყოფია, რომლის ნახშირწყლებთან შეთავსებამ, შესაძლოა, უსიამოვნო შედეგები გამოიწვიოს. სახამებლის შემცველ პროდუქტებს, ისეთებს, როგორიც არის ბრინჯი და კარტოფილი, პლუს პომიდორი მუცელში სიმძიმის შეგრძნებას იწვევს.

**წვნიანი ხილისა** და **რძის პროდუქტების** ერთად მიღება გადატვირთავს საჭმლის მომნელებელ ტრაქტს და ალერგიის სიმპტომების გაჩენას გამოიწვევს. თუკი რამდენიმე სახეობის ხილსა და იოგურტს აურევთ ერთმანეთში, ეს კიდევ უფრო გააძლიერებს ამ სყმპტომს, ამიტომაც არჩევანი გააკეთეთ ნატურალურ იოგურტზე, დანამატების გარეშე.



ბევრს, შესაძლოა, უცნაურად მოეჩვენოს, რომ **ხორბლის ნაწარმი** და **რძე** შეუთავსებელი პროდუქტებია. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ასე გამოიყურება ბევრი ჩვენგანის საუზმე, ხორბლეული და რძე — ორივე შეიცავს ელემენტებს, რომლებიც სისხლში შაქრის აწევას უწყობს ხელს. ასეთი საუზმე ხშირად იმის მიზეზი ხდება, რომ მთელი დღის მანძილზე სულ ჭამა გინდათ.

**ალკოჰოლი** და **ტკბილეული** ერთად, სამწუხაროდ, ძნელად შეითვისება ორგანიზმის მიერ. ალკოჰოლის ზემოქმედებით ტკბილი დესერტი პირდაპირ ცხიმში მიდის, შედეგად კი ძალიან სწრაფად ვიმატებთ წონაში.



**ბურგერი** (ცხიმის მაღალი შემცველობით, კონსერვანტებითა და სხვა მრავალი მავნებელი ნივთიერებით) კარტოფილ ფრისთან ერთად იწვევს ანთებით პროცესებს და აჩქარებს დაბერების პროცესს.

**ფუნთუშებისა** და **ხილის წვენის** საუზმე სისხლში შაქრის აწევას იწვევს. მეორეც, დღის დასაწყისში მიღებული ფუნთუშა და ხილის წვენი ენერგიას გვართმევს და მთელი დღის განმავლობაში ძალაგამოლეულები და გაღიზიანებულები ვხდებით.

# ყველაფერი კატების კომფორტისთვის



**კალიფორნიელმა კატების მოყვარულმა, რომელსაც 18 ფისუნია ჰყავს, გადაწყვიტა, სახლი კატების ოაზისად გადაეკეთებინა. დახმარებისთვის მან არქიტექტურისა და დიზაინის სტუდიას — Trillium Enterprises-ს მიმართა.**

სახლის ტრანსფორმაცია ხალისიანი ფერების, ე.წ. კატის ბილიკების, გვირაბების, საძინებელი და სათამაშო ზონების დამატებით გახდა შესაძლებელი.

განსხვავებული დიზაინისა და ფერის ბილიკები ყველა ოთახში დამონტაჟდა, სახლის მფლობელის საწოლი ოთახით დაწყებული, სამუშაო კაბინეტით, სამზარეულოთი და სააბაზანოთი დამთავრებული.

რედიზაინის პროექტი, ასევე, ითვალისწინებდა ახალი, ეფექტიანი ვენტილაციის სისტემის დამონტაჟებას, რომელიც ნამდვილად აუცილებელია სახლში, სადაც 18 კატა ცხოვრობს. კატების ოაზისის მოწყობა 35 ათასი აშშ დოლარი დაჯდა.

# წონის დაკლება უმოქმედოდ

**ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს გახდომის რევოლუციური ხერხი, რომელიც არანაირ მოქმედებას არ ითხოვს: „გენეტიკური გადამრთველის“ წყალობით ცხიმოვანი უჯრედების დაშლა ძილშიც არის შესაძლებელი.**



მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა ლაბორატორიის თაგვებზე ჩაატარეს ცდები. ცხიმოვანი უჯრედების გენის შეცვლით მეცნიერებმა მოახერხეს მეტაბოლიზმის დაჩქარება, რომლის შედეგადაც ზედმეტი ცხიმი თავისით იწვებოდა. ცდების შედეგად თაგვების წონა განახევრდა ისე, რომ არ შეუმცირებიათ საკვები და არ გაუზრდიათ ფიზიკური აქტივობა. პროფესორ მანოლის კელისის თქმით, თაგვები 24 საათის განმავლობაში იკლებდნენ წონას. კელისმა ხაზი გაუსვა, რომ ადამიანის ცხიმოვანი უჯრედების შესწავლისას ანალოგიური შედეგები მიიღეს. მეცნიერების ამ აღმოჩენამ, შესაძლოა, სიმსუქნის პრობლემა გადაწყვიტოს.

**„სიმსუქნე თანამედროვე საზოგადოების შავ ჭირად იქცა, ამიტომ ამ მეთოდს ძალიან დიდი სოციალური მნიშვნელობა ექნება“**, — განმარტა კელისმა. ამჟამად სიმსუქნისგან დედამიწაზე 500 მილიონზე მეტი ადამიანი იტანჯება.



# სიმსივნის დიაგნოსტიკა სმარტფონით

**რუსმა მეცნიერებმა შექმნეს მაღალი მგრძნობელობის სენსორი, რომელსაც შეუძლია, სიმსივნური უჯრედების წარმოქმნა ნაადრევ სტადიაში გამოავლინოს. ამასთანავე, სენსორის ზომები საშუალებას იძლევა, რომ მათი გამოყენება შესაძლებელი იყოს პორტატულ ხელსაწყოებში, მაგალითად, სმარტფონებში.**

სპეციალისტებმა შეიმუშავეს ნანომექანიზმი, რომელიც ნივთიერებების ქიმიურ შემადგენლობას აანალიზებს. მას შეუძლია, აღმოაჩინოს როგორც სიმსივნური უჯრედების წარმოქმნა, ასევე ვირუსული დაავადებები, მათ შორის აივ ინფექციები და ჰეპატიტები.

„ეს სენსორი მოგვცემს საშუალებას, დაუყოვნებლივ შევიტყოთ ორგანიზმში სიმსივნური უჯრედების წარმოქმნის და ზრდის შემთხვევები და დაავადების დიაგნოსტიკა მოვახერხოთ, ვიდრე ამის საშუალებას სხვა, დღეისათვის არსებული მეთოდი მოგვცემს“, — აღნიშნულია ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.



## რიტუალი მამე მაკი

**იაპონელები საუკუნეების განმავლობაში გაზაფხულის დასაწყისს სახლებიდან ეშმაკის განდევნით აღნიშნავენ.** ტრადიციულად, ყველაზე გავრცელებულია რიტუალი მამე მაკი, რომლის დროსაც ოჯახები სახლების ირგვლივ სოიის მარცვლებს ყრიან და თან ამბობენ: „დემონებო, წადით! ბედნიერებავ — სახლში!“. რიტუალის ბოლოს ოჯახის წევრები მარცვლებს ისევ აგროვებენ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში წელიწადში თითო მარცვალს ყლაპავენ. დღეს იაპონიის ბევრი ქალაქის ქუჩებში შეიძლება შეხვდეთ ბავშვებს, რომლებიც სოიის მარცვლებს ყრიან. სასულიერო პირები და ცნობილი ადამიანები ამ დღესასწაულს ტაძრებში აწყობენ და სოიის მარცვლებს შეკრებილ ხალხს აყრიან.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე უცნაური ფესტივალები

**ბავშვობაში, ალბათ, არაერთხელ გაგვიგია, რომ საჭმელთან თამაში არ შეიძლება, თუმცა, მსოფლიოს ზოგიერთ ქალაქში არათუ აკრძალულია საჭმელთან თამაში, არამედ წახალისებულია მისი სროლა, დაჭრა და სხვა უმსგავსი საქციელების ჩადენა.**



## ფორთოხლების სროლა

**იტალიის ქალაქ ივრეას მცხოვრებლები ერთმანეთისთვის ფორთოხლების სროლით მარხვის წინა სამ დღეს ზეიმობენ.**

ლეგენდის მიხედვით, შუა საუკუნეებში ადგილობრივი თავადი იმდენად ძუნწი იყო, რომ გლეხებს ნახევარ წელიწადში მხოლოდ ერთ ქოთან ბარდას აძლევდა. პროტესტის ნიშნად ქალაქელებმა ქუჩებში ბარდის სროლა დაიწყეს. რამდენიმე წლის შემდეგ კი ბარდა ფორთოხლით შეიცვალა, რადგან ეს ხილი სამხრეთ იტალიაში უხვად მოდის. ამიტომ ქუჩაში მოსეირნე ხალხს ამ ხილს ესვრიან. ხშირად ეს მხიარულება მცირე ტრავმებს იწვევს, ამიტომაც, თუ ივრეას ქუჩებში ფორთოხლების სროლის დღეებში გავლა დააპირეთ, ჩაფხუტი და წყლის სათვალე არ დაგავიწყდეთ.



## ყველის დევნა

**ინგლისში, გლოსტერშირში, ყოველ გაზაფხულზე იმართება ფესტივალი, რომლის დროსაც დიდ თავ ყველს ციცაბო მთიდან აგორებენ, ათობით ბრიტანელი კი მას უკან მოსდევს. ეს შეჯიბრი მონაწილეებისთვის, შესაძლოა, მოტეხილობებითა და უზარმაზარი დალურჯებებით დამთავრდეს. მიუხედავად ამისა, ფესტივალს მონაწილეები არასდროს აკლიაა.**

ზუსტად არავინ იცის, ყველის დევნის ტრადიცია საიდან მოდის. ლეგენდა გვიამბობს, რომ ტრადიციის ფესვები ძველ რომშია.

ფესტივალი ყოველთვის უპრობლემოდ არ ტარდებოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ქვეყანაში ყველის აშკარა ნაკლებობა იყო, მთიდან არა ყველის მთელ თავს, არამედ ხის ბორბალში ჩადებულ მის პატარა ნაჭერს აგორებდნენ. ფრო დიდი საფრთხე ფესტივალის არსებობას 1997 წელს დაემუქრა, როდესაც მონაწილეებმა იმდენი ტრავმა მიიღეს, რომ ხელისუფლებამ შესაბამისი ღონისძიებების გატარება გადაწყვიტა. მომდევნო წელს ყველის დაგორება დაუშვეს, თუმცა მისთვის გამოდევნების უფლება არავის მისცეს. მაგრამ ახალმა ტრადიციამ ერთი წელიც ვერ იარსება, მომდევნო წელს მძაფრი შთაბეჭდილებების მოყვარულებს ყველის დევნის საშუალება კვლავ მიეცათ.




## ბოლოკის ღამე

**XVI საუკუნეში ესპანელმა მკვლევარებმა მექსიკაში ბოლოკი ჩაიტანეს, ახლანდელი ქალაქ ოახაკას შორიახლოს მცხოვრებმა ფერმერებმა კი მაშინვე დაიწყეს ამ ბოსტნეულის მოყვანა. სამწუხაროდ, ბოლოკს არავინ ყიდულობდა და მაშინ გამყიდველებმა, უამრავი პროდუქტი თავიდან როგორმე რომ მოეშორებინათ, მისგან სხვადასხვა ფიგურების გაკეთება დაიწყეს.**

ბოლოკის ფიგურებმა მყიდველი მართლა მიიზიდა და ახალი ბოსტნეული იმდენად პოპულარული გახდა, რომ ფერმერებმა ბოლოკის მიწაში დიდხანს დატოვება დაიწყეს, რათა ნაყოფს წარმოუდგენელი ზომები და ფორმები მიეღო. ახლა ყოველი წლის 23 დეკემბერს მექსიკის ქალაქ ოახაკაში „ბოლოკის ღამის“ დღესასწაულს აღნიშნავენ. ქალაქელები მთავარ მოედანზე იკრიბებიან, რათა გამოფინონ და დაათვალიერონ ბოლოკისგან დამზადებული სკულპტურები.



## ზეთიანი ბრძოლა

**თურქეთში ზეითუნის ზეთი ისე უყვართ, რომ ის ერთ-ერთი უსაყვარლესი ეროვნულ გართობის — კირკპინარის კონკურსის დროს მთავარ როლს ასრულებს.**

უკვე 650 წელია, ეს ტურნირი ძალიან პოპულარულია და ქვეყნის რეგულარულ სპორტულ მოვლენებში შედის. ყოველი წლის ივნისში 1000 მებრძოლზე მეტი რინგზე გასვლის წინ ტანზე ზეითუნის ზეთს ისვამს.

ტანზე წასმული ცხიმი ბრძოლას სასაცილოს ხდის. ტურნირი სამი დღე გრძელდება, გამარჯვებულს კი ქვეყნის სპორტული ვარსკვლავით აჯილდოვებენ.



## მაიმუნების ფესტივალი

**ტაილანდის სხვა მხარეების მსგავსად, ქალაქი ლოპბურიც მაიმუნებითაა სავსე. ისინი თავისუფლად დადიან ქუჩებში, მანქანების სახურავებზე ამძვრალნი მოგზაურობენ და გულუბრყვილო ტურისტებს ხელიდან საჭმელს აცლიან. მიუხედავად ამისა, ტაილანდელები მათ მაინც აღმერთებენ.**

ინდუისტური ლეგენდის მიხედვით, აქ ოდესღაც ღმერთი ჰანუმანი (მაიმუნების მეფე) ბატონობდა. მის პატივსაცემად ქალაქი წელიწადში ერთხელ 2000 მაიმუნისთვის „შვედურ მაგიდას“ აწყობს. მაგიდები ივსება ტროპიკული ხილით, ბრინჯის სანელებლებიანი კერძებითა და „კოკა-კოლის“ მსგავსი თანამედროვე სასმელებით, მაიმუნები კი ხმაურიან ნადიმს აწყობენ.



## ფესტივალი «მწყემსის სკანდალი»

**ახალ ზელანდიელებს არაორდინარულობაში ცოტა თუ აჯობებს. ამ ქვეყანაში ტარდება ფესტივალი „მწყემსის სკანდალი“, რომელიც 3 კმ-იანი რბოლაა.**

რბოლაში მწყემსები ძაღლებთან ერთად მონაწილეობენ. ამ მანძილს სხვადასხვა დაბრკოლების გადალახვის შედეგად ფარავენ, გზაზე კი მრავალფეროვანი გამოცდები ელით. რამდენიმე წლის წინათ მონაწილეებს მოუწიათ ცხვრის თვალებისა და ზეთში დამარინადებული მწერების ჭამა, 2008 წლის ფესტივალი კი ყველაზე არაორდინალური შეთავაზებით გამოირჩეოდა. შეჯიბრის მონაწილეებს 50 მეტრი უნდა ერბინათ პირში ხარის უმი სათესლე ჯირკვლებით. შემდეგ კი შეეჭამათ მშრალი საუზმე — უმი კვერცხი და თბილი ლუდიც დაელიათ.

## წინაპრების პატივსაცემად კატას მიირთმევენ...

**პერუს პატარა ფერმერულ ქალაქ ლე კებრადას მოსახლეობა წინაპრებისადმი პატივისცემას საკმაოდ უცნაური გზით გამოხატავს.**

ყოველ წელს ისინი ქალაქის უძველესი მცხოვრებლების მოსახსენიებლად ზეიმს მართავენ და კატის ხორცს მიირთმევენ, რადგან ოდესღაც ღატაკი მონები მხოლოდ კატის ხორცით აღწევდნენ თავს საშინელ შიმშილს. მთელი მსოფლიოს ცხოველთა უფლებების დამცველებისა და კატების მოყვარულების აღშფოთების მიუხედავად, პერუში ეს ფესტივალი სულ უფრო პოპულარული ხდება.

ბოლო დღესასწაულებზე მონაწილეებმა მიირთვეს დელიკატესები „მილანური კატა“ და „კატა გრილზე პერუული შავი პიტნით“.



## ფქვილით «ბრძოლა»

**მსოფლიოს ხალხები, როგორც წესი, კარნავალების დროს გიჟურად იქცევიან. საბერძნეთის ზღვისპირა ქალაქ გალაქსიდიში კი ყველაზე საინტერესო ამბები სუფთა ორშაბათის ზეიმის შემდეგ იწყება.**

ამ დროს ქალაქელები ერთმანეთს სხვადასხვაფრად შეღებილ ფქვილს აყრიან და მთელი ქალაქი ფუნთუშას ემსგავსება. ფქვილში დამატებული საღებავი ძველ შენობებზე ლაქებად რჩება, ამიტომ, სანამ ქალაქში ათას კილოგრამზე მეტი ფქვილი დაიყრება, გალაქსიდის მცხოვრებლები შენობებს პოლიეთილენს აფარებენ.



## სასარგებლო რჩევები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ავტომობილი სამსახურებრივი მიზნებისთვის პირველად აშშ-ის 27-ე პრეზიდენტმა უილიამ ტაფტმა გამოიყენა, რომელიც ჯერ კომპანია WHITE MOTOR-ის ავტომობილ MODEL M-ით გადაადგილდებოდა, შემდეგ — CADILLAC MODEL G-ით. დღეს სამსახურებრივი ტრანსპორტი ყველაზე ღარიბი ქვეყნის ლიდერსაც კი ჰყავს და სწორედ პრემიერის ან პრეზიდენტის კორტეჟია ძალაუფლების ერთ-ერთი ატრიბუტი.**

„ქვეყნის პრესტიჟი განისაზღვრება რაკეტებისა და ოლიმპიური მედლების რაოდენობით, აგრეთვე, პრეზიდენტის ლიმუზინით“, — ეს ფრაზა ეკუთვნის აშშ-ის 35-ე პრეზიდენტ ჯონ კენედის უმცროს ძმას — რობერტ კენედის, რომელიც აშშ-ის გენერალური პროკურორი იყო და რომელიც ისევე, როგორც მისი უფროსი ძმა ჯონი, სიცოცხლეს გამოასალმეს... ავტომობილი სამსახურებრივი მიზნებისთვის პირველად აშშ-ის 27-ე პრეზიდენტმა უილიამ ტაფტმა გამოიყენა, რომელიც ჯერ კომპანია White Motor-ის ავტომობილ Model M-ით გადაადგილდებოდა, შემდეგ — Cadillac model G-ით. დღეს სამსახურებრივი ტრანსპორტი ყველაზე ღარიბი ქვეყნის ლიდერსაც კი ჰყავს და სწორედ პრემიერის ან პრეზიდენტის კორტეჟია ძალაუფლების ერთ-ერთი ატრიბუტი. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს პირველი პირები მათთვის სპეციალურად შექმნილი ლიმუზინებით გადაადგილდებიან, სხვა ქვეყნებში კი პირიქით — სერიული წარმოების მოდელებით.

# რომელი ავტომობილებით გადაადგილდებიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი




გერმანიის კანცლერი უპირატესობას ანიჭებს გერმანულ სედანს — AUDI A8L D4/4H SECURITY-ს, რომელიც აღჭურვილია 450 ცხ.ძ-ის 6-ლიტრიანი ძრავით. ავტომობილი დაჯავშნილია. მისი მინების სისქე თითქმის 5 სმ-ია, საბურავები — ტყვიაგაუმტარი, მანქანას შეუძლია, გაუძლოს ყუმბარის აფეთქებას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეთაურის — სი ძინპინის ავტომობილი, ისევე, როგორც მისი წინამორბედებისა, არის ლიმუზინი FAW Hong Qi HQE („წითელი ალამი“), რომელიც გასული საუკუნის 50-იანი წლების Hong Qi-ის სტილიზებული ვერსიაა. ავტომობილის კონსტრუქცია სახელმწიფო საიდუმლოებაა.

ბრაზილიის პირველი ქალი პრეზიდენტის ავტოფარეხში 2 სამსახურებრივი ავტომობილია — რარიტეტული, 1952 წელს გამოშვებული Rolls-Royce Silver Wraith -ი— ოფიციალური ღონისძიებებისთვის და დაჯავშნილი Ford Fussion Hybrid — ყოველდღიური მგზავრობისთვის.

საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი თითქმის სერიული, უჯავშანო ჰეჩბეკით — CITROEN DS5-ით სარგებლობს. ავტომობილს აქვს ჰიბრიდული ძრავა, სახურავზე ამოჭრილია ლუკი, რათა პრეზიდენტმა შეძლოს მოქალაქეებთან მისალმება საზეიმო ღონისძიებების დროს.

გაერთიანებული სამეფოს პრემიერმინისტრი დევიდ კემერონი ისევე, როგორც მისი წინამორბედები, უპირატესობას ანიჭებს „იაგუარის“ მარკის სედანს — მუქი ლურჯი ფერის დაჯავშნილ Jaguar XJ Sentinel-ს. ბრიტანეთის პრემიერებს, როგორც ჩანს, შავი ფერის ავტომობილები არ მოსწონთ — ტონი ბლერს ვერცხლისფერი ავტომობილი ემსახურებოდა, გორდონ ბრაუნს — მწვანე.

იაპონიის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები და საიმპერატორო ოჯახი, მრავალი წელია, Toyota Century-ის სედანით სარგებლობენ. 5-ლიტრიანი V12-ის ძრავის სიმძლავრე 280 ცხ.ძალაა (მაქსიმუმი, რაც იაპონიის კანონებითაა დაშვებული).

რუსეთის პრეზიდენტმა 2012 წელს რუს სახელმწიფო მოხელეებს სამამულო წარმოების ავტომობილებზე გადაჯდომა შესთავაზა და თვითონაც აპირებს „ზილ“-ის მარკის ავტომობილის მომსახურებით სარგებლობას, მანამდე კი გერმანული Mercedes Pullman S600 Cyard-ით გადაადგილდება.

აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტისთვის სპეციალურად დაამზადეს 7-ადგილიანი ლიმუზინი. ობამას ავტომობილი დაჯავშნილია, აღჭურვილია ღამის ხედვის სისტემით, კვამლის ფარდის შექმნით მოწყობილობით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, ჟანგბადის ბალონითა და სისხლის გადასასხმელი მოწყობილობით. ამ ავტომობილის ძრავის მოცულობა 6,5 ლ-ია.

## 4 რჩევა — როგორ გავუხანგრძლივოთ სმარტფონისა და ნოუთბუქის აკუმულატორებს «სიცოცხლე»

**როდესაც ლაპარაკია თანამედროვე მოწყობილობების ლითიუმ-იონური ბატარეის სწორი მეთოდით დამუხტვაზე, თვალსაზრისი ორად იყოფა: ერთნი ამბობენ, რომ ბატარეა სრულად უნდა განიმუხტოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიმუხტოს 100 %-ით, სხვები კი ამტკიცებენ, რომ ყოველთვის 40-80%-ით დამუხტული უნდა იყოს და ამიტომ საჭიროა მისი მუმივად მიერთება დენის წყაროზე. რომელი თვალსაზრისია მართალი?**

ლითიუმ-იონური ელემენტები, სტანდარტის მიხედვით, 2-3 წელიწადს ძლებს, მაგრამ არსებობს 5 მეთოდი, რომლებიც მათი გამოყენების ვადას გაახანგრძლივებს.

**დამუხტეთ რეგულარულად.**

ლითიუმ-იონური აკუმულატორების ბოლომდე განმუხტვა არ შეიძლება, ამიტომ მუდმივად უნდა იმუხტებოდეს, რითაც მისი გამოყენების ხანგრძლივობა გაიზრდება. აკუმულატორი მაშინვე უნდა დამუხტოთ, როგორც კი 10-12%-ზე დავა.

**როგორც კი აკუმულატორი 100%-ით დაიმუხტება, მაშინვე გათიშეთ დასამუხტავი მოწყობილობა.**

არ არის აუცილებელი, ლითიუმ-იონური ბატარეა ყოველ ჯერზე 100%-ით დამუხტოთ, ის ყოველთვის 80%-მდე უნდა იყოს დამუხტული, თუ 100%-ს მიაღწია, დასამუხტავი მოწყობილობა უნდა გათიშოთ.

3. სრულად განმუხტეთ და შემდეგ 100%-მდე დამუხტეთ.

სპეციალისტები გვირჩევენ, 3 თვეში ერთხელ სრულად განვმუხტოთ და 8-12 საათის განმავლობაში კვლავ დავმუხტოთ აკუმულატორის ბატარეები, რადგან რამდენიმეჯერ ხანმოკლე დამუხტვის შემდეგ აკუმულატორი შეიძლება არასწორი რეჟიმით მუშაობაზე გადავიდეს.

4. არ დაუშვათ გადახურება.

მაღალი ტემპერატურა უარყოფითად მოქმედებს აკუმულატორის გამოყენების ხანგრძლივობაზე. არ დაუშვათ მისი გადახურება და ცხელ დღეებში ნუ დაიდებთ ნოუთბუქს მუხლებზე. დაიცავით მობილური ტელეფონი მზის სხივებისგან და ნუ დატოვებთ მას სითბოს გამომყოფი საგნების გვერდით. ლითიუმ-იონური აკუმულატორების გამოყენების დასაშვები ტემპერატურაა მინუს 40-დან პლუს 50 გრადუსამდე




თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებთ, თქვენი სმარტფონის ან ნოუთბუქის აკუმულატორი უფრო დიდხანს მოგემსახურებათ.

**უმრავლესობა მოვლენებისა, რომლებიც ამ პერიოდში ჩვენ გარშემო განვითარდება, ადრინდელი მოქმედებების კანონზომიერი შედეგი იქნება. სასიკეთო პერიოდია კუროსა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**30 სექტ. - 6 ოქტ. ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

მეტი შეუპოვრობა გამოიჩინეთ და დასახულ მიზნებს აუცილებლად მიაღწევთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების წინ რჩევა გამოცდილ ადამიანებსა და სპეციალისტებს ჰკითხეთ.

გახსოვდეთ, რომ ტკბილი, ალერსიანი სიტყვით უფრო მეტს გააკეთებინებთ ადამიანებს, ვიდრე აგრესიული და უხეში მოპყრობით.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ არ შეეცდებით, მას თავს მოახვიოთ თქვენი თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 3 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 30 სექტემბერი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

თქვენი შრომისმოყვარეობა აუცილებლად გამოიღებს სასურველ ნაყოფს — შესაძლოა, დაგაწინაურონ სამსახურში ან გასამრჯელო მოგიმატონ.

თქვენს ოჯახში სიმშვიდე და ჰარმონია დაისადგურებს, მაგრამ გახსოვდეთ, ძლიერი გრძნობები ისევე, როგორც ყველაფერი ამ სამყაროში, მუდმივი არ არის, და თქვენი საქციელით შეიძლება თავი მოაბეზროთ გარშემო მყოფებს.

უარი თქვით ცხარე კერძებსა და ალკოჰოლზე და მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 8 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 6 ოქტომბერი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

მეტისმეტმა თვითდაჯერებულობამ, შესაძლოა, ცუდი სამსახური გაგიწიოთ, გახსოვდეთ — ერთი არასწორი ნაბიჯი და ის, რასაც ფორტუნის კეთილგანწყობით მიაღწიეთ, შეიძლება წამში დაინგრეს. სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში ოჯახის წევრები დაგეხმარებიან. თავი შეიკავეთ საეჭვო ფინანსური გარიგებებისგან.

დაოჯახებულმა ტყუპებმა შვილების აღზრდას მეტი დრო და ყურადღება უნდა დაუთმონ.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 5 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 30 სექტემბერი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

პრობლემების მოგვარებაში ვერავინ დაგეხმარებათ, საკუთარი თავის გარდა. გააანალიზეთ დაშვებული შეცდომები და შეეცადეთ, საქმე ახლობელთა რჩევების გათვალისწინებით აკეთოთ — ასე უფრო იოლად მიაღწევთ დასახულ მიზნებს. მარტოხელა კირჩხიბებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთანაც რომანტიკულ საღამოს გაატარებენ, თუმცა როგორ გაგრძელდება მასთან ურთიერთობა, ეს ახალგაცნობილ პიროვნებაზე იქნება დამოკიდებული.

ამ პერიოდში მაღალია თირკმლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 30 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 2 ოქტომბერი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

გაგიჩნდებათ წარმატების მიღწევისა და საყოველთაო აღიარების მოპოვების სურვილი, მაგრამ, თუ ამას თქვენს პრინციპებზე უარის თქმით შეეცდებით, გარშემომყოფებთან კონფლიქტი გარდაუვალი იქნება.

კარგი პერიოდია იურიდიული დოკუმენტების გასაფორმებლად და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაზე გარიგების დასადებად.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ურთიერთობა გაცივდეს.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 2 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 30 სექტემბერი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

გაგიჩნდებათ იდეა, რომლის განხორციელებაც ფინანსურ წარმატებას მოგიტანთ. მოშურნეთა მცდელობით, შესაძლოა, თქვენი რეპუტაცია შეილახოს, ამიტომ თავი შორს დაიჭირეთ იმ ადამიანებისგან, რომლებთანაც არც ისე ახლო ურთიერთობა გაკავშირებთ.

მარტოხელა ქალწულებს შეიძლება თავი შეახსენონ ადამიანებმა, რომლებთანაც წარსულში რომანტიკული ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა ეს ურთიერთობა ბანალურ ფლირტზე შორს არ წავა.

თუ ამ პერიოდში რომელიმე დაავადებისგან განკურნებას შეეცდებით, თავი შეიკავეთ სინთეტიკური პრეპარატების მიღებისგან, რადგან ამ წამლებმა შეიძლება ალერგიული რეაქცია გამოიწვიოს.

**დადებითი დღე: 2 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 6 სექტემბერი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

შესანიშნავი პერიოდია ახალი ფართომასშტაბიანი პროექტების დასაწყებად. დასახულ მიზნებს გუნდური მუშაობით მიაღწევთ, ამიტომ მხარში ამოიყენეთ ერთგული და გამოცდილი ადამიანები. თქვენი ფინანსური მდგომარეობა იმ შემთხვევაში გაუმჯობესდება, თუ მუხლჩაუხრელად იშრომებთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მიენდეთ ინტუიციას და უფრო კარგად ჩასწვდებით მის სურვილებსა და საქციელს.

გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისას — მაღალია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 3 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 6 ოქტომბერი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

შექმნილი წინაღობების დასაძლევად დიდი ძალისხმევის გამოჩენა დაგჭირდებათ. დავალების კეთილსინდისიერად შესრულების გამო შეიძლება ხელმძღვანელობამ დაგაჯილდოვოთ. თავი აარიდეთ საეჭვო გარიგებებსა და ფინანსურ ოპერაციებს, რადგან დიდია მოტყუების ალბათობა.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ — წადით ერთად სადმე ან მოაწყვეთ წვეულება, რომელზეც მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მოიპატიჟებთ.

ძვლის სისტემის გასამაგრებლად მიიღეთ კალციუმით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 4 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 1 ოქტომბერი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

ზოგიერთი ახალი იდეა, რომელიც გაგიჩნდებათ, შესაძლოა, განუხორციელებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ, თუ ყველა დეტალს კარგად გააანალიზებთ და მოქმედებებში ცვლილებებს შეიტანთ, წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

ნუ მოსთხოვთ საყვარელ ადამიანს თქვენი ყველა სურვილის შესრულებას. ამან, შესაძლოა, კონფლიქტამდე მიგიყვანოთ.

ნუ გადატვირთავთ ღვიძლს — უარი თქვით ცხარე კერძებსა და ალკოჰოლურ სასმელზე.

**დადებითი დღე: 5 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 1 ოქტომბერი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

პრობლემების მოსაგვარებლად მუხლჩაუხრელი შრომა დაგჭირდებათ, მაგრამ შედეგით კმაყოფილი იქნებით. თავი აარიდეთ კოლეგების გაკრიტიკებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტი გარდაუვალია.

შესაძლოა, მოგიწიოთ შეხვედრა ნათესავებთან — მათ წრეში შესანიშნავად გაერთობით და განიტვირთებით.

მეტად იზრუნეთ ოჯახის ხანდაზმული წევრების პრობლემების მოგვარებაზე.

ახლა თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება, მაგრამ ფიზიკური დატვირთვა არ გაწყენთ.

**დადებითი დღე: 30 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 2 ოქტომბერი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

გაგიჩნდებათ წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორების შანსი. არ არის გამორიცხული, შეიცვალოთ სამუშაო ადგილი ან პროფესია. კარგად გააანალიზეთ მიღებული ინფორმაცია, რადგან მაღალია მოტყუების ალბათობა.

შესაძლოა, თავი შეგახსენოთ პრობლემამ, რომელიც ძველი ურთიერთობის გამოძახილი იქნება. შეეცადეთ, საბოლოოდ გაწყვიტოთ უსარგებლო კავშირები, რომლებიც დისკომფორტს გიქმნით.

მაღალია სასუნთქი გზების დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 3 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 6 ოქტომბერი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

წარმატებას მიაღწევენ ის თევზები, რომლებიც შემოქმედებითი სამუშაოს შესრულებით არიან დაკავებულნი. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ენდეთ ინტუიციას. მიუტევეთ ადამიანებს შეცდომები და გააკონტროლეთ სიტყვები, რადგან ნეგატიური სურვილები შეიძლება რეალურად ახდეს.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ — დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში.

იმუნიტეტის გასამყარებლად მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები და შეეცადეთ კარგად დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 3 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 5 ოქტომბერი.**

# მაპატიეთ, ეს უნდა მეთქვა

**სულ არ მინდა დიოგენის ფანარი,**
**შენს ალღოს და ერთგულებას ვენდობი.**
**თავმდაბალ და მცოდნე მოყვასს დავეძებ,**
**საპოვნელავ, ჩავირბინოთ ფერდობი.**
**მაპოვნინე, მარჯნისფერო ყვავილო,**
**თუმცა იმედს აღარ შერჩა ერთი ფრთაც,**
**ნუ დამტოვებ, მაინც ერთად ვეძებოთ,**
**მოვიაროთ ქვევით ბარი, ზევით – მთაც.**
**თუ ვიპოვე, დაგიკოცნი ნაზ ფურცლებს,**
**დაგილოცავ ნადგომსა და ნააკვნარს,**
**მაპოვნინე, ვისაც წლობით დავეძებ,**
**თორემ სული უზნეობას დააკვდა!**
**სულ არ მინდა დიოგენის ფანარი...**

**დამიჯერეთ, ნამდვილად არ მელექსებოდა, როცა ღირსეული ქართველის, პროფესორის, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტის კრიტიკულ წერილს („გიორგი ლეონიძე — ქართული წიგნის ინკვიზიტორის მორიგი მსხვერპლი“) ვკითხულობდი (გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, №33, 2015 წ.), მაგრამ მოულოდნელად, თავისთავად მოფრინდნენ ეს გაურანდავი სტროფები, რომლებშიც უნებურად გამოჩნდა ჩემი გულისტკივილი.**



წერილმა სერიოზულად ჩამაფიქრა... რატომღაც წიგნის გადამკითხველები კი არა, წიგნის წამკითხველები შემეცოდნენ, შემეცოდა მომავალი თაობაც, რომელსაც, საბედნიეროდ, ცოდნის წყარო – წიგნი ჯერ კიდევ არ უარუყვია, მას ხომ სხვა პოეტებთან და მწერლებთან ერთად ძალიან, ძალიან უყვარს **გიორგი ლეონიძე.**

ბატონი ბონდო კობაძის ხელაღებულმა ქმედებამ სულგანათლებული ოტია იოსელიანი გამახსენა, მისი გულმართალი, იუმორით გაჯერებული საუბარი სტუმრად მისულ ჟურნალისტებთან. განსაკუთრებით ჩამრჩა გონებაში დედა ენასთან დაკავშირებული ბატონი ვახანიას ლვაწლი.

„გადავშალე დედა ენა და... კიდო კაი, პატივი უცია გოგებაშვილისთვის — „ია“ დოუტოვებია. აგაშენათ ღმერთმა, ვიფიქრე, მომდევნო ფურცელზე, მეგონა, დამხვდებოდა „თითი“, (არ გეტკინოთ არაფერი...) ბატონ ვახანიას „თხა“ არ გადმოუხტუნებია „თითის“ ადგილზე?! გადევირიე კაცი! ვიფიქრე, მომდევნო ფურცელზე მაინც იქნებოდა მშვიდობა, მაგრამ მომდევნო ფურცელზე რას ვკითხულობ, თუ იცით? – „ასო“! აი ერთი ასო, აი ორი ასო... აი ხუთი ასო ... აი ათი ასო... აი ასი ასო. გადეირევი, აბა, რა მოგივა! ახალ ქართულში ოცდაცამეტი ასოს მეტი არაა და ამას დოუწერია ასი! თუ მაგარი ხარ, ახალი დაწერე, ახალი შექმენი, გოგებაშვილს რა უნდა გოუსწორო შენ“?!

ბატონო ოტია, თქვენი დაუდეგარი, სიმართლის მოყვარული სული, ალბათ, დამეთანხმება, ყველაფერი ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

აქედან გამომდინარე, ბატონი ვახანიასგან განსხვავებული ერთი მოკრძალებული პედაგოგი, რომელიც თავის თავს ხშირად ახსენებს ჭეშმარიტად დიდი მოაზროვნის სიტყვებს: „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“, ვსვამ კითხვას: ხომ არ აჯობებდა, ჯერ საკუთარი „ნაჯახირების“ გაკრიტიკება შინაურულად გვეთხოვა ჭკვიანი კრიტიკოსისთვის, შემდეგ თავი დაგვერწმუნებინა იმაში, რომ კრიტიკოსობა არც ისე იოლი საქმეა, როგორც წარმოგვედგინა, და ამის შემდეგ გვეცადა სხვის ნაშრომებში შეცდომების აღმოჩენა. სხვათა შორის, კრიტიკოსობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს მისამართით ბოღმა გადმოვანთხიოთ კრიტიკის სურვილის, ზედმეტი სითამამის, ზოგჯერ გაუნათლებლობის ან პირადი ინტერესების გამო... არ გვაქვს უფლება, თავი უხერხულ მდგომარეობაში ჩავიგდოთ და მკითხველი შეცდომაში შევიყვანოთ.

**იყო კრიტიკოსი, არც იმას ნიშნავს, რომ წლების წინათ გარდაცვლილი ღირსეული ადამიანების, რომელთა ფეხის ფრჩხილადაც არ ვღირვართ, ადამიანების, რომლებმაც ნაშრომებიც შესანიშნავი დატოვეს და კვალიც — ნათელი, უსუსური კრიტიკა გავუბედოთ, რომლის უკანაც საკუთარი თავის აღზევების ჩანაფიქრია!..**

ბატონო ბონდო (ჩნდება ეჭვი), ეს არაკეთილსინდისიერი ჩანაფიქრი რომ არა, თქვენ ქართული მწერლობის გამორჩეული ოსტატის, მშობლიური ლიტერატურის კლასიკოსის, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის, ქართველი ხალხის უსაყვარლესი შვილის — გიორგი (გოგლა) ლეონიძის მიერ მეცნიერული სიღრმითა და ფაქიზი პოეტური გემოვნებით შესრულებულ გამოცემაზე („დიდმოურავიანი“, თანდართული კვლევით) თავდასხმის სურვილი არ გაგიჩნდებოდათ, მით უმეტეს ახლა, როცა ლეონიძე დიდი ხნის გარდაცვლილია.

**გოგლა ლეონიძე სხვანაირად ვერ იტყოდა ამ სიტყვებს იმიტომ, რომ ის გოგლა იყო, თქვენ კი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდით და სიტყვაკაზმული მწერლის სიდიადეს ვერ ჩასწვდებოდით, რადგან ბონდო ბრძანდებით, კობაძე**

საკმაოდ წინდაუხედავი და დასაღუპავად განწირული გაბედულებაა!..

თქვენს ნაშრომში ბატონი გოგი დოლიძის მახვილი თვალით ამოკითხული და ჩვეული გონიერებით შენიშნული უმსგავსოების ხელმეორედ გამეორებას არ ვაპირებ ან რა საჭიროა?! კრიტიკას არც სიმართლე აკლია, არც პირდაპირობა და არც დამსახურებული მათრახი. მხოლოდ ერთს ვიტყვი: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“.

**მომიტევეთ, ბატონო ბონდო, მაგრამ არ შემიძლია, არ გითხრათ, როცა გაზეთში („საქართველო და მსოფლიო“) ბატონი გოგი დოლიძის მიერ გამოქვეყნებული წერილი წავიკითხე და შემდეგ თქვენ მიერ აღმოჩენილ ე.წ. შეცდომების ჩასასწორებლად გაწეულ შრომას გავეცანი, როგორც გიორგი ლეონიძისეულ კვლევაში, ისე იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანში“, როგორც იტყვიან, თეთრზე შავით დავინახე, რომ თქვენი „ნაღვაწი“ აშკარად წყლის ნაყვაა და გვარიანი წინდაუხედაობაც.**

დიდ საქმეს შეჭიდებიხართ, ბატონო ბონდო, **ალბათ, შედეგზე არც გიფიქრიათ, არ გიფიქრიათ, რომ ქართველი ხალხის საყვარელი გოგლა ლეონიძისა და მე-17 საუკუნის ცნობილი პოეტის წინააღმდეგ თამამად შემართული შოლტი თქვენვე მოგხვდებოდათ და კანს აგიწვავდათ. თუ არ ვცდები, ორი წლის წინათ ბონდო კობაძის მისამართით გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდა ბატონი გოგი დოლიძის ერთ-ერთი სტატია „ვინ უნდა გამოაცხოს პური?“. კრიტიკა თქვენს კრებულს ეხებოდა, რომელსაც უძღვნიდით საქართველოს უპირველეს მოჭირნახულეს, აწ უკვე წმინდანად შერაცხილ ექვთიმე თაყაიშვილს.** სტატიის სათაურმა გამახსენა, რას ამბობს გოგლა ლეონიძე თავის „ნატვრის ხეში“: „ჩემთვის დედას კალამი არ გამოუცვლია, მაგრამ ასე მგონია, პურის კალამი მიჭირავს ხელთ და იმ ქართული პურის მადლითა და სიმართლით ქაღალდზე გადამაქვს ის, რაც დამავალა დედამ და ჩემმა მშობელმა ხალხმა“!

ბატონო ბონდო, ზოგიერთისთვის ე.წ. უთავბოლო კრიტიკა, ანუ „ჯადოსნური მემონტაჟეობა“ დიდად სასიხარულო და ალტაცების მომგვრელი რამაა, მით უმეტეს, თუ იმის იქით საპატიო წოდებასა და რომელიმე ცნობილი პიროვნების სახელობის პრემიის ლაურეატობას ელოდება.

გაიხსენეთ ქართული მხატვრული ფილმი „კეთილი ადამიანები“, გაიხსენეთ, ბავშვობის სიყვარულსა და იმჟამად მეგობრის ცოლს — ნანას (ნანული პირველი) დადევნებული გიგა ბეთანელი (ოთარ მეღვინეთუხუცესი), როცა გონს მოდის, რას ეკითხება თავს: „ვის მისდევ, ბიჭო, ვის?!“, ალბათ, გეცინებათ, სად ეს მაგალითი და სად ჩემი ქმედებაო, მაგრამ... **გიგა ბეთანელი მიხვდა, თუ თავს ვერ მოერეოდა, მისი საქციელი უზნეობა, სიმდაბლე იქნებოდა. სწორედ ამ უზნეობასა და სიმდაბლეს ვუსვამ ხაზს! ნეტავ, თქვენც დაფიქრებულიყავით, ვიდრე ქართველების საფიცარ გიორგი ლეონიძეს შეურაცხყოფას მიაყენებდით და საკუთარი თავისთვის გეკითხათ: „ვის ეჭიდები, ვის?!“**

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ (ის, რომ გიორგი ლეონიძე ქართველი ხალხის საყვარელი შვილია, ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ქართული პოეზიისა, ეროვნული ლიტერატურის უთვალსაჩინოესი ისტორიკოსი... მწერალს ახლანდელ დროში ვახსენებ იმიტომ, რომ ის თანამემამულეების გულებში დღესაც ცოცხალია), გოგლა ლეონიძე არაჩვეულებრივი პიროვნებაა, დედის ცრემლზე ამოსული ია, საყვარელი პატარძეულის მიწიდან ამოსული, რომელმაც პატარაობისას, სულის სილამაზე, სურნელება, სიყვარული ერთად შეაფრქვია მზეს, შესცინა კრიალა ლურჯ ცას, თანასოფლელებს და მასთან ერთად ამოსულ ლურჯთვალა იებს. დიდობაში კი, როცა მშობლიური მიწიდან ამოზრდილი მისი სხეული ქართული მზის სხივებით, თანასოფლელთა სიხარულით, წუხილით, სამშობლოს სიყვარულით გაჯერდა, „პურის კალმით“ საოცრებები დაგვიწერა.

„რა ტკბილი იყო შუქელვარა დილა პატარძეულში! ოქროვანი ხმით მოწკრიალე გაზაფხულის დღეები, როცა ჩვენც ნუშებივით ვყვაოდით, როცა ფეხქვეშ მიწა გრიალებდა, გული გვედგა ოქროს ბურთისა და თავს ოქროს წვიმა გვაწვიმდა... ეს ჩემი სიტყვაც იმ გაზაფხულის დილიდან არი გამონაწური, იმ წყაროებიდან გამონაჟური, რომელთა თავზე მდგარ ნიგვზნართა ხეივანში გულყვითელა „ბიჭო-გოგიას“ მომძახოდა, როგორც თანამოსახელესა და მეგობარს...

ეს სიტყვები იმ ლურჯთვალა იებში მიპოვნია, ჩვენს მიდამოებში რომ ვკრეფდი, იმ ყაყაჩოგარეულ ჯეჯილებში, მზით ამოვსებულ თავთავებში, შეთქვირებულ ყანებში რომ დგანან სხივმოსილი სიტკბოებითა და იდუმალებით.

ვერცხლურა იორი მიმღერდა ამ სიტყვას, ვენახებიანი, ხილნარიანი, ბარდნალჭალებიანი, ჯალჯიან-შამბნარიანი...“

**ბატონო ბონდო, ღრმად ვარ დარწმუნებული, მსგავსს ვერასდროს ვერაფერს იტყვით, ვერც დაწერთ... იმიტომ, რომ გოგლა ლეონიძისთანა ხედვა არასდროს გექნებათ. მასავით არასდროს მოვა თქვენთან „ოქროვანი“ აზრები, სიტყვები, თითქოს უბრალო, მაგრამ ფასდაუდებელი.**

იქნებ ამ წერილში ჩადებული „ნატვრის ხის“ მონაკვეთიდან რომელიმე სიტყვა არ მოგეწონოთ, თუნდაც: „ვერცხლურა“ ანდა „ქვიშრობში“, „ღვინჭრობებით“, „ჯალჯიან-შამბნარიანი“ და თქვენეული კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატაროთ ავტორი.

არ გამიკვირდება...

მიხვდით, ბატონო ბონდო, რომ გოგლა ლეონიძე სხვანაირად ვერ იტყოდა ამ სიტყვებს იმიტომ, რომ ის გოგლა იყო, თქვენ კი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდით და სიტყვაკაზმული მწერლის სიდიადეს ვერ ჩასწვდებოდით, რადგან ბონდო ბრძანდებით, კობაძე.

მაპატიეთ, ეს უნდა მეთქვა.

**ქეთევან დერჩელი,**
**ქუთაისი**

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894